ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

PENAL REFORM INTERNATIONAL

# პრობაციის სისტემის რეფორმა საქართველოში 2014-2018 წლებში

## სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა

*ავტორი* ***მიხეილ ჯახუა***

*წინამდებარე ანალიზი/კვლევა მოამზადა „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (ავტორი: მიხეილ ჯახუა). ანალიზი/კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ციხის საერთაშორისო რეფორმის” სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ – ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, ,,ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.*

## სარჩევი


1. კვლევის მიზანი ... 3

2. კვლევის ამოცანა ... 3

3. კვლევის მეთოდოლოგია ... 3

4. კვლევის შეზღუდვა ... 4

5. შესავალი ... 5

6. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წინაშე 2014-2018 წლებში არსებული გამოწვევები და ძირითადი ტენდენციები ... 6

7. 2014-2018 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების პრობაციის სააგენტოს ნაწილის აღწერა ... 7

8. 2014-2018 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების პრობაციის სააგენტოს ნაწილის შესაბამისობის, ინდიკატორების და შესრულების შეფასება ... 13

9. კვლევის მიგნებები ... 68

10. გეგმების რელევანტურობა ... 68

11. გეგმების სტრუქტურა ... 69

12. შესრულების შედეგები ... 69

13. რეკომენდაციები ... 69

# 1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შეფასდეს პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან მიმართებით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი 2014-2018 წლების განმავლობაში. აგრეთვე მოხდეს შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების პრობაციის სააგენტოს ნაწილის აღწერა და ანალიზი.

# 2. კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დაკავშირებით შესაბამისი წლების განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისად:

» შეფასდეს სახელწიფო პოლიტიკის დაგეგმვის კუთხით არსებული დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, რამდენად სწორად მოხდა მიზნის, ამოცანის, აქტივობისა და მათი შესაბამისი ინდიკატორის გათვალისწინება;

» შეფასდეს შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების ურთიერთ შესაბამისობობა და კონკრეტული პერიოდისათვის სააგენტოს წინაშე არსებულ გამოწვევებთან მათი რელევანტურობა;

» შეფასდეს სამოქმედო გეგმების, შესაბამისი ნაწილების სტრუქტურა, მათი შემუშავებისა და შესრულების პროცესი;

» შემუშავდეს რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

# 3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის განხორციელდა როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების), ასევე საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება, რომლებიც შეეხება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს.

კვლევის ფარგლებში შეფასდა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებები, აგრეთვე ასოცირების დღის წესრიგი (2014-2016 და 2017-2020 წლებისთვის). გარდა ამისა, გაანალიზდა, რა სახის ველდებულებები იყო ასახული სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ შემდეგი სახის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ; 2018-2020 წწ) სამოქმედო გეგმები (შესაბამისი თავები);

გ) სისხლის სამართლის რეფორმის (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) სტრატეგიები (პრობაციის ეროვნული სააგენტოს ნაწილის);

დ) სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) გეგმები (შესაბამისი ნაწილი);

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების შეფასებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა სამოქმედო გეგმების ანალიზზე. გეგმები შეფასდა შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- სამოქმედო გეგმების (სტრატეგიების) შესაბამისი კომპონენტების სტრუქტურა;
- სამოქმედო გეგმების (სტრატეგიების) შესაბამისი კომპონენტების რელევანტურობა;
- სამოქმედო გეგმების (სტრატეგიების) შესაბამისი კომპონენტების შესრულება.

***ა) სამოქმედო გეგმების (სტრატეგიების) შესაბამისი კომპონენტების რელევანტურობა***

სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობის შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები (2014-2018 წწ);
- სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, შეფასდა რამდენად რელევანტური იყო სამოქმედო გეგმებში ასახული მიზნები, ამოცანები და აქტივობები და რამდენად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (2014-2018 წლები).

***ბ) სამოქმედო გეგმების (სტრატეგიების) შესაბამისი კომპონენტების შესრულება***

სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმების (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ) შესრულების ანგარიშები;
- სისხლის სამართლის რეფორმის პროგრესის VII (2015 წ), VIII (2016 წ), IX (2017 წ) X (2018 წ) ანგარიშები;
- სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ;
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს ყოველწლიური ანგარიში.

***გ) სამოქმედო გეგმების (სტრატეგიების) შესაბამისი კომპონენტების სტრუქტურა***

სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, კერძოდ, ამოცანები და აქტივობები შეფასდა ე.წ. S.M.A.R.T პრინციპით, რაც გულისხმობს რამდენად იყო გეგმაში ასახული კომპონენტები:

- S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული);
- M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა);
- A (Achievable) = მიღწევადი (შესაძლებელი);
- R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით);
- T (Time-bound) = დროში გაწერილი (უნდა გააჩნდეს შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა, ე.წ. „დედლაინი“).

ამ კუთხით შეფასდა შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტებში არსებული ტენდენციები.

# 4. კვლევის შეზღუდვა

კვლევის განხორციელების პროცესში, პრობაციის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში (სამოქმედო გეგმებში) ასახული აქტივობების (ზოგ შემთხვევაში ამოცანების) შესრულებას. აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულ იქნა კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, რამაც არსებითად შეაფერხა კვლევაზე მუშაობა.

# 5. შესავალი

საქართველო-ევროკავშირის 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად გათვალისწინებულია სისხლის სამართლის სფეროში რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პოლიტიკის გაგრძელება, მათ შორის, ისეთი მიდგომების ხელშეწყობა, როგორიცაა არასაპატიმრო სასჯელი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, აგრეთვე პრობაციის აქტიური გამოყენება,[1] აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები მოიაზრებს მათ შესაბამისად პრობაციის ეროვნული სააგენტოს განვითარებას.

ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებები სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარებასა და არასაპატიმრო სასჯელთა აქტიურ გამოყენებასთან დაკავშირებით ასახულია 2014-2015 წლების საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანებში და მათ შესასრულებლად გათვალისწინებულ აქტივობებში.[2] ასოცირების დღის წესრიგის აქტივობები უფრო დეტალურად გათვალისწინებულია 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში.[3]

ამასთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი უფრო დეტალურ და ფოკუსირებულ ვალდებულებებს ითვალისწინებს პრობაციის სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით. ზოგადად, აღნიშნული დოკუმენტით განხორციელდა 2014-2016 წლების ასოცირების დღის წესრიგის რეფოკუსირება და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით უფრო კონკრეტული თანამშრომლობის სფეროების განსაზღვრა.

მართლმსაჯულების სექტორში თანამშრომლობის მოკლევადიან პრიორიტეტად[4] განისაზღვრა პენიტენციალურ და პრობაციის სისტემებში და მათ გარეთ, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიდგომათა იმპლემენტაცია დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენციის მიზნით საჯარო წესრიგსა და უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფას შორის ჯეროვანი ბალანსის შენარჩუნება.

საკუთრივ პრობაციის სამსახურის განვითარება გათვალისწინებულია სამართალაღსრულების სფეროში მოკლევადიან პრიორიტეტად, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს პატიმრობის ალტერნატიულ ზომათა ფართო გამოყენებას, ახალი არასაპატიმრო სასჯელების შემოღებითა და პრობაციის სამსახურის შესაძლებლობათა გაზრდით[5].

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისკენ მიმართული ამოცანები და აქტივობები აისახა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმებსა და სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებში. სწორედ აღნიშნული დოკუმენტების ანალიზს ეძღვნება წინამდებარე დოკუმენტი. მასში შეფასებულია ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2014-2015, 2016-2017, 2018-2020 წლებისათვის, აგრეთვე 2014-2018 წლების სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები. ანალიზი მიზნად ისახავს სხვადასხვა პოლიტიკის დოკუმენტის პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დაკავშირებულ მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების ურთიერთ შესაბამისობისა და კონკრეტული პერიოდისათვის სააგენტოს წინაშე არსებულ გამოწვევებთან მათი რელევანტურობის დადგენას, აგრეთვე იმის შეფასებას, რამდენად სწორად მოხდა მიზნის, ამოცანის, აქტივობისა და მათი შესაბამისი ინდიკატორის გათვალისწინება და მოხერხდა თუ არა გეგმის ცალკეული კომპონენტების შესრულება შესაბამის პერიოდში.

პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების შეფასების პროცესში გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები,[6] აგრეთვე სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოქვეყნებული შესაბამისი წლების სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის ანგარიშები.[7] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნებული ანგარიშები, ხშირ შემთხვევაში, არ არის სრულყოფილი, ისინი არ პასუხობენ გეგმის შესაბამის ინდიკატორებს და, ამდენად, გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შეფასებისათვის მნიშვნელოვანია დამატებითი ინფორმაციის გაანალიზება. წინამდებარე დოკუმენტის მომზადების მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან, თუმცა ანგარიშის მომზადების დროისთვის სააგენტოდან პასუხი არც ერთ წერილზე არ მიგვიღია. საჯარო ინფორმაციის მოწოდების შეფერხებამ, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა 2018 წლის აქტივობების შესრულების შეფასება, ვინაიდან, ამ ეტაპისთვის, არც 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის ანგარიშია გამოქვეყნებული.

---

1 საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (2014-2017 წლები).

2 საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) ამოცანა 5.2.1 და 5.2.4.

3 2014 და 2015 წლების სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის მიზანი 7.

4 მოკლევადიანი პრიორიტეტი - ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის შესაბამისად პრიორიტეტი, რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2018 წლის დასასრულისთვის.

5 ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგი.

6 http://myrights.gov.ge/ka/reports/progress%20reports/

7 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238

# 6. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წინაშე 2014-2018 წლებში არსებული გამოწვევები და ძირითადი ტენდენციები

სისხლის სამართლის რეფორმის 2013-2017 წლების სამოქმედო გეგმაში საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება დანაშაულის თავიდან აცილებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვაზე, სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბებასა და მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე უწყებათა ანგარიშვალდებულების, ობიექტურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფაზე.

ამავე გეგმის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდისათვის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა, რისთვისაც მნიშვნელოვანი იყო სასჯელთა ინდივიდუალური დაგეგმვის მექანიზმის დახვეწა. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში უნდა გაზრდილიყო სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების რიცხვი და მათი მოქმედების არეალი გავრცელებულიყო მთელი ქვეყნის მასშტაბით.[8]

პრობაციის ეროვნული სააგენტოს კანონით გათვალისწინებული მიზნები არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულებით, მისი საქმიანობის მიზნისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.[9]

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში საანგარიშო პერიოდში პრობაციის სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენდა პრობაციის ოფიცრების რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობა. აღნიშნული პრიორიტეტის განსახორციელებლად წლების განმავლობაში გამოწვევას წარმოადგენდა პრობაციის ოფიცერთა გადატვირთულობა, რაც ართულებდა ინდივიდუალური მიდგომის დამკვიდრების პროცესს. თითოეული ოფიცრის განხილვაში მყოფი საქმეების რაოდენობის სტაბილური შენარჩუნება 2014-2018 წლებში ასახული იყო შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტებში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა იზრდებოდა, შესაბამისად, საშუალო საქმეთა რაოდენობის შენარჩუნების მიზნით, იზრდებოდა პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთა რიცხვი. შედეგად, 2017 წლის მონაცემებით, სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემაში პრობაციონერთა 90%-ის ჩართვა იქნა უზრუნველყოფილი.[10]

2013 წელს „სიდას" მიერ განხორციელებული არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებით ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროების შესაძლებლობებისა და საჭიროებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომლებიც აჩვენებს ზოგადად პრობაციის სისტემის იმჟამინდელ მდგომარეობას. კვლევის შედეგად გამოკვეთილი საკითხების ნაწილი უკავშირდებოდა პრობაციის სააგენტოს სერვისების ნაკლებობას, არასრულწლოვანთა და ეთნიკურ უმცირესობათა სპეციფიკის გაუთვალისწინებლობას, საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორთან, მათ შორის, რეგიონალურ დონეზე კომუნიკაციის ნაკლებობას და, შესაბამისად, საზოგადოების არაჯანსაღ დამოკიდებულებას პირობით მსჯავრდებულებთან მიმართებაში.[11] აღნიშნული საკითხები 2014-2018 წლების განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა, რაც წლების განმავლობაში, გარკვეულწილად, აისახებოდა პოლიტიკის დოკუმენტებში.

პრობაციის სააგენტოს გამოწვევას წარმოადგენდა არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან მუშაობა. 2015 წელს მიღებულ იქნა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი", რაც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმირების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა. კოდექსის მიღებამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობაზე. წარმოიშვა არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელ ოფიცერთა გადამზადების აუცილებლობა. გარდა ამისა, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით" შემოღებულ იქნა არასრულწლოვანთათვის სასჯელის ახალი ფორმა -შინაპატიმრობა. შინაპატიმრობის აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა პრობაციის ეროვნული სააგენტო, შესაბამისად, წარმოიშვა შესაბამისი ინფრასტრუქტურული და საკადრო განვითარების აუცილებლობა.

პრობაციის სააგენტოს ფუნქციების ზრდის პარალელურად, აუცილებლობას წარმოადგენდა მისი დაფარვის ზონის ზრდა და რეგიონალური ბიუროების შესაბამისი სერვისებით აღჭურვა. საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მნიშნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ინფრასტრუქტურული განვითარება, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა პოლიტიკის განსახილველ დოკუმენტებში.

სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფარგლებში 2014 წლიდან დამკვიდრდა სასჯელის ახალი ფორმა - თავისუფლების შეზღუდვა. აღნიშნული სასჯელის აღსრულების უზრუნველყოფა პრობაციის სააგენტოს ერთ-ერთ გამოწვევად იქცა, ვინაიდან საანგარიშო პერიოდის საწყის ეტაპზე სააგენტოს მნიშვნელოვანი რესურსი მიიმართა აღნიშნული დაწესებულების გახსნისაკენ, ხოლო 2017-2018 წლებიდან თავისუფლების შეზღუდვის, როგორც სასჯელის სრულწლოვანთათვის გაუქმებიდან გამომდინარე დაწესებულების ლიკვიდაციისა და ინფრასტრუქტურის პენიტენციური დეპარტამენტისათვის გადაცემის პროცესი.

---

8 სისხლის სამართლის რეფორმის 2013-2017 წლების სამოქმედო გეგმა - http://www.justice.gov.ge/AboutUs/Council/237

9 არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1.

10 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში - https://bit.ly/2Wrg3Mw (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

11 ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის პრობაციის ბიუროს შესაძლებლობებისა და საჭიროებების ანალიზი, SIDA, 2013 წელი - https://bit.ly/2l4fX5v

მსჯავრდებულთა ზედამხედველობის ფუნქციის გარდა, ეროვნული პრობაციის სააგენტოს ძირითადი პრიორიტეტია პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებულ პირთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა და დანაშაულის პრევენცია.[12] აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პრობაციის სააგენტოს გამოწვევას შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება და სათანადოდ იმპლემენტაცია წარმოადგენს. ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა სააგენტოს თანამშრომელთა სათანადო გადამზადება და მათი შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რაც, შესაბამისად, აისახა პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებულ ამოცანებსა და აქტივობებში.

# 7. 2014-2018 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების პრობაციის სააგენტოს ნაწილის აღწერა

## 7.1. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისათვის

2014-2015 წლებისათვის საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მე-5 თავი ეთმობა სასჯელაღსრულების სისტემას, პრობაციასა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციას.

სამთავრობო გეგმაში ერთ მიზნადაა გაერთიანებული პრობაციის სრულყოფილი სისტემა (5.2 მიზანი), რომლის ქვეშაც გათვალისწინებულია შესაბამისი 5 ამოცანა და ჯამში 16 საქმიანობა (აქტივობა).

პირველ ამოცანას წარმოადგენს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება (ამოცანა 5.2.1), რომლის შესასრულებლად გათვალისწინებულია 6 აქტივობა (საქმიანობა). აღნიშნული საქმიანობები გულისხმობს პრობაციის სამსახურის ინფრასტრუქტურულ და სტრუქტურულ განვითარებას, აგრეთვე სააგენტოს თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და დატვირთვის შემცირების შედეგად.

ამოცანა 5.2.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარებას ითვალისწინებს და იგი მხოლოდ ერთ აქტივობას - საკანონმდებლო ინიციატივის პროცესში საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებას მოიცავს.

იმავე მიზნის ფარგლებში გათვალისწინებული ამოცანაა პრობაციის სამსახურის ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება (5.2.3). აღნიშნული ამოცანის შესრულებისათვის გათვალისწინებულია ორი აქტივობა - ელექტრონული მონაცემთა ბაზის განვითარება და მსჯავრდებულებთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობა.

ცალკე ამოცანადაა გაერთიანებული სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება (ამოცანა 5.2.4). აღნიშნული ამოცანა ითვალისწინებს ერთის მხრივ პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას (როგორც ერთ-ერთ აქტივობას), ხოლო მეორეს მხრივ მათ ჩართულობას სხვადასხვა ტიპის სპორტულ, კულტურულ და საქველმოქმედო აქტივობებში.

## 7.2. 2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა

2014 წლის სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმაში მე-7 მიზანს წარმოადგენს „რეალიბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა". მისი პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა, აერთიანებს სამ ძირითად აქტივობას პრობაციონერთა რესოციალიზაციის დონის შესაფასებლად. კერძოდ, პრობაციონერთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებლის სტაბილურ შენარჩუნებას (2%-იანი სხვაობით), საქმეთა დროულად დასრულების 97.5-იანი მაჩვენებელს და სასამართლოს მიერ რეჟიმის შემსუბუქების პროცენტულ მაჩვენებელს.

მე-7 მიზნის ქვეშ გაერთიანებულია 5 ქვეპროგრამა, რომლებშიც უფრო დეტალურადაა გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები, აქტივობები და ინდიკატორები, აღნიშნული ქვეპროგრამები არსებითად ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმას.

2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამა 7.1 ემთხვევა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზანს, პრობაციის სრულყოფილ სისტემას. ამასთან, გეგმებით გათვალისწინებული აქტივობები არსებითად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა, ვხვდებით გარკვეულ განსხვავებებსაც.

სააგენტოს **ინფრასტრუქტურული განვითარების** თვალსაზრისით, ეს ორი გეგმა ნაწილობრივ თანხვედრაშია, კერძოდ, ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა როგორც ცენტრალური ოფისის, აგრეთვე თბილისის ბიუროს ახალ ოფისში გადასვლას 2014 წელს, ხოლო 2014 წლის სისხლის სამართლის

12 არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) სამხრეთ კავკასიის ოფისის კვლევის ანგარიში, 2015 წელი. გვ. 40

სამოქმედო გეგმა კი, მართალია, ქვეპროგრამაში (7.1) უთითებს ზოგადად ყველა ბიუროს გარემონტებასა და აღჭურვაზე, მაგრამ კონკრეტულ აქტივობად ითვალისწინებს მხოლოდ თბილისის ბიუროს ახალი ოფისის გარემონტებასა და აღჭურვას. გეგმები სრულად ემთხვევა ერთმანეთს და ითვალისწინებს ვიდეოპაემნის დამატებით 1 წერტილის შექმნას.

პრობაციის სააგენტოს **სტრუქტურული განვითარების** თვალსაზრისით, ორი გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა (აქტივობა) ემთხვევა ერთმანეთს, კერძოდ, გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შექმნა 2014 წელს. სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს პრობაციის სამსახურის სტრუქტურის პერიოდულ შეფასებას და საშტატო რიცხოვნობის ზრდას.

2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა იმეორებს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმას და ითვალისწინებს პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირებას წინა წლებთან შედარებით. ამასთან, დამატებით განსაზღვრავს თითო ოფიცერზე გათვალისწინებულ პრობაციონერთა კონკრეტულ, ზღვრულ ოდენობას.

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედებას 2014-2015 წლებისათვის, ხოლო 2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა კი ამოცანად განსაზღვრავს დაწესებულების ფუნქციონირებას 70 %-იანი დატვირთვით. ამასთან, გეგმა დამატებით ღონისძიებას აღნიშნული თვალსაზრისით არ ადგენს.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმა უფრო დეტალურ ღონისძიებებსა და ცალკეულ აქტივობებს ითვალისწინებს, მათ შორის, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

ქვეპროგრამა 7.2 ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანას, **საკანონმდებლო ბაზის განვითარება**ს, თუმცა უფრო დეტალურად ადგენს აღნიშნული ამოცანის შესასრულებელ ცალკეული ღონისძიებების ნუსხას. ამასთან, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა დამატებით განსაზღვრავს ახალი ალტერნატიული სანქციების ტესტირებასა და პილოტირებას, აგრეთვე აღნიშნული პროცესის შეფასების შედეგად რეკომენდაციების შემუშავებას.

გარდა ამისა, როგორც საკანონმდებლო რეფორმირების პროცესის შემადგენელი ნაწილი, ცალკე ღონისძიების სახით გათვალისწინებულია არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართვის პილოტირება.

სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული **ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების** ქვეპროგრამა (ქვეპროგრამა 7.3) სრულად ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმას, თუმცა, დამატებით ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს. კერძოდ, გარდა საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული ბაზის გამართული ფუნქციონირებისა, გათვალისწინებულია პრობაციის ყველა ოფისში დაქტილოსკოპიური რეგისტრაციის ფუნქციონირება.

ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების თვალსაზრისით, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა დამატებით ითვალისწინებს საზოგადოებრივი სანქციების დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესებას და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას. აგრეთვე, ცალკე ღონისძიებადაა გათვალისწინებული ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ინტენსიური შეხვედრებისა და ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა.

2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმა ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმისგან არსებითად განსხვავებულ ღონისძიებებს (საქმიანობებს) ითვალისწინებს **სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარები**ს ქვეპროგრამაში. მასში გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებასა და პილოტირების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე, რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებით პრობაციის ოფიცერთათვის ტრენინგების ჩატარებაზე. აღნიშნული ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს გამართულ ფუნქციონირებასა და სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების ამოქმედებას.

სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმასთან და ითვალისწინებს პრობაციის სააგენტოს შესახებ **საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა**ს. კერძოდ, მასში გათვალისწინებულია პრობაციის სააგენტოს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, საზოგადოებრივი აზრის კვლევა, სხვადასხვა PR აქტივობები და უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფებში ინტენსიური ჩართულობა.

ამდენად, 2014 წლის სამოქმედო გეგმა, მართალია, იმეორებს ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების სტრატეგიით გათვალისწინებულ ზოგად მიზანს (სრულყოფილი პრობაციის სისტემა)

თუმცა, უფრო დეტალიზებულია და მიმართულია აქტივობების კონკრეტულად განსაზღვრისკენ.

## 7.3. 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია განსაზღვრავს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზოგად მიზნებსა და ამოცანებს და ითვალისწინებს 2015 წლისათვის პრიორიტეტებს, რომლებიც ძირითადად ემთხვევა და იმეორებს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით 2014-2015 წლებისათვის გაწერილ პრიორიტეტებს.

2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, ისევე, როგორც 2014 წლის გეგმაში, მე-7 მიზანს წარმოადგენს „რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივიდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა“. მის ძირითად პროგრამას წარმოადგენს სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამა 7), რომელიც აერთიანებს სამ ძირითად აქტივობას, კერძოდ, პრობაციონერთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებლის სტაბილურ შენარჩუნებას (2%-იანი სხვაობით), საქმეთა დროულად დასრულების 97.5-იანი მაჩვენებელს და სასამართლოს მიერ რეჟიმის შემსუბუქებისა და პირობითი სასჯელის გაუქმების პროცენტული მაჩვენებელს.

მე-7 მიზანი, გარდა ძირითადი პროგრამისა, აერთიანებს 5 ქვეპროგრამას, რომელიც ძირითადად იმეორებს 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს.

2015 წლის სტრატეგიაში სააგენტოს **ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით**, ყურადღება გამახვილებულია ორ ძირითად პრიორიტეტზე - თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებასა და საკადრო პოლიტიკაზე. 2015 წლის სტრატეგიის შესაბამისად, გათვალისწინებულია თავისუფლების შეზღუდვის დამატებითი დაწესებულების შექმნა დასავლეთ საქართველოში.

2015 წლის სსრ სამოქმედო გეგმის პირველ ქვეპროგრამას წარმოადგენს პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება (ქვეპროგრამა 7.1). აღნიშნული ქვეპროგრამა არსებითად იმეორებს სამთავრობო სამოქმედო გეგმას და ითვალისწინებს ინფრასტრუქტურულ განვითარებას, პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შენარჩუნებას ზღვრულ ფარგლებში, სააგენტოს სტრუქტურულ განვითარებასა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის პერიოდულ ამაღლებას, აგრეთვე ვიდეოპაემნის მომსახურების გაფართოებასა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გამართულ ფუნქციონირებას.

**ინფრასტრუქტურული** თვალსაზრისით, 2015 წლის გეგმა რომელიმე ბიუროს (ოფისის) რემონტს არ ითვალისწინებს და მოიაზრებს, რომ აღნიშნული პერიოდისთვის ყველა ბიურო გარემონტებული და სათანადოდ აღჭურვილია. ამასთან, იგი გულისხმობს ელექტრონული ბაზის გამართულ და სრულფასოვან ფუნქციონირებას და, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, ითვალისწინებს ვიდეოპაემნის დამატებით ერთი წერტილის შექმნას.

**ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების** ქვეპროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებს, რომლებთან დაკავშირებითაც გათვალისწინებულია თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირება 97 %-იანი დატვირთვით, აგრეთვე დასავლეთ საქართველოში თავისუფლების შეზღუდვის დამატებითი დაწესებულების მშენებლობის დაწყება 2015 წელს.

პრობაციის სააგენტოს სტრუქტურასთან დაკავშირებით, 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს არსებული სტრუქტურის კვლევას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შეტანას. გეგმის შესაბამისად, 2015 წლისათვის არ არის გათვალისწინებული სახელფასო ანაზღაურების ზრდა და მხოლოდ შტატების რიცხოვნობა იზრდება. პრობაციის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, გათვალისწინებულია თითოეულ ოფიცერზე (საშუალოდ 150 პრობაციონერი) დატვირთვის შენარჩუნება (რაც ემთხვევა ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობას).

2015 წლის სტრატეგია ითვალისწინებს პრობაციის ოფიცერთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას (8.1.2.). სტრატეგიის შესაბამისად, ყურადღების გამახვილება ძირითადად მოხდება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე ორიენტირებული საქმიანობის პროცესში, ოფიცერთათვის სოციალური მუშაკის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. გარდა ამისა, სტრატეგია ხაზს უსვამს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების სათანადო კვალიფიკაციის კადრებით დაკომპლექტების აუცილებლობას.

ორი გეგმა სრულ თანხვედრაშია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გათვალისწინებულ საქმიანობებში. 2015 წლის სსრ რეფორმის გეგმა კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ღონისძიებით უფრო დეტალურად ითვალისწინებს ღონისძიებების ნუსხას, მათ შორის წლიური სასწავლო გეგმის შემუშავებას, აგრეთვე ადამიანური რესურსების მიმართულებით მომუშავე თანამშრომელთა გადამზადებას.

2015 წლის სტრატეგია **საკანონმდებლო ბაზის განვითარების** თავში განსხვავებით ადამიანის უფლებათა რეფორმის სამოქმედო გეგმისგან გამოყოფს კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებას, რაც ითვალისწინებს პრობაციის სააგენტოსთვის აღსასრულებლად არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის ახალი სახის, შინაპატიმრობის, აღსრულების უფლებამოსილების დამატებას. ამავე მიზნით, გათვალისწინებულია შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებები და სამუშაო აღწერილობის ჩამოყალიბება. სტრატეგიაში ყურადღება მახვილდება აგრეთვე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ხელშეწყობაზე.

2015 წლის სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ქვეპროგრამა 7.2 ითვალისწინებს პრობაციის შესახებ **საკანონმდებლო ბაზის** განვითარებას (ემთხვევა ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისათვის). საერთაშორისო ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ზოგადი ღონისძიების გარდა, 2015 წლის გეგმა ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების შეფასებას და აგრეთვე თავისუფლებაშეზღუდულ პირთათვის სარეაბილიტაციო პროგრამა „ატლანტისსა“ და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ჩართულობას.

2015 წლის სტრატეგიის შესაბამისად, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მსჯავრდებულებთან რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის განვითარებაზე.

2015 წლის სსრ სამოქმედო გეგმისა **ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების** ქვეპროგრამა (7.3) საქმის წარმოების ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების ნაწილში იმეორებს ადამიანის უფლებათა დაცვის რეფორმის სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) შესაბამის საქმიანობებს, თუმცა, დამატებით განსაზღვრავს ბაზაში ყველა პრობაციონერის აღრიცხვასა და

ყველა რეგიონალურ ოფისში მის გამართულ ფუნქციონირებას, როგორც ცალკე ღონისძიებებს. გეგმები აგრეთვე ემთხვევა მსჯავრდებულებთან რისკისა და საჭიროების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად საქმიანობისათვის დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილში, 2015 წლის სსრ გეგმა დამატებით ითვალისწინებს ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემაში ჩართული პრობაციონერების დაგეგმილ პროცენტულ მაჩვენებელს.

2015 წლის სსრ სამოქმედო გეგმა, ისევე, როგორც 2014 წლის გეგმა, ცალკე ღონისძიებად ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებისა და სამუშაო ბაზის განახლებას, აგრეთვე აღნიშნული საქმიანობის შესახებ პერიოდული ანგარიშების გამოქვეყნებას ვებ-გვერდზე.

2015 წლის რეფორმის სტრატეგია სარეაბილიტაციო პროგრამების სათანადოდ განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, სარეაბილიტაციო პროგრამის მსჯავრდებულის საჭიროებების მიხედვით შერჩევას და პირობით მსჯავრდებულთა დასაქმებას.

ქვეპროგრამა 7.4. **სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის განვითარება** ამოცანის (მიზნის) დონეზე სრულად ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმას (2014-2015 წლები), თუმცა ორი გეგმით გათვალისწინებული აქტივობები არსებითად გასხვავდება ერთმანეთისგან. ქვეპროგრამა 7.4 ითვალისწინებს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის საჭიროებისამებრ განახლებას, სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, აგრეთვე სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების სისტემის ამოქმედებას რაიონებში.

2015 წლის რეფორმის სტრატეგია განმეორებითი დანაშაული პრევენციის მიზნით ითვალისწინებს კვლევის ჩატარებას პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და ამნისტირებულ პრობაციონერთა მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დინამიკის თაობაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს ზუსტი ინფორმაციის შეგროვება, პრევენციის მექანიზმების განსაზღვრა, მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის შეფასება და, აუცილებლობის შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული კვლევის თაობაზე არავითარ მითითებას (შესაბამისი აქტივობის სახით) არ ვხვდებით არც ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში და არც სსრ სამოქმედო გეგმაში.

2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის ქვეპროგრამა 7.5 **საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესების** გარდა (რასაც ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმა), დამატებით ითვალისწინებს უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფას. შესაბამისად, აქტივობები მოიცავს როგორც საინფორმაციო ხასიათის მასალების გავრცელებას, აგრეთვე აქტიურ ჩართულობას უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფებში.

## 7.4. საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის

2016-2017 წლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მე-4 თავი ეთმობა ადამიანის უფლებების დაცვას სასჯელაღსრულების სისტემაში. ამავე თავის 4.7 მიზანი გულისხმობს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის სრულყოფას. აღნიშნული მიზანი მოიცავს 2 ამოცანასა და 9 საქმიანობას (აქტივობას).

ამოცანა 4.7.1 ითვალისწინებს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარებას. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად გათვალისწინებული 6 საქმიანობა აერთიანებს, მათ შორის - ელექტრონულ მონიტორინგს, ვიდეოპაემნის სისტემის განვითარებასა და სააგენტოს ინფრასტრუქტურულ განვითარებას, გარდა ამისა, სამართლებრივი ბაზის ანალიზსა და, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებასა და ინიცირებას.

ცალკე ამოცანადაა გამოყოფილი პირობით მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოების ჩართულობის განვითარება (ამოცანა 4.7.2). აღნიშნულ ამოცანაში გათვალისწინებულია 3 აქტივობა, რომლებიც ითვალისწინებს პირობით მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობითა და სპორტულ-შემოქმედებით აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობით.

## 7.5. 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2016 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია განსაზღვრავს პრობაციის სააგენტოს მიზნებს, ამოცანებს და პრიორიტეტებს, რომლებიც არსებითად თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმასთან, თუმცა, უფრო კონკრეტულ აქტივობებსა და დაგეგმილ რეფორმებს ასახავს.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2016 წლისათვის არსებითად არ განსხვავდება წინა წლების გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და აქტივობებისაგან. ამასთან, 2016 წლის სამოქმედო გეგმა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს ერთ ძირითად პროგრამასა და 5 ქვეპროგრამას. სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღნიშნული პროგრამები გვხვდება

ცალკეული აქტივობების სახით (ძირითადად გაერთიანებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების ამოცანის ქვეშ).

სამოქმედო გეგმის ზოგადი პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა, კვლავ აქცენტს აკეთებს პრობაციის განმავლობაში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტის, საქმეთა დროულ დასრულებასა და რეჟიმის შემსუბუქების მაჩვენებლების სტაბილურ შენარჩუნებაზე.

2016 წლის რეფორმის სტრატეგია პრობაციის სააგენტოს **ადმინისტრაციული რესურსების განვითარების** თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებთან დაკავშირებულ რეფორმაზე. კერძოდ, 2017 წლიდან დაიგეგმა თავისუფლების შეზღუდვის, როგორც სასჯელის, სხვა სახის არასაპატიმრო სასჯელით შეცვლა და არსებული ინფრასტრუქტურის გადაცემა პენიტენციური დეპარტამენტისათვის. ამგვარ ამოცანას საერთოდ არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის.

სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმა ადმინისტრაციული რესურსების განვითარების ქვეპროგრამაში (ქვეპროგრამა 7.1) ნაწილობრივ იმეორებს ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმას, კერძოდ, სააგენტოს ინფრასტრუქტურულ განვითარებას, როგორც ცალკეულ აქტივობას (საქმიანობას) ვხვდებით ორივე გეგმაში და მასში მოაზრებულია ზოგადად პრობაციის სააგენტოს ყველა ბიუროს გამართულ მდგომარეობაში ყოფნა (აღჭურვილი და გარემონტებული). გეგმები აგრეთვე თანხვედრაშია ვიდეოპაემნის სერვისის დაფარვის ზონის განვითარების აქტივობის თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი, თანხვედრაში მყოფი აქტივობებისა, სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმა აგრეთვე ითვალისწინებს მთელ რიგ აქტივობებს სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების მიზნით. კერძოდ, პრობაციის ოფიცერთა საშუალო დატვირთვის შენარჩუნების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, საშტატო ნუსხის გადასინჯვისა და რაოდენობრივი ზრდის სახით.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2016 წლის სტრატეგიის შესაბამისად, სააგენტოს ერთ-ერთ გამოწვევად მიიჩნევა კვალიფიციური კადრების მომზადება და მათთვის სპეციალიზირებული ტრენინგების ჩატარება. მათ შორის, როგორც სტრატეგია, აგრეთვე სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს არასრულწლოვნებთან მომუშავე ოფიცრების გადამზადებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით.

2016 წლის სსრ სამოქმედო გეგმა და სტრატეგია ცალკე ქვეპროგრამად (ამოცანად) ითვალისწინებს პრობაციის სააგენტოს **საკანონმდებლო ბაზის** განვითარებას, აღნიშნული საკითხი სამთავრობო სამოქმედო გეგმაში მოცემულია ერთ-ერთ აქტივობად.

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პრობაციის კანონის ყოველწლიურ განახლებას, აგრეთვე, ცალკეულ ღონისძიებებს ალტერნატიული სანქციების საჭიროებისამებრ გაუმჯობესების, საზოგადოებრივი სასარგებლო შრომის აღსრულების და შეფასების მიზნით.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშეწყობას ითვალისწინებს აგრეთვე 2016 წლის სტრატეგიაც, რომლის მიხედვით, უნდა მოხდეს სამუშაო ადგილების მონაცემთა ბაზის პერიოდული განახლება.

2016 წლის რეფორმის სტრატეგია ითვალისწინებს სასამართლოსათვის პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ არასრულწლოვნის თაობაზე სასჯელის შეფარდების სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარდგენას. ამგვარ ღონისძიებას ითვალისწინებს აგრეთვე 2016 წლის სამოქმედო გეგმა.

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლებისათვის) თანხვედრით, ითვალისწინებს შინაპატიმრობის იმპლემენტაციისათვის პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ახალი სტრუქტურული ერთეულის ელექტრონული ზედამხედველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველოს შექმნას.

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სრულად ემთხვევა 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმას და ცალკეულ ქვეპროგრამად ითვალისწინებს რისკებისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის იმპლემენტაციას.

სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა იმეორებს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანას **სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის** განვითარებასთან დაკავშირებით. დამატებით, 2016 წლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აქტიურ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, არსებული სარეაბილიტაციო მოდულების (26 მოდული) გაზრდას 4 მოდულით, პირობით მსჯავრდებულ სტუდენტთა ხელშეწყობას, მათი დასაქმების და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას.

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა წინამორბედი წლების სამოქმედო გეგმის მსგავსად, ქვეპროგრამად ითვალისწინებს პრობაციის სააგენტოს შესახებ **საზოგადოების ინფორმირებისათვის** ცალკეულ ღონისძიებებს, მათ შორის, სააგენტოს აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში. ამასთან, აღნიშნული ამოცანა (არც ცალკეული აქტივობა) აღარ გვხვდება ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმაში 2016-2017 წლებისათვის.

## 7.6. 2017-2021 წლების სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2017-2021 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია განსაზღვრავს პრობაციის სააგენტოს მიზნებს, ამოცანებს და პრიორიტეტებს 2017-2021 წლებისათვის. ამასთან, წინა წლების სტრატეგიის მსგავსად, იგი ადგენს 5 პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელთა მიხედვით, სტრუქტურირებულია როგორც 2017 წლის სტრატეგია, აგრეთვე 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

2017 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა პრობაციის ნაწილში მოიცავს ერთ ძირითად პროგრამასა და 5 ქვეპროგრამას. აღნიშნული ქვეპროგრამები და მათში გაერთიანებული ღონისძიებები (აქტივობები) არსებითად იმეორებს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებსა და საქმიანობებს, მაგრამ მათი სტრუქტურა არსებითად განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული.

სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სტრატეგია, პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსების განვითარების მიზნით, ძირითად ყურადღებას ამახვილებს საკადრო პოლიტიკაზე და ითვალისწინებს პრობაციის ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთა გადამზადებას, მათი საქმიანობის შესაბამისი პროგრამებით. გარდა ამისა, სტრატეგია აგრეთვე იძლევა ინფორმაციას თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებთან დაკავშირებით 2017 წლისათვის დაგეგმილი რეფორმის შესახებ.

2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის სრულყოფილი პრობაციის სისტემაში აქცენტი კვლავ კეთდება პრობაციის პერიოდში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პროცენტულ მაჩვენებლზე, საქმეთა დროული დასრულებისა და რეჟიმის შემსუბუქების პროცენტული მაჩვენებლის შენარჩუნებაზე.

ქვეპროგრამა 7.1 მოიცავს პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას, მასში შემავალი ღონისძიებები ძირითადად ემთხვევა ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანებსა და საქმიანობებს, თუმცა, უფრო დეტალურად ჩაშლის ინფრასტრუქტურულ და საკადრო განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს. იგი აერთიანებს 10 ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია სააგენტოს მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის, მისი ოფისების (ბიუროების) მიმდინარე მოვლა-შენახვის ხარჯების გაწევის, აგრეთვე ვიდეოპაემნის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდისაკენ. ცალკე შეგვიძლია გამოვყოთ ღონისძიებები, რომლებიც ეხება საშტატო ნუსხის დაგეგმილ ცვლილებებს, კადრების გადამზადებასა და პრობაციის ოფიცერთა ინდივიდუალური დატვირთვის სტანდარტის შენარჩუნებას.

2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად, 2017 წლისათვის სააგენტოს პრიორიტეტს წარმოადგენს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მონაცემთა ბაზის განახლება და პრობაციონერთა დასაქმების ხელშეწყობა, აგრეთვე ზრუნვა არასრულწლოვნებზე. კერძოდ, აღნიშნული ითვალისწინებს სასჯელის მისჯამდე არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ინდივიდუალური შეფასების წარდგენასა და მათ მიმართ შინაპატიმრობის აღსრულების პროცესის ხელშეწყობას. 2017 წლისათვის სტრატეგიით განისაზღვრა სრულწლოვანთათვის შინაპატიმრობის გამოყენებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმისგან (2016-2017 წლებისთვის) განსხვავებით, რომელშიც საკანონმდებლო ბაზის განვითარება მხოლოდ ცალკეული საქმიანობის სახითაა წარმოდგენილი, სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის ქვეპროგრამა 7.2 მთლიანად პრობაციის სააგენტოს საკანონმდებლო ბაზის განვითარებას ეძღვნება. გარდა ზოგადად საკანონმდებლო ბაზის საჭიროებისამებრ განახლებისა, იგი მოიცავს სასჯელის მისჯამდე და პირობით ვადამდე გათავისუფლების სტადიაზე პრობაციის სააგენტოს ჩართულობის, აგრეთვე ალტერნატიული სანქციების გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს.

ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების ქვეპროგრამა 7.3-ის ძირითად აქტივობად გათვალისწინებულია ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ყველა პრობაციონერის რეგისტრაცია და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებლის ზრდა. სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2017-2021 წლისათვის ცალკე ღონისძიებად ითვალისწინებს შინაპატიმრობის სასჯელის გამოყენებას სრულწლოვან პირთათვის და აგრეთვე წინასასამართლო პრობაციის შექმნას, თუმცა, შესაბამისი საბიუჯეტო სახსრების არსებობის დათქმით. ამავე ქვეპროგრამაში ცალკეული ღონისძიების სახითაა გათვალისწინებული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება და შესაბამისი ბაზის მუდმივი განახლება. 2017 წლის სამოქმედო გეგმა და სტრატეგია ემთხვევა ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმას და ღონისძიებად ითვალისწინებს მსჯავრდებულებთან პრობაციის ოფიცრების მუშაობას რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.

2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია ითვალისწინებს მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისაკენ მიმართულ სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებას 2017 წლის განმავლობაში, მათში მოიაზრება პროფესიული გადამზადების პროგრამები, პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა. 2017 წლის სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები არსებითად ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობებს.

2017-2021 წლების სისხლის სამართლის სამოქმედო გეგმა სრულად თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმასთან სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარების მიმართულებით. თუმცა, ღონისძიებების ნაწილში, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს პრობაციის სააგენტოს გაძლიერებაზე სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების კუთხით. კერძოდ, წლის გეგმა, გარდა სარეაბილიტაციო პროგრამების სათანადოდ იმპლემენტაციისა და ახალი პროგრამების დანერგვისა, ასევე გულისხმობს აღნიშნული მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიურ თანამშრომლობას და ამ გზით მინიმუმ ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, 2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა კვლავ ითვალისწინებს ცალკე ქვეპროგრამად (7.5) უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფასა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესებას. მასში გაერთიანებულია ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება პერიოდულ შეხვედრებს საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებთან, PR აქციების გამართვასა და მუდმივ მონაწილეობას უწყებათაშორის სამუშაო შეხვედრებში.

## 7.7. 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2018 წლის სტრატეგია განსაზღვრავს 2018-2022 წლებისათვის პრობაციის სააგენტოს მიზნებსა და პრიორიტეტებს. 2018-2020 წლებისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს პრობაციის სააგენტოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, სამსახურის სტრუქტურის რეფორმირება და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარება და ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება. სწორედ აღნიშნული პრიორიტეტების შესაბამისად არის ჩამოყალიბებული სტრატეგიის სტრუქტურა.

სტრატეგიის პირველ ამოცანად გათვალისწინებულია საკანონმდებლო ბაზის განვითარება, რომელიც ორ აქტივობას აერთიანებს. დაგეგმილია საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, პრობაციის კოდექსის შემუშავება და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება. სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს 2018 წლიდან ახლი არასაპატიმრო სასჯელის, შინაპატიმრობის დანერგვისათვის საჭირო აქტივობებზე.

სტრატეგიის ცალკე თავი ეთმობა ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესებასა და სააგენტოს ადმინისტრაციული რესურსების განვითარებას, მათ შორის, თანამშრომელთა გადამზადების გზით.

სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ამოცანის ქვეშ სტრატეგია ითვალისწინებს სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტური გამოყენებისკენ მიმართულ აქტივობებს, აგრეთვე კვლავ პრიორიტეტად რჩება რისკებისა და საჭიროებების შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდების იმპლემენტაცია.

სტრატეგიაში ცალკე თავი ეთმობა უწყებათაშორის თანამშრომლობასა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით გათვალისწინებულ აქტივობებს.

## 7.8 საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისათვის

2018-2020 წლებისათვის ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის სტრუქტურა ახლებურად ჩამოყალიბდა. გეგმა ცალკე პასუხისმგებელ უწყებად არც ერთი აქტივობის მიმართ არ ითვალისწინებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. ამასთან, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აქტივობები აერთიანებს პრობაციის სააგენტოს საქმიანობის მნიშნელოვან კომპონენტებს.

# 8. 2014-2018 წლების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების პრობაციის სააგენტოს ნაწილის შესაბამისობის, ინდიკატორების და შესრულების შეფასება

წინამდებარე თავში გაანალიზებულია 2014-2018 წლებთან დაკავშირებით ცალკეული პოლიტიკის დოკუმენტების პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან დაკავშირებული ნაწილები, ცალკეულ გეგმათა რელევანტურობა პრობაციის სააგენტოს წინაშე შესაბამის პერიოდში არსებულ გამოწვევებთან მიმართებით. ასევე, შეფასებულია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის ურთიერთ შესაბამისობა. ამასთან, გაანალიზებულია ცალკეულ გეგმათა (პრობაციის სააგენტოს ნაწილის) შინაარსობრივი გამართულობა, კერძოდ, მათში მოცემული მიზნების, ამოცანებისა და აქტივობების ურთიერთმიმართება, მათთან დაკავშირებით გეგმებით გათვალისწინებული ინდიკატორების გამართულობა.

სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უმეტესად შეესაბამება შესაბამისი პერიოდის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმას. ამასთან, 2014-2018 წლებში სისხლის სამართლის რეფორმის გეგმა არსებითად არ იცვლებოდა, რის გამოც, გაანალიზებულია მხოლოდ 2014 წლის გეგმის შესაბამისი კომპონენტები, ხოლო დანარჩენ წლებთან დაკავშირებით მოცემულია მხოლოდ აქტივობების შესრულების შეფასება.

## 8.1. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2014-2015 წლებისათვის

**მიზანი 5.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემა**

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესება და მათი შესაბამისობა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნებთან. შესაბამისად, პრობაციის სააგენტოს სრულყოფის მიზანი და აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად გეგმით გათვალისწინებული ამოცანები სააგენტოს წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისია.

**ამოცანა 5.2.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება**

ამოცანა და მის შესასრულებლად გათვალისწინებული აქტივობები ადეკვატურია. ისინი მიმართულნი არიან სააგენტოს როგორც ტექნიკური (ინფრასტრუქტურული) განვითარებისაკენ, ისე ადამიანური რესურსების გაძლიერებისკენ. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება იმ პერიოდისათვის არსებული გამოწვევებისათვის რელევანტურ და მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა იქნას მიჩნეული.

**საქმიანობა 5.2.1.1. ინფრასტრუქტურის განვითარება**

**ინდიკატორი:** პრობაციის ცენტრალური და თბილისის ბიუროს ახალ ოფისში გადასვლა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014 წელი.

**შეფასება**: საქმიანობა გეგმით გათვალისწინებული ამოცანის რელევანტურია, თუმცა, ზოგადია და აქტივობები არ არის დაკონკრეტებული. გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი იძლევა საქმიანობის შედეგის გაზომვის შესაძლებლობას. ინდიკატორში მოცემულია კონკრეტული ორი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა შესრულება 2014 წლისათვის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არის რეალისტური. პასუხისმგებელი უწყება რელევანტურადაა შერჩეული.

**შესრულების შედეგი**: მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული საქმიანობის შესრულების პერიოდად განსაზღვრული იყო 2014 წელი, ამ პერიოდში აქტივობით განსაზღვრული საქმიანობა არ იქნა შესრულებული.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიშის შესაბამისად, 2015 წელს გაიხსნა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ცენტრალური და თბილისის პრობაციის ბიუროს ახალი ოფისი.[13] ამავე ანგარიშის მიხედვით, ოფისი არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მასში მოწყობილია პირობით მსჯავრდებულთა რეგისტრაციისათვის თანამედროვე სივრცე, აგრეთვე აღნიშნული ოფისი აღიჭურვა ვიდეო პაემნის სერვისით.[14]

**საქმიანობა 5.2.1.2. პრობაციის სამსახურის სტრუქტურის განვითარება**

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შექმნა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014 წელი.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი კონკრეტული, გაზომვადი და რეალისტურია, იგი ითვალისწინებს კონკრეტული სამსახურის შექმნას, რაც სააგენტოს სტრუქტურული განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი იძლევა საქმიანობის შედეგის შეფასების შესაძლებლობას.

გეგმის შესაბამისად, არასრულყოფილადაა განსაზღვრული საქმიანობის შესრულებაზე **პასუხისმგებელი უწყება,** ვინაიდან მხოლოდ სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოა მითითებული. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა დამტკიცებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებით.[15] ვინაიდან გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა გულისხმობს სტრუქტურის განვითარებას, ხოლო ინდიკატორად განსაზღვრულია ახალი სამმართველოს შექმნა, შესაბამისად, აღნიშნული გულისხმობს

---

13 http://www.probation.gov.ge/geo/main/index/1138 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

14 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 71, https://bit.ly/2wjfhCF (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

15 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 29 დეკემბრის №903 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“.

მინისტრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანას, რაც არ განეკუთვნება სააგენტოს უფლებამოსილებას. ამდენად, სააგენტოსთან ერთად პასუხისმგებელ უწყებად უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.[16] საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №370 ბრძანების შესაბამისად, სააგენტოს სტრუქტურაში შეტანილი ცვლილებების შედეგად შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო. ამავე ბრძანებით განისაზღვრა სამმართველოს ფუნქციები.

**საქმიანობა 5.2.1.3. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება**

**ინდიკატორი:** პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: საქმიანობად განსაზღვრული ოფიცერთა დატვირთვის შემცირება, თავისი არსიდან გამომდინარე, უფრო მეტად წარმოადგენს ამოცანას, გარკვეული სხვა საქმიანობების შედეგს, ვიდრე ცალკეულ საქმიანობას. ოფიცერთა დატვირთვის შემცირება შესაძლოა განაპირობოს ზოგადად საქმეების შემცირებამ, საქმიანობის სისტემისა და საქმეთა განაწილების მექანიზმის დახვეწამ, თანამშრომელთა (ოფიცერთა) რაოდენობის ზრდამ.

გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი არ იძლევა შესაძლებლობას, შეფასდეს საქმიანობის შედეგი. მართალია, იგი რაოდენობრივად დათვლადია, თუმცა, მიმართულია არა პროგრესის, ანუ საქმიანობის შედეგის ან მისი ზემოქმედების შედეგების შესაფასებლად, არამედ ზოგადად რაოდენობის დასადგენად. შესაბამისად, საქმიანობის შესრულების შესაფასებლად აუცილებელი ხდება დამატებითი მონაცემების მოძიება (წინა წლებში ოფიცერთა დატვირთვა). გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი არ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს საქმიანობის რეალისტურობა და მიღწევადობა.

**შესრულების შედეგი**: შესრულებულია, ვინაიდან წინა წლის მონაცემებთან შედარებით, თითო პრობაციის ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობა შემცირდა. 2013 წლის განმავლობაში პრობაციის ოფიცრის საშუალო დატვირთვა შეადგენდა 80 საქმეს,[17] ხოლო 2014 წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით პრობაციის ოფიცერს საშუალოდ წარმოებაში ჰქონდა 70 საქმე[18].

**საქმიანობა 5.2.1.4. ვიდეოპაემნის სერვისი**

**ინდიკატორი:** ვიდეოპაემნის მომსახურების გაფართოება დამატებით ერთი წერტილით.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: მისასალმებელია ვიდეოპაემნის სერვისის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ამასთან, პრობაციის სააგენტოს რესურსების გათვალისწინებით, საქმიანობა შესრულებადად უნდა შეფასდეს. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობა გეგმით გათვალისწინებული მიზნისა და ამოცანის შესაბამისად უნდა იქნას მიჩნეული. მართალია, საქმიანობა არ არის სათანადოდ, გამართულად განსაზღვრული და ზოგადად ვიდეოპაემანზე საუბრობს, თუმცა, მასში უნდა მოიაზრებოდეს ვიდეოპაემნის სერვისის განვითარება.

გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი დათვლადი და გაზომვადია. იგი მიმართულია საქმიანობის შედეგის შეფასებისკენ და იძლევა საქმიანობის შესრულების შეფასების შესაძლებლობას. აქტივობის შესასრულებლად განსაზღვრულია 2014-2015 წლების პერიოდი, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული, ვიდეოპაემნის ერთი წერტილის დამატება იგეგმება მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ ყოველწლიურად. პასუხისმგებელ უწყებად სწორად არის განსაზღვრული პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**შესრულების შედეგი**: პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის წლიური ანგარიშის შესაბამისად,[19] 2013 წლის ბოლოსათვის ვიდეოპაემნის წერტილები ხელმისაწვდომი იყო პრობაციის სააგენტოს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, თელავის, გორისა და ახალციხის ოფისებიდან სასჯელაღსრულების 4 დაწესებულებაში.[20]

---

16 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში, გვ. 47 - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

17 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის ანგარიში - https://issuu.com/politlibrary/docs/probaciis_angarishi_2013 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

18 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

19 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის ანგარიში, გვ. 66 - https://issuu.com/politlibrary/docs/probaciis_angarishi_2013 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

20 №5, №11, №15 და №16 სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

საანგარიშო პერიოდში ვიდეოპაემნის სერვისის ქსელი ხელმისაწვდომი იყო პრობაციის 7 ბიუროში (თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ახალციხე, ზუგდიდი და თელავი), საიდანაც დაკავშირება ხდებოდა 4 პენიტენციურ დაწესებულებასთან.[21]

საქმიანობა არ შესრულდა. 2014-2015 წლების განმავლობაში ვიდეოპაემნის სერვისის რაოდენობა არ გაზრდილა. აღნიშნული პერიოდისათვის სერვისი ხელმისაწვდომი იყო თბილისის, იმერეთის, აჭარის, კახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის პრობაციის ბიუროებიდან.[22]

**საქმიანობა 5.2.1.5. თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება**

**ინდიკატორი:** თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გამართულადი ფუნქციონირება.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გახსნა და ზოგადად თავისუფლების შეზღუდვის, როგორც სასჯელის გამოყენება წარმოადგენდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს 2014 წლისათვის. იგი პირდაპირ გამომდინარეობს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის ტენდენციებიდან, რომელიც აქტიურად ხორციელდებოდა საანგარიშო პერიოდში. ამასთან, აღნიშნული საქმიანობა რელევანტურია როგორც სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების ამოცანასთან, აგრეთვე პრობაციის სისტემის სრულყოფის მიზანთან მიმართებით.

საქმიანობა და გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი კონკრეტული და კარგად განსაზღვრულია. შესრულების პერიოდად აღებულია ორი წელი, შესაბამისად, დროის თვალსაზრისით, საქმიანობა მიღწევადია. პასუხისმგებელ უწყებად სწორადაა განსაზღვრული პრობაციის ეროვნული სააგენტო. ამასთან, ინდიკატორი იძლევა შესრულების შედეგის შეფასების შესაძლებლობას და პირდაპირ მიემართება საქმიანობას.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა წარმატებით შესრულდა. 2014 წელს თბილისში გაიხსნა სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება.[23] 2015 წლის განმავლობაში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება სრული დატვირთვით საქმიანობდა, ასევე, დასავლეთ საქართველოში მსგავსი დაწესებულების პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო.[24]

**საქმიანობა 5.2.1.6. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება**

**ინდიკატორი:** პრობაციის გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება შეესაბამება როგორც სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების ამოცანას, აგრეთვე მიზანს. გეგმით განსაზღვრული საქმიანობა არის ზოგადი ხასიათის, არაგაზომვადი და, შესაბამისად, ვერ მოხდება მისი რეალისტურობის შეფასებაც. ამასთან, ინდიკატორად აღებულია რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც ვერ მოგვცემს საქმიანობის შედეგის შეფასების შესაძლებლობას, შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორით ვერც ამოცანასა და მიზანზე აღნიშნული საქმიანობის გავლენის შეფასება ვერ მოხდება.

**შესრულების შედეგი**: პრობაციის სააგენტოს 2014 წლის ანგარიშის შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სააგენტოს 500-მა თანამშრომელმა. 2015 წელს პრობაციის სააგენტოს თანამშრომლებმა 22-მდე სხვადასხვა შინაარსის ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა.

2014 და 2015 წლებში პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთათვის გამართული ტრენინგები პირდაპირ კავშირშია მათ საქმიანობასთან და მიმართულია მათი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისკენ. თუმცა, მიუხედავად ამაზე დაყრდნობით და მით უფრო გეგმის მიხედვით აღებული რაოდენობრივი ინდიკატორის გათვალისწინებით, წინამდებარე საქმიანობის შესრულების სრულფასოვანი შეფასება ვერ მოხერხდება, შესაბამისად, იგი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა იქნას მიჩნეული.

**ამოცანა 5.2.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება**

---

21 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში, გვ. 51 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

22 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

23 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019), http://www.probation.gov.ge/geo/main/index/59 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

24 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 71 - https://bit.ly/2wjfhCF (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

საკანონმდებლო ბაზის განვითარების ამოცანა მიზანთან სრულ შესაბამისობაშია. ამოცანის შესასრულებლად გათვალისწინებულია ერთი საქმიანობა და გულისხმობს კანონშემოქმედებით პროცესში საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებას, რაც დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს.

**საქმიანობა 5.2.2.1. საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება**

**ინდიკატორი:** მომზადებულია და ინიცირებული შესაბამისი ცვლილებები.

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა არ არის დეტალიზებული, ზოგადია და არ აკონკრეტებს თუ რა სახის საკანონმდებლო ცვლილებებია დაგეგმილი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, გეგმიდან არ იკვეთება ის შესაძლო მიზანი, რასაც შეიძლება ემსახურებოდეს საკანონმდებლო ცვლილებები და არც მათი გავლენა პრობაციის სააგენტოს საქმიანობაზე.

პასუხისმგებელ უწყებად გეგმა განსაზღვრავს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და პრობაციის სააგენტოს, თუმცა, გეგმა ითვალისწინებს არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, არამედ მათ ინიცირებას. საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილების მქონე ორგანოს არ წარმოადგენს არც სამინისტრო და არც პრობაციის ეროვნული სააგენტო,[25] შესაბამისად, პასუხისმგებლად გეგმით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყება. ამდენად, გეგმით გათვალისწინებულ უწყებებს შეეძლოთ მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება და მათი წარდგენა საქართველოს მთავრობისათვის. გეგმით გათვალისწინებულ უწყებებს მხოლოდ კანონქვემდებარე აქტების მიღების უფლებამოსილება გააჩნიათ.

გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი მიემართება საქმიანობას, თუმცა, არ შეიცავს არც რაოდენობრივ, არც ხარისხობრივ მაჩვენებლებს და შესაბამისად, მისი მეშვეობით ვერ მოხდება გეგმის შესაბამისი ამოცანის შესრულების შეფასება.

**შესრულების შედეგი**: გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორიდან გამომდინარე, საქმიანობა შესრულებულად უნდა შეფასდეს.

2014 წლის განმავლობაში, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა 5 საკანონმდებლო ცვლილება. მნიშვნელოვან ცვლილებებს წარმოადგენდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის გაჩენა,[26] აგრეთვე დარეგულირდა მისამართის არმქონე პირობით მსჯავრდებულებთან დაკავშირებული პროცედურული საკითხი,[27] ასევე, მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირისათვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფის პროცედურების გაწერა კანონში.[28]

2015 წელს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილ იქნა 2 ცვლილება. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ფუნქციები გაეზარდა. სააგენტოს ფუნქციებს დაემატა არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასასამართლო ანგარიშების მომზადება. კანონს დაემატა სასჯელის ახალი სახის - შინაპატიმრობის აღსრულების წესის განმსაზღვრელი ახალი თავი.[29]

**ამოცანა 5.2.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება**

ზედამხედველობის სისტემა პრობაციის სააგენტოს მნიშვნელოვან გამოწვევასა და პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, ამოცანა გეგმით გათვალისწინებული მიზნის რელევანტურია და მასში მოცემული საქმიანობები აუცილებელია აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად.

**საქმიანობა 5.2.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალურ ელექტრონული მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება**

---

**25** საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძველი რედაქციით) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

**26** არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2014 წლის 13 მაისის კანონი.

**27** არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2014 წლის 13 მაისის კანონი.

**28** არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2014 წლის 17 ოქტომბრის კანონი.

**29** არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2015 წლის 12 ივნისის კანონი.

**ინდიკატორი:** ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა არ არის გაზომვადი და კონკრეტულად განსაზღვრული, შესაბამისად, შეუძლებელია საქმიანობის მიღწევადობის შეფასება.

გეგმით განსაზღვრული ინდიკატორი მიმართულია შედეგის და არა სამიზნე ჯგუფზე გავლენის გაზომვისკენ. მასში საუბარია ზოგადად ბაზაში რეგისტრირებულთა პროცენტულ მაჩვენებელზე, რაც, მართალია, დათვლადი და კონკრეტულია, თუმცა ინდიკატორი არ ადგენს კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებელს, რისი მიღწევის შემთხვევაშიც საქმიანობის წარმატებულად შეფასების შესაძლებლობა გაჩნდებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რთულია შეფასდეს საქმიანობის რეალისტურობა და მისი შესაბამისობა სააგენტოს რესურსებთან, შესაბამისად, ვერც საქმიანობის პერიოდის შესაბამისობა შეფასდება.

პასუხისმგებელ უწყებად მართებულად არის მითითებული პრობაციის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს ელექტრონული მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას.

**შესრულების შედეგი**: 2014 და 2015 წლის მდგომარეობით, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია პირობით მსჯავრდებულთა 100%.[30] შესაბამისად, ბაზის ადმინისტრირების საქმიანობა წარმატებულად შესრულებულად უნდა შეფასდეს.

**საქმიანობა 5.2.3.2. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მსჯავრდებულებთან მუშაობა**

**ინდიკატორი:** რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სტატისტიკური მაჩვენებელი.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელი მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით, მსჯავრდებულებთან მუშაობა წარმოადგენს მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მნიშვნელოვან კომპონენტს. იგი გეგმით გათვალისწინებული ამოცანისა და მიზნის რელევანტურია, თუმცა, არ არის გაზომვადი და კონკრეტული. გეგმის შესაბამისად, ინდიკატორი მიემართება კონკრეტულად საქმიანობას და ითვალისწინებს სტატისტიკურ მაჩვენებელს, რაც არ იძლევა საქმიანობის წარმატებულობის დათვლად, შეფასებად მაჩვენებელს. ინდიკატორი არ ზომავს სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის გავლენას.

პასუხისმგებელ უწყებად სწორად არის მიჩნეული პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო საქმიანობის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ შეფასდება პერიოდის შესაბამისობა სააგენტოს რესურსებთან.

**შესრულების შედეგი**: 2014 წლისათვის რისკის, საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში ჩართულია პირობით მსჯავრდებულთა 83,4% (სექტემბრის მდგომარეობით).[31] ხოლო 2015 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 87,7%-ს (აღრიცხვაზე მყოფი 16 302 პრობაციონერიდან შეფასება გაუკეთდა 14297–ს ).[32]

მაღალი პროცენტული მაჩვენებლის გამო საქმიანობა შესაძლებელია დიდწილად წარმატებულად შეფასდეს, თუმცა აღნიშნული ინდიკატორი (სტატისტიკური მონაცემები) საქმიანობის შესახებ მხოლოდ ზოგად ინფორმაციას იძლევა და პირდაპირ არ მოიაზრებს საქმიანობის შესრულებულად მიჩნევის მაჩვენებელს.

**ამოცანა 5.2.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

ამოცანა მოიცავს პრობაციის სააგენტოს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას და იგი სრულყოფილი პრობაციის სისტემის მისაღწევად რელევანტურია. მასში მოცემული საქმიანობები სრულად შესაბამისობაშია ამოცანასთან და ითვალისწინებს როგორც ზოგადად სარეაბილიტაციო პროგრამებს, აგრეთვე კონკრეტულ თემატურ აქტივობებს, რომლებიც შეესაბამება დასახულ მიზანს.

**საქმიანობა 5.2.4.1. პრობაციონერთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება**

---

30 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიში - http://gov.ge/files/456_54921_203660_323_51418_990169_ProgressGEO19.05.pdf, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf_
სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

31 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/1642Mid-TermProgressReport2014GEO19.05.pdf

32 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

**ინდიკატორი**: სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო სექტორი.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: საქმიანობა 5.2.4.1 არის ზოგადი ხასიათის, იგი არ შეიცავს დათვლად მაჩვენებლებს როგორც სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობის, აგრეთვე მასში ჩართული ბენეფიციარების მხრივ. შესაბამისად, მისი მიღწევადობისა და რეალისტურობის შეფასება ვერ მოხდება. ამასთან, საქმიანობის ინდიკატორად გამოყენებულია სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა, რაც დათვლადია და ზოგადად სარეაბილიტაციო საქმიანობის განხორციელების შესახებ ინფორმაციას იძლევა, თუმცა, მისი მეშვეობით აღნიშნული საქმიანობის წარმატებულობის შეფასება ვერ მოხდება. ინდიკატორი მიემართება საქმიანობის შედეგს. ვიანიდან საქმიანობა ზოგადი ხასიათისაა, დროის პერიოდის მართებულად შერჩევის საკითხი ვერ შეფასდება.

**შესრულების შედეგი**: 2014 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული იყო 1665[33] პრობაციონერი, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 15%-ია, თუმცა სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილის შესაბამისად, სააგენტოში ფუნქციონირებდა 8 სარეაბილიტაციო პროგრამა და მასში ჩართული იყო 1398 მსჯავრდებული.[34] 2015 წლისათვის პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბენეფიციარებისთვის შემუშავებული ჰქონდა 26 სარეაბილიტაციო მოდული.[35]

2014-2015 წლებში სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 8238-მა პრობაციონერმა.[36] აღნიშნული მონაცემით დასტურდება, რომ სარეაბილიტაციო პროგრამები ნამდვილად განხორციელდა, რაც ფორმალურად საქმიანობის შესრულებულად მიჩნევის საფუძველია, თუმცა, საქმიანობისა და ინდიკატორის შინაარსიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება სარეაბილიტაციო პროგრამების წარმატებულად მიმდინარეობის შეფასება.

**საქმიანობა 5.2.4.2. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა**

**ინდიკატორი:** დასაქმებულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, კერძო და სახელმწიფო სექტორი.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**ინდიკატორისა და პასუხისმგებელი უწყების შეფასება**: მისასალმებელია პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობის არსებობა გეგმაში, თუმცა საქმიანობა ზოგადია და არ არის გამოკვეთილი უშუალოდ პრობაციის სააგენტოს როლი (გარდა რეკომენდაციის). ინდიკატორად აღებულია ზოგადად დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა, რაც არ იძლევა საქმიანობის წარმატებულობის შეფასების შესაძლებლობას, იგი არც ყოველწლიური მონაცემების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშის შესაბამისად, 2014 წელს დასაქმდა 145 პრობაციონერი,[37] ხოლო 2015 წელს - 124.[38] აღნიშნული მაჩვენებელი პრობაციონერთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით ძალზე დაბალი მაჩვენებელია.

**საქმიანობა 5.2.4.3. სპორტული აქტივობები**

**ინდიკატორი:** სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

---

33 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/1642Mid-TermProgressReport2014GEO19.05.pdf

34 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

35 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 77 - https://bit.ly/2wjfhCF (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

36 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

37 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 47 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

38 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

**ინდიკატორისა და პასუხისმგებელი უწყების შეფასება**: ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერა პრობაციონერთა შორის მისასალმებელია, თუმცა გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა არ არის კონკრეტული და გაზომვადი. მასში საუბარია ზოგადად სპორტულ აქტივობებზე, როგორც სარეაბილიტაციო პროგრამების შემადგენელ ნაწილზე, თუმცა, რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მაჩვენებლები არ არის მოცემული, რის გამოც, შეუძლებელია მისი რეალისტურობისა და მიღწევადობის შეფასება. ინდიკატორად რაოდენობრივი მაჩვენებელია აღებული, რაც დათვლადი მონაცემია, თუმცა აღნიშნული მონაცემით საქმიანობის ან ამოცანის პროგრესის შეფასება ვერ მოხდება. ამასთან, მართალია, ინდიკატორი მიემართება სამიზნე ჯგუფს, თუმცა არ ზომავს საქმიანობით მათზე განხორციელებულ ზემოქმედებას. გეგმა სწორად განსაზღვრავს პასუხისმგებელ უწყებებს.

**შესრულების შედეგი**: ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიშის შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში სპორტულ აქტივობებში ჩართული იყო 240 პირობით მსჯავრდებული,[39] ხოლო საანგარიშო პერიოდის (2014-2015) ანგარიშის შესაბამისად, სხვადასხვა სპორტულ აქტივობებში 2014 წლის განმავლობაში ჩართული იყო 89, ხოლო 2015 წლის პერიოდში 87 პირობით მსჯავრდებული.[40] 2014 წლის მონაცემები განსხვავებულადაა მოცემული 2 სხვადასხვა ანგარიშში.

სხვადასხვა ანგარიშში სპორტულ აქტივობებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა განსხვავებულადაა მითითებული, ხოლო პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 28 ივნისს მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად კი, სპორტულ აქტივობებში ჩართული იყო 189 მსჯავრდებული. [41]

საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის სპორტულ აქტივობაში ხდებოდა პრობაციონერთა ჩართვა, თუმცა მათი რაოდენობა პრობაციონერთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით დაბალია.

**საქმიანობა 5.2.4.4. შემეცნებით-კულტურული ღონისძიებები**

**ინდიკატორი**: შემეცნებით-კულტურული ღონისძიებებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: საქმიანობა ზოგადია ხასიათისაა, თუმცა, გეგმით გათვალისწინებული ამოცანასთან შესაბამისობაშია. გეგმით გამოყენებული ინდიკატორი არის რაოდენობრივი, გაზომვადი, თუმცა, იგი არ იძლევა არც საქმიანობის და არც ამოცანის მიღწევის შეფასების შესაძლებლობას. საქმიანობის ნაკლებად განსაზღვრულობიდან გამომდინარე, ვერ მოხდება მისი რეალისტურობის შეფასება.

**შესრულების შედეგი**: გეგმით განსაზღვრული ინდიკატორი არ იძლევა გეგმის შესრულების პროგრესის შეფასების შესაძლებლობას. საანგარიშო პერიოდის (2014-2015) ანგარიშის შესაბამისად, სხვადასხვა შემეცნებით-კულტურულ აქტივობებში 2014 წლის განმავლობაში ჩართული იყო 2275, ხოლო 2015 წლის პერიოდში 1145 პირობით მსჯავრდებული.[42]

**საქმიანობა 5.2.4.5. საქველმოქმედო და ჰუმანიტარული აქციები**

**ინდიკატორი**: საქველმოქმედო და ჰუმანიტარული აქციებში ჩართულ პრობაციონერთა რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაციები.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება**: საქველმოქმედო და ჰუმანიტარული საქმიანობების აქტიურად განხორციელება ზოგადად მისასალმებელია, თუმცა, შესაფასებელია, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული საქმიანობა სარეაბილიტაციო პროგრამების შემადგენელ კომპონენტს და რამდენად შეესაბამება იგი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანას. ამასთან, საქმიანობა ზოგადი ხასიათისაა.

ინდიკატორად მითითებული პრობაციონერთა რაოდენობრივი მონაცემი არ იძლევა არც საქმიანობის და არც ამოცანის შეფასების შესაძლებლობას.

---

39 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/1642Mid-TermProgressReport2014GEO19.05.pdf

40 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

41 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

42 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. 2014 წლის განმავლობაში საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ საქმიანობაში 2014 წლის განმავლობაში ჩართული იყო 59 მსჯავრდებული.[43] მთლიანად საანგარიშო პერიოდში (2014-2015 წლები) ჩართული იყო 150-მდე პრობაციონერი.[44]

**ამოცანა 5.2.5. პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება**

გეგმით განსაზღვრულ მიზანთან - სრულყოფილ პრობაციის სისტემასთან, ამოცანა მხოლოდ ნაწილობრივაა კავშირში. საზოგადოებრივი ინფორმირების გაუმჯობესებამ შესაძლოა გააუმჯობესოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობა სარეაბილიტაციო პროცესში, მათ შორის, პრობაციონერთა დასაქმებისა და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების ნაწილში. გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების ამოცანის შესასრულებლად რელევანტურია.

**საქმიანობა 5.2.5.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიში**

**ინდიკატორი**: პრობაციის სისტემის შესახებ საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2014-2015 წლები.

**შეფასება:** საქმიანობა გულისხმობს კონკრეტული ანგარიშის გამოცემას, იგი განსაზღვრული და რეალისტურია. გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი არ იძლევა საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას. მართალია, იგი მიმართულია სამიზნე ჯგუფისადმი, თუმცა, ეხება საზოგადოებაში სათანადო ინფორმაციის არსებობას, რაც ცალკე შესაფასებელი საშუალება ვერ იქნება. საზოგადოებრივი აზრის დასადგენად აუცილებელია ცალკეული კვლევის ჩატარება. ამდენად, ინდიკატორი არ არის გაზომვადი და მისი მეშვეობით ვერც საქმიანობის და ვერც ამოცანის შეფასება მოხდება.

**შესრულების შედეგი**: პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის შესახებ მომზადდა 2014[45] და 2015 წლების წლიური ანგარიშები, ისინი განთავსდა სააგენტოს ვებ-გვერდზე. ამდენად, აღნიშნული საქმიანობა შესრულებულად უნდა მივიჩნიოთ.[46]

**საქმიანობა 5.2.5.2. საინფორმაციო ვიდეო რგოლების დამზადება, სხვადასხვა შინაარსის ფლაერებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა**

**ინდიკატორი**: პრობაციის სისტემის შესახებ საზოგადოებაში ადეკვატური ინფორმაციის არსებობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2014-2015 წლები.

**შეფასება**: საქმიანობა განსაზღვრული და რეალისტურია. საინფორმაციო მასალების დამზადება ამოცანის რელევანტურია და მიმართულია საზოგადოებაში პრობაციის სააგენტოს შესახებ ინფორმაციის მიწოდებისკენ. გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის შედეგის შეფასებას, რაც მისასალმებელია, თუმცა მხოლოდ აღნიშნული ინდიკატორით ვერ მოხდება საქმიანობის შედეგების გაზომვა.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა უმეტესად შესრულდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაიბეჭდა: პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციების და მიზნების შესახებ (რაოდენობა: 7500), 3000 საინფორმაციო ბუკლეტი; ინფორმაცია სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს შესახებ, აგრეთვე 4000–4000 ბუკლეტი საზოგადებისთვის სასარგებლო შრომისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შესახებ; აგრეთვე დაიბეჭდა და სასამართლოს შენობებში თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკრა ელექტრონული მონიტორინგისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესახებ პოსტერი (რაოდენობა 100–100 ეგზემპლარი).[47]

43 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

44 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

45 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

46 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

47 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

## 8.2. 2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა

**მიზანი 7. რეალიბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა**

**პროგრამა 7 - სრულყოფილი პრობაციის სისტემა**

2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა და აგრეთვე აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებული ამოცანები (ქვეპროგრამები) სრულიად ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მიზანსა და ამოცანებს. გეგმებს შორის განსხვავება ძირითადად გამოვლენილია სსრ სამოქმედო გეგმის უფრო დაკონკრეტებულ და დეტალიზებულ საქმიანობებსა და ინდიკატორებში. შესაბამისად, 2014 წლის გეგმის და მისი შესრულების ანალიზისას ყურადღება გამახვილდება სწორედ განსხვავებულად წარმოდგენილ აქტივობებსა და ინდიკატორებზე.

**ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება**

გეგმით გათვალისწინებული ამოცანა შეესაბამება პრობაციის სისტემის სრულყოფის მიზანს და მასში შემავალი აქტივობები ამოცანის რელევანტურია. ღონისძიებები (აქტივობები) მიმართულია სააგენტოს ინფრასტრუქტურული განვითარებისა და ადამიანური რესურსების გაძლიერებისკენ.

**ღონისძიება 7.1.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები**

**აქტივობა:** ხელფასები (არსებული საშტატო განრიგითა და არსებული სახელფასო ბადით - 324 თანამშრომელი), გაზრდილი ადმინისტრაციული ხარჯები და არაფინანსური აქტივები.

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.

**პერიოდი:** 2014 წელი.

**შეფასება:** საქმიანობა გულისხმობს სააგენტოს საშტატო ნუსხის შესაბამისად ადმინისტრაციული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდას. იგი ზოგადია და არ შეიცავს დეტალურ ინფორმაციას. მოცემულია მხოლოდ საშტატო ნუსხის დაგეგმილი (იხ. ამავე გეგმის ღონისძიება 7.1.6) ზრდის შესახებ ინფორმაცია და მასთანაა მიბმული ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა.
გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი არ არის მიმართული საქმიანობის შედეგის შეფასებისკენ და ზომავს მხოლოდ კონკრეტულ ფინანსურ მაჩვენებელს.

**შესრულების შედეგი:** 2014 წლისათვის გათვლილი აქტივობა ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდის ნაწილში შესრულებულია. 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს 225 საშტატო ერთეულისათვის ხარჯის სახით გათვალისწინებული იყო 3 190 300 ლარი, საიდანაც შრომის ანაზღაურების ხარჯი შეადგენდა 2 384 800 ლარს.[48]

2014 წლისათვის აღნიშნული სახსრები გაიზარდა. კერძოდ, 99 საშტატო ერთეულით გაზრდილი საშტატო ნუსხის შესაბამისად, 324 თანამშრომლის შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა 4 839 000 ლარი.[49]

**ღონისძიება 7.1.3. ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროს, ოფისის გახსნა, გარემონტება, აღჭურვა, ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა**

**აქტივობა:** ოფისის, ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები (მიმდინარე პროცესი) თბილისის ბიუროს ახალი ოფისის გარემონტება და აღჭურვა.

**ინდიკატორი:** გარემონტებულ და აღჭურვილ ბიუროთა რაოდენობა.

**პერიოდი:** 2014 წელი.

იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.1.1-ს.[50]

**ღონისძიება 7.1.4. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთი პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს**

---

48 საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი, პროგრამული კოდი 2700 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1810020?publication=1

49 სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა - http://www.probation.gov.ge/admin/editor/uploads/files/IIIk.biuJet5.1.pdf

50 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

**აქტივობა**: 150 პრობაციონერი თითოეულ ოფიცერზე.

**ინდიკატორი**: პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.

**პერიოდი:** 2014 წელი.

იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.1.3-ს.[51] დამატებით გეგმა ადგენს პრობაციის თითოეული ოფიცრისათვის წარმოებაში არსებული საქმეების საშუალო რაოდენობას, თუმცა, საქმიანობაც და ინდიკატორიც გამეორებულია და მიმართულია საშუალო რაოდენობის შემცირებისაკენ.

**ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება**

**აქტივობა**: აუდიტორული შემოწმება, პერსონალის გადამზადება და ტრენინგი.

**ინდიკატორი**: შეფასების ანგარიში; შეფასების ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**პერიოდი:** 2014 წელი.

**შეფასება**: აქტივობა რეალისტური და მიღწევადია. იგი ითვალისწინებს აუდიტორულ შემოწმებასა და შესაბამისი პერსონალის გადამზადებას, რაც გეგმით გათვალისწინებული ამოცანისა და მიზნის რელევანტურია. გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი საქმიანობის შესაბამისია.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია, 2014 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ჩატარდა აუდიტორული შემოწმება.[52] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიშის შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის ტრენინგები და სწავლებები, თუმცა, ანგარიშში მითითებულ ტრენინგებს შორის[53] არ არის არც ფინანსური ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ტრენინგები და არც აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ ხარვეზებთან კავშირში მყოფი სწავლებები.

**ღონისძიება 7.1.6. პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა, სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა**

**აქტივობა**: სააგენტოს საშტატო რიცხოვნების ზრდა 99 შტატით. სულ 324 შტატიანი თანამშრომელი.

**ინდიკატორი**: განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაოს აღწერილობები თითოეული პოზიციისთვის, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების განახლებული პროცედურა.

**პერიოდი:** 2014 წელი.

**შეფასება:** გეგმით განსაზღვრული ღონისძიება რამდენიმე კომპონენტს მოიცავს. იგი გულისხმობს სამსახურის სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე მის გადახედვას, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრას და სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასების ზრდას. ამასთან, უშუალოდ 2014 წლისათვის გათვალისწინებულ აქტივობაში ვხდებით მხოლოდ საშტატო რიცხოვნობის ზრდას 99 შტატით. შტატების ზრდა კონკრეტული და გაზომვადი საქმიანობაა, თუმცა, სტრუქტურის შესაბამისი ანალიზისა და მის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გარეშე იგი არ შეესაბამება გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებას. სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯების ასახვის გათვალისწინებით,[54] საქმიანობა რეალისტურია.
საქმიანობის ინდიკატორი მხოლოდ ნაწილობრივ, ორგანიზაციული სტრუქტურის განახლების ნაწილში მიესადაგება 2014 წლისათვის გათვალისწინებულ აქტივობას. მთლიანობაში, იგი მიმართულია გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შედეგების შეფასებისკენ.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა სრულად შესრულებულია, პრობაციის ეროვნული სააგენტოს საშტატო ნუსხა 2014 წელს გაიზარდა 99 ერთეულით და შეადგინა 324 საშტატო ერთეული.[55] ამასთან, ინდიკატორით

---

51 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

52 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

53 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

54 საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი პროგრამული კოდი 270202 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2144522?publication=1

55 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

გათვალისწინებული საქმიანობები, სამუშაოს აღწერილობის ფორმების განახლება, სამუშაოზე აყვანისა და მოხელეთა შეფასების საქმიანობა არ განხორციელებულა.[56]

**ღონისძიება 7.1.7. ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა**

**აქტივობა**: პერმანენტულად ადამიანური რესურსების მართვის ხაზით გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**ინდიკატორი**: ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრა და შესაბამისი მომზადება.

**პერიოდი:** 2014 წელი.

**შეფასება**: 2014 წლის სსრ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობა არ არის ღონისძიების შესაბამისი. აქტივობა ადამიანური რესურსების მართვის ხაზის გადამზადებას გულისხმობს და არა ადამიანური რესურსების საკითხთა კოორდინატორის დანიშვნას. ამასთან, თანამშრომელთა სწავლება და გადამზადება ცალკე ღონისძიების სახითაა გეგმაში გათვალისწინებული, შესაბამისად, ღონისძიება 7.1.7-ით გათვალისწინებული აქტივობა ახდენს ამავე გეგმის 7.1.8 ღონისძიების დუბლირებას.

თავად აქტივობა არის კონკრეტული და მიღწევადი, თუმცა, არ არის გაზომვადი. ამასთან, გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი მხოლოდ ნაწილობრივ მიემართება 2014 წლის აქტივობას (შესაბამისი თანამშრომლების გადამზადებას) და მიმართულია ღონისძიების (ამოცანის) გაზომვისკენ.

**შესრულების შედეგი**: ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ცენტრალურ დონეზე დაინიშნა ადამიანური რესურსების საკითხების 2 კოორდინატორი.[57] ამასთან, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშის შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული ადამიანური რესურსების საკითხებზე მომუშავე თანამშრომელთა გადამზადების შესახებ ინფორმაცია.[58]

**ღონისძიება 7.1.8. თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრენინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრენინგის გეგმების შემუშავება; ტრენინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება; სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით**

**აქტივობა**: პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი**: შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია.

**აქტივობა**: შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია შემუშავებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით და განახლება ხორციელდება ყოველ წელს.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს ტრენინგ-სტრატეგია და ყოველწლიური სასწავლო გეგმები.

**აქტივობა**: წლიური სასწავლო გეგმა და შეფასების ანგარიში.

**ინდიკატორი**: სასწავლო პროგრამების შეფასების პერიოდული ანგარიშები და შესაბამისი ცვლილებები პროგრამებში.

**აქტივობა**: პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი**: მომზადებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები.

**შეფასება**: იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.1.6-ს.[59]

2014 წლის გეგმა დამატებით ადგენს აქტივობებს ყოველწლიურ სასწავლო გეგმასთან მიმართებით და აგრეთვე ითვალისწინებს სასწავლო პროგრამებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას თითოეული საშტატო ერთეულის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულ ნაწილში გეგმა არ არის სათანადოდ განსაზღვრული. მასში არ არის მითითებული პასუხისმგებელი უწყებები, ვინაიდან პრობაციის სააგენტოსთან ერთად, შესაბამისი სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელება ხორციელდებოდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მონაწილეობით.

---

56 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

57 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

58 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

59 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

**ღონისძიება 7.1.9. არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა**

**აქტივობა**: სპეციალური კვალიფიკაციის მქონე 16 თანამშრომელი (არსებული სახელფასო განაკვეთით).

**ინდიკატორი**: შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების არსებობა.

**შეფასება**: მისასალმებელია არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან მუშაობის სპეციფიკის გამოკვეთა გეგმაში. აღნიშნული აქტივობა კარგად განსაზღვრული და გაზომვადია, შეიცავს რაოდენობრივ მაჩვენებლებს და განსაზღვრავს სავარაუდო დაფინანსების წყაროს, შესაბამისად, არის შესრულებადი და რეალისტური. გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი მიმართულია საქმიანობის (ღონისძიების) შედეგის შეფასებისკენ.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა, 2014 წლის განმავლობაში არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან სამუშაოდ გამოიყო 12 ოფიცერი.[60]

**ღონისძიება 7.1.10. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თანასწორთა ინსპექტირების სისტემის დანერგვით**

**აქტივობა**: შემუშავებულია თანასწორთა ინსპექტირების კონცეფცია და შეფასების ინსტრუმენტი.

**ინდიკატორი**: დანერგილია თანასწორთა ინსპექტირების სისტემა.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული აქტივობა არის ზოგადი და ითვალისწინებს კონცეფციის შემუშავებას. იგი შესაბამისობაშია გეგმით გათვალისწინებულ ამოცანასა და მიზანთან. თუმცა, ვინაიდან აქტივობა არ ითვალისწინებს გაზომვად მაჩვენებლებს, ვერ განისაზღვრება მისი რეალისტურობა. ამასთან, ინდიკატორი პირდაპირ არ მიესადაგება გეგმით გათვალისწინებულ აქტივობას, ვინაიდან აქტივობა 2014 წლისათვის ითვალისწინებს არა თანასწორთა ინსპექტირების სისტემის დამკვიდრებას, არამედ შესაბამისი კონცეფციის შემუშავებას, ხოლო ინდიკატორად გეგმის მიხედვით აღებულია სისტემის დანერგვა. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორით შესაძლებელია ღონისძიების შეფასება, თუმცა არა 2014 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის.

**შესრულების შედეგი**: არ არის შესრულებული. პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თანასწორობის ინსპექტირების მექანიზმზე მუშაობა დასრულდა მხოლოდ 2015 წელს და აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წელს თანასწორთა ინსპექტირების კონცეფცია არ არსებობდა.[61]

**ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება**

გეგმით გათვალისწინებული ამოცანა შეესაბამება პრობაციის სისტემის სრულყოფის მიზანს. ამოცანით გათვალისწინებული აქტივობები დიდწილად იმეორებს ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით მოცემულ საქმიანობებს. ამასთან, საკანონმდებლო ბაზის განვითარების ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღონისძიებების (აქტივობების) ნაწილი ეხება არა იმდენად კანონშემოქმედებით პროცესს, რამდენადაც მათ იმპლემენტაციას, შესაბამისად, გეგმის სტრუქტურაში აღნიშნული აქტივობები არ უნდა ექცეოდეს საკანონმდებლო ბაზის ამოცანის ქვეშ.[62]

**ღონისძიება 7.2.1. პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება**

**აქტივობა**: პრობაციის კანონის შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტების დასკვნა და რეკომენდაციები; მუშა პროცესი.

**ინდიკატორი**: მოქმედი კანონმდებლობის შეფასების ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.

**ღონისძიება 7.2.2. შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა და მიღება**

**აქტივობა**: შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა.

**ინდიკატორი**: რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში.

ღონისძიება 7.2.1 და 7.2.2 იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანა 5.2.2-ს.[63]

---

60 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

61 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

62 ღონისძიება 7.2.3; ღონისძიება 7.2.4.

63 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

**ღონისძიება 7.2.3. ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – პატიმრობის კანონის 681 მუხლი) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება და შეფასება. შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება ამ ალტერნატიულ ღონისძიებებზე (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა და ანგარიში.

**აქტივობა**: თავისუფლებაშეზღუდულ პირთა სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამებში ჩართულობის სტატისტიკა.

**ინდიკატორი**: თავისუფლების შეზღუდვის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული აქტივობებიდან მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება და აღნიშნული პროცესის შეფასება შეესაბამება ღონისძიება 7.2.3-ს, თუმცა, თავის მხრივ, არ შეე-საბამება ქვეღონისძიება 7.2-ს. აღნიშნული აქტივობა არის კონკრეტული, თუმცა არ არის გაზომვადი, რადგან არ ითვალისწინებს რაოდენობრივ მაჩვენებელს. გეგმით მოცემული ინდიკატორი მიმართულია არა სამიზნე ჯგუფზე ზემოქმედების, არამედ რაოდენობრივი შედეგის შეფასებისკენ.
ამავე ღონისძიებით გათვალისწინებული მეორე აქტივობა შეეხება თავისუფლებაშეზღუდულ პირებს და აქტივობის ნაწილში ეხება მათ ჩართულობას სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამებში. აქტივობა შინაარსობრივად არის კარგად განსაზღვრული, თუმცა, რაოდენობრივად მოიცავს მხოლოდ სტატის-ტიკურ მაჩვენებელს, რაც არ იძლევა აღნიშნული საქმიანობის წარმატებულობის შეფასების შესაძლებლობას. ამასთან, აღნიშნული აქტივობის ინდიკატორადაც მითითებულია სტატისტიკური მონაცემები, თუმცა, იგი შეეხება ზოგადად თავისუფლების შეზღუდვის სანქციის გამოყენების სტატისტიკურ მონაცემებს და პირდაპირ ბმაში არ არის შესაბამის აქტივობასთან.

**შესრულების შედეგი**: ვინაიდან არც აქტივობა და არც ინდიკატორი არ შეიცავს მონაცემებს წლის განმავლობაში - აღსასრულებელი გადაწყვეტილებების პროცენტულ მაჩვენებელს, შესაბამისად, საზოგა-დოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ნაწილში ღონისძიება ზოგადად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შემოვიდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის 1397 საქმე და აღსრულდა 1160 საქმე.[64] არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია გადაწყვე-ტილებების შესრულების პროცესში შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ, რაც იმავე აქტივობის შემადგენელი კომპონენტია.
თავისუფლების შეზღუდვის სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით, გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების შეფასება ვერ მოხდება აქტივობის, ინდიკატორისა და გეგმის შესრულების ანგარიშში არსებული განსხვავებული მონაცემების გამო. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიშის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში სააგენტომ სხვადასხვა რეგიონში 4887 პირობით მსჯავრდებული ჩართო ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ-კულტურულ ღონისძიებებში.[65] თუმცა, არც აღნიშნული და არც პრობაციის სააგენტოს წლიური ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას, აღნიშნულ პირ-თაგან რამდენი იყო თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოთავსებული, ვინაიდან სწორედ მათ ეხებათ გეგმით გათვალისწინებული აქტივობა. ამასთან, ცნობილია, რომ 2014 წლის განმავლობაში მასში განთავსებული იყო 36 პირი. 2014 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიამ მასში განთავსება 41 პატიმარს მიუსაჯა.[66]

**ღონისძიება 7.2.4. არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება**

**აქტივობა**: არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკის ჩართვის პილოტირება.

**ინდიკატორი**: შესაბამისი კონცეფციები (კომისიების შემადგენლობისა და მუშაობის წესის განმსაზღვრელი); შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა.

---

64 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

65 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

66 არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, გვ, 29 - https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus_Geo.pdf

**შესრულების შედეგი**: 2014 წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა საქმეებზე სასჯელის მისჯამდე პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკები არ იყვნენ ჩართულნი და ისინი პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისათვის ამზადებდნენ მხოლოდ ანგარიშებს პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების სოციალური გარემოს შესახებ.[67]

**ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება**

ქვეპროგრამა არსებითად ემთხვევა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ შესაბამის ამოცანას.[68] ორივე გეგმის შესაბამისად, ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესებისათვის გამოკვეთილია ორი პრიორიტეტული მიმართულება, პირველია საქმის წარმოების სპეციალური ელექტრონული სისტემა, ხოლო მეორე გულისხმობს მსჯავრდებულებთან რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობას. ამასთან, ორ გეგმას შორის არ ვხვდებით არსებით წინააღმდეგობას საქმიანობებისა და ინდიკატორების მხრივ, თუმცა, 2014 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დამატებით ღონისძიებებს (აქტივობებს), რომლებიც მიმართულნი არიან სწორედ პრიორიტეტული ორი ამოცანის განხორციელებისკენ და წარმოადგენენ ამოცანისა და მიზნის რელევანტურ აქტივობებს.

**ღონისძიება 7.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება**

**აქტივობა**: ბაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის მისი განახლება/შესწორება (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: გამართულად მოქმედი ელექტრონული ბაზა.

**აქტივობა**: ბაზა ფუნქციონირებს ყველა რეგიონალურ ოფისში.

**ინდიკატორი**: რეგიონული ოფისები, სადაც ბაზა მუშაობს.

**აქტივობა**: პროგრამის განახლება და სრულყოფა.

**ინდიკატორი**: ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შეფასება**: ღონისძიება 7.3.1. ძირითადად იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.3-ს.[69]

დამატებით აქტივობად გეგმა ითვალისწინებს ბაზის ფუნქციონირებას ყველა რეგიონალურ ოფისში. აქტივობა კარგად განსაზღვრული და გაზომვადია. მის შესაფასებლად ინდიკატორი სწორადაა შედგენილი და იგი მიემართება აქტივობის შედეგს.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულად უნდა შეფასდეს. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიშის შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში პრობაციის ყველა ოფისში რეგისტრაცია მიმდინარეობს დაქტილოსკოპიური აპარატის გამოყენებით და ეფექტურად ფუნქციონირებს ელექტრონული მონაცემთა ბაზა.[70] ამასთან, ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებულია პირობით მსჯავრდებულთა 100 პროცენტი.[71]

**ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)**

**აქტივობა**: დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია ფუნქციონირებს ყველა ოფისში

**ინდიკატორი**: ფუნქციონირებადი დაქტილოსკოპიური აღრიცხვის სისტემა ბიუროების მიხედვით.

**შეფასება**: აქტივობა კონკრეტულად განსაზღვრულია და გაზომვადია. ინდიკატორი მიმართულია კონკრეტული აქტივობის შედეგის შეფასებისკენ და იძლევა მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობას.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია, 2014 წლის განმავლობაში ყველა ოფისში დანერგილი იყო თითის ანაბეჭდებით რეგისტრაციის სისტემა.[72]

---

67 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

68 ამოცანა 5.3.2.

69 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

70 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 45 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf_(ბოლო ნახვა: 26.05.2019).

71 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

72 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 46 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

**ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის, შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრენინგების მხარდაჭერით**

**აქტივობა**: რისკის შეფასების მოდელი დანერგილია ქვეყნის მასშტაბით და მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარების პროცესი.

**ინდიკატორი**: რისკის შეფასების პილოტური მოდელი და პილოტირების შედეგები.

**ღონისძიება 7.3.4 პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან**

**აქტივობა**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის დანერგვა პრობაციის ყველა ბიუროში; ჩართულია პრობაციონერთა 50%.

**ინდიკატორი**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის ფუნქციონირება ბიუროების მიხედვით;

ღონისძიება 7.3.3. და 7.3.4. იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.3.2-ს.[73]

ღონისძიება 7.3.5. საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება.

**აქტივობა**: საქმის წარმოების წესის დამდგენი ინსტრუქციის და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება ოფიცერთათვის.

**ინდიკატორი**: საქმის წარმოების წესის დამდგენი ინსტრუქცია და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; მომზადებულ ოფიცერთა რაოდენობა.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული აქტივობა კარგად განსაზღვრულია და შეესაბამება ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების მიზანს. ამასთან, საქმის წარმოების სისტემის ფუნქციონირებიდან გამომდინარე აქტივობა რეალისტურია. გეგმა ითვალისწინებს როგორც აქტივობის შედეგის შესაფასებელ, აგრეთვე სამიზნე ჯგუფის შესაფასებელ ინდიკატორებს.

**შესრულების შედეგი**: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიშში განსახილველ აქტივობასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ სააგენტოში საანგარიშო წლის განმავლობაში წარმატებულად ფუნქციონირებდა საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა, თუმცა, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ შეესაბამება აქტივობას და მის ინდიკატორებს.

2014 წლის განმავლობაში ტრენინგი თემაზე „საბაზისო მომზადება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის თანამშრომელთათვის", რომელიც მოიცავდა საქმის წარმოების წესებს და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს, გაიარა სააგენტოს 27-მა ოფიცერმა.[74]

**ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის გაზრდა და სამუშაო ადგილების ბაზის განახლება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სტატისტიკა და წარმატებით დასრულების მაჩვენებელი.

**შეფასება**: მისასალმებელია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევის გააქტიურება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების მაჩვენებლის გაზრდის თვალსაზრისით. გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ზოგადი ხასიათისაა, პრობაციის სააგენტოს ფუნქციებიდან გამომდინარე, მასში უნდა მოვიაზროთ სააგენტოში შესული საქმეების აღსრულების მაჩვენებლის გაუმჯობესება. ამასთან, აქტივობა არ შეიცავს კონკრეტულ მონაცემებს, რა ფარგლებშიც უნდა მოხდეს წინა წლის მაჩვენებლების გაუმჯობესება, შესაბამისად აქტივობის რეალისტურობის შეფასება ვერ მოხდება. აქტივობის მეორე კომპონენტი, სამუშაო ადგილების ბაზის განახლება, ზოგადი ხასიათისაა და არ შეიცავს გაზომვად მაჩვენებლებს.

**შესრულების შედეგი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის ზრდის ნაწილში აქტივობა შესრულებულია. გაზრდილია შესული საქმეების აღსრულების პროცენტული მაჩვენებელი.

2013 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შევიდა 1101 საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის საქმე, საიდანაც, წლის განმავლობაში, აღსრულდა 860 საქმე,[75] რაც შესული საქმეების 78%-ს შეადგენს.

---

73 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

74 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის 2/58146 წერილი.

75 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეხუთე (2013 წლის) ანგარიში, გვ. 54 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%2FPROGRESS%20REPORT%202013%20GEO.pdf

პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიშის შესაბამისად, 30 ნოემბრის მდგომარეობით, სააგენტოში შესული საქმეების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა 1228-მდე, საიდანაც აღსრულდა 1056 საქმე[76] - შესული საქმეების 84%.

**ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა**

**აქტივობა**: პერიოდული ანგარიშების მომზადება და განთავსება ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი**: საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

გეგმით გათვალისწინებული აქტივობა მიემართება საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებას, თუმცა, არის ზოგადი ხასიათის და არ შეიცავს ანგარიშების რაოდენობრივ და შინაარსობრივ მახასიათებლებს. აქტივობისთვის გათვალისწინებული ინდიკატორი ემთხვევა აქტივობას და, შესაბამისად, არ გამოდგება აქტივობის შესრულების შესაფასებლად.

**შესრულების შედეგი**: გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია.

**ღონისძიება 7.3.8. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით**

**აქტივობა**: დაგეგმილი პილოტირების შესახებ სასჯელაღსრულების წარმომადგენელთათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩართვა სამუშაო პროცესში.

**ინდიკატორი**: ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, ინფორმაციის გაცვლა, სამუშაო ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა.

**შეფასება**: მისასალმებელია სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის კოორდინაციისკენ მიმართული ღონისძიების გათვალისწინება გეგმაში. თუმცა, გეგმაში მოცემული აქტივობა ზოგადი ხასიათისაა, არ შეიცავს დათვლად მაჩვენებლებს შეხვედრების, ინფორმაციის მიწოდებისა და შეხვედრების პერიოდის ან რაოდენობის შესახებ, შესაბამისად, აქტივობა არ არის არც დროში შესაბამისად გაწერილი.

აქტივობის ინდიკატორი ასევე ზოგადია, არ ზომავს აქტივობის შედეგს, ხოლო მისი ფორმულირება შესაძლოა განხილულ იქნას ცალკე აქტივობად და არა გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულების შეფასების საშუალებად.

**შესრულების შედეგი**: ინდიკატორისა და აქტივობის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდ ჩაითვალოს. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიშის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ორ უწყებას შორის გარკვეულ თანამშრომლობას ჰქონდა ადგილი, თუმცა თანამშრომლობის სფეროები დაკონკრეტებული არ არის. მისასალმებელია პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების ჩართულობა პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისათვის არასრულწლოვანის ოჯახის შეფასებას მომზადების პროცესში.[77]

სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილის შესაბამისად, 2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ფუნქციონირებდა სამუშაო ჯგუფი, გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან ურთიერთობის მოდელთან დაკავშირებით.[78]

**ქვეპროგრამა 7.4 . სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

გეგმით გათვალისწინებული ამოცანა სრულად ემთხვევა ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამის ამოცანას. ამასთან, სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა 2014 წლისათვის ღონისძიებების თვალსაზრისით, მეტ აქცენტს აკეთებს, ერთი მხრივ, სარეაბილიტაციო პროგრამებში საზოგადოების ჩართულობის განვითარებაზე, მათ შორის, არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობაზე, ხოლო მეორე მხრივ, სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებაში სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადებაზე. სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების ამოცანის შესასრულებლად გეგმით გათვალისწინებული აქტივობები არ არის საკმარისი და მასში მოცემული უნდა იყოს საანგარიშო წლის განმავლობაში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამებთან დაკავშირებული აქტივობები, დაგეგმილი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით.

---

**76** პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

**77** სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 46 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

**78** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

**ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო სამმართველოს გამართული ფუნქციონირება**

**აქტივობა**: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცება და სამუშაო პროცესი.

**ინდიკატორი**: სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პირობით მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომობა.

**შეფასება**: მართალია, 2014 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული აქტივობა განსაზღვრულია, თუმცა, აცდენილია ღონისძიება 7.4.1-ს და ითვალისწინებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცებას. აღნიშნული აქტივობა, გეგმის დამტკიცების თვალსაზრისით არ შედიოდა უშუალოდ პრობაციის სააგენტოს კომპეტენციაში. ამასთან, გეგმაზე მუშაობა და მისი დამტკიცება პირდაპირ არ უკავშირდება სარეაბილიტაციო სამმართველოს გამართულ ფუნქციონირებას.

რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის გეგმის შემუშავების პროცესში, 2014 წლის განმავლობაში, სხვა უწყებებთან ერთად ჩართული იყო პრობაციის ეროვნული სააგენტო, თუმცა, იგი დაამტკიცა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ.[79]

გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი მიმართულია ღონისძიების ზემოქმედების შედეგის შეფასებისკენ, თუმცა, ზოგადია და არ შეიცავს დათვლად მაჩვენებლებს. ამასთან, ინდიკატორი სრულიად არ შეესაბამება 2014 წლისათვის გათვალისწინებულ აქტივობას.

**შესრულების შედეგი**: ღონისძიება შესრულებულია. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №370 ბრძანებით შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო. სამმართველოს ხელშეწყობით, ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამები გაიარა 1665-მა პირობითმა მსჯავრდებულმა; პროფესიული გადამზადებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული იყო 807 პირობითი მსჯავრდებული.[80]

**ღონისძიება 7.4.2. შერჩეული პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება**

**აქტივობა**: რეგიონებში პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სარეაბილიტაციო პროგრამის იდენტიფიცირება და განხორციელება.

**ინდიკატორი**: ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით წარმატებით დასრულება.

**შეფასება**: მისასალმებელია არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობისკენ მიმართული პრობაციის ეროვნული სააგენტოს აქტივობები. წინამდებარე აქტივობა არის კარგად განსაზღვრული, რეალისტური და პრობლემებზე ორიენტირებული. იგი გეგმით დადგენილი ამოცანისა და მიზნის რელევანტურია. ინდიკატორად გამოყენებულია რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომელიც ზომავს როგორც აქტივობის (ღონისძიების) შესრულების, ისე ამოცანის შესრულების შემოწმების შესაძლებლობას.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე ანგარიში მიუთითებს 2014 წლის განმავლობაში არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით განხორციელებულ არაერთ სარეაბილიტაციო პროგრამაზე.[81] 2014 წლის განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაცია „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის" სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 43 პირობითი მსჯავრდებული, ხოლო „საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა: სოციალური ბიუროების შექმნა ყოფილი პატიმრების, პატიმრებისა და პრობაციონერებისათვის" - იმერეთის რეგიონში ფსიქოლოგიური მომსახურება გაუწია 9 მსჯავრდებულმა.[82]

**ღონისძიება 7.4.3. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა რეგიონებში მოხალისეების ჩართულობით**

**აქტივობა**: მუდმივი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**ინდიკატორი**: რეგიონალურ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება გულისხმობს რეგიონულ დონეზე საზოგადოების ჩართულო-

---

79 http://prevention.gov.ge/news/3083/geo

80 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში, გვ. 47 - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

81 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 48 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

82 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

ბის განვითარებას, ხოლო აქტივობა ზოგადი ხასიათისაა და ითვალისწინებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. აქტივობა არ არის დეტალიზებული, გაზომვადი. მასში არ კონკრეტდება თანამშრომლობის სფერო, თუმცა ვინაიდან აქტივობა მოქცეულია სარეაბილიტაციო პროგრამების ამოცანის (ქვეპროგრამის) ქვეშ, უნდა მოვიაზროთ სწორედ აღნიშნული პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობა. ასევე, აღნიშნული აქტივობა ფაქტობრივად იმეორებს 7.4.2 ღონისძიებით გათვალისწინებულ აქტივობას. ამასთან, არც აქტივობა და არც მასთან დაკავშირებით მითითებული ინდიკატორი არ მიემართება და არ აფასებს მოხალისეების ჩართულობას სარეაბილიტაციო პროგრამებში.

ღონისძიებით გათვალისწინებული ინდიკატორი ზოგადი ხასიათისაა და მიემართება მხოლოდ გეგმით გათვალისწინებულ აქტივობას. ინდიკატორი არ ზომავს მოხალისეების ჩართულობას სარეაბილიტაციო პროგრამებში, არამედ ზოგადად უთითებს რეგიონულ დონეზე არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას, შესაბამისად, ფაქტობრივად იმეორებს აქტივობას, რის გამოც, მისი მეშვეობით შეუძლებელია აქტივობის შესრულების ზუსტი შეფასება.

**შესრულების შედეგი**: იხილეთ ღონისძიება 7.4.2-ის შედეგის შეფასება. 2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ფსიქო-სოციალური კონსულტაციის ცენტრი „ახალი გზა“;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი;
- შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“;
- საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰილფსკვერკ ავსტრია“;
- იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“;
- კავშირი „ადამიანები განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“.

**ღონისძიება 7.4.4. პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრეინინგების დაწყება**

**აქტივობა**: სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს ოფიცერთა 90%.

**ინდიკატორი**: სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისთვის მომზადებულ ოფიცერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შეფასება**: ღონისძიება გეგმით გათვალისწინებული ამოცანისა და მიზნის რელევანტურია და აუცილებელია მათ შესასრულებლად. აქტივობა სათანადოდაა განსაზღვრული, შეიცავს რაოდენობრივ მაჩვენებელს და, სააგენტოს რესურსების გათვალისწინებით, მიღწევადია. ინდიკატორი სწორადაა შერჩეული და იძლევა აქტივობის წარმატებულობის შეფასების შესაძლებლობას.

**შესრულების შედეგი**: 2014 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ტრენინგებში ჩაერთო პრობაციის 32 ოფიცერი.[83]

**ქვეპროგრამა 7.5. უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება**

ქვეპროგრამა, განსხვავებით ადამიანის უფლებების სამთავრობო სამოქმედო გეგმისგან, საზოგადოების ინფორმირების ამოცანასთან ერთად, აერთიანებს პრობაციის სააგენტოს ჩართულობას უწყებათაშორის საკოორდინაციო შეხვედრებში, რაც გეგმით გათვალისწინებული მიზნის რელევანტურია. ამასთან, ქვეპროგრამით გათვალისწინებული აქტივობები სრულად შეესაბამება ამოცანას.

საზოგადოების ინფორმირების ნაწილში წინამდებარე გეგმა იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანა 5.2.5-ს.[84]

**ღონისძიება 7.5.1. უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა**

**აქტივობა**: მუდმივი მონაწილეობა სამუშაო ჯგუფებში.

**ინდიკატორი**: უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩართულობა.

---

83 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 46 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

84 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

**შეფასება:** მნიშვნელოვანია პრობაციის სააგენტოს აქტიური ჩართულობა უწყებათაშორის სამუშაო ფორმატებში. გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ითვალისწინებს ზოგად, მიმდინარე საქმიანობას. აქტიურობის ინდიკატორი ზოგადია და რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების კომპონენტის გარეშე იმეორებს აქტივობას.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა შესრულებულია. პრობაციის სააგენტო ჩართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფში; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში; დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში; არასრულწლოვანთა დელინქვენტობის კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მომუშავე ჯგუფში.[85]

**ღონისძიება 7.5.2. ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით**

**აქტივობა:** პერიოდული შეხვედრები საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

**ინდიკატორი:** შესაბამისი შეხვედრების რაოდენობა და მედიის მიერ მათი გაშუქება.

**შეფასება:** მისასალმებელია პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების გათვალისწინება გეგმაში. აქტივობა განსაზღვრულია, თუმცა არ ითვალისწინებს შეხვედრების პერიოდულობის შესახებ ინფორმაციას. ინდიკატორად გამოყენებულია რაოდენობრივი მაჩვენებელი, თუმცა, ვინაიდან აქტივობა ზოგადად შეხვედრებს მოიაზრებს და არ გულისხმობს მათ რაოდენობასა და ფორმატს, რთულდება მისი შესრულების შეფასება.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. 2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ ჟურნალისტებისთვის გამართა 6 თვის საქმიანობის ანგარიში,[86] აგრეთვე საანგარიშო პერიოდში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „პრობაციის ეროვნული სააგენტო: რეალობა და გამოწვევები“.[87]
2014 წლის 7-9 დეკემბერს საქართველოში იმყოფებოდა გაეროს ტელევიზია „XXI საუკუნის“ ჟურნალისტი, „ფარკასმედია“-ს დამფუძნებელი სიუზან ფარკასი, რომელიც გაეროს დემოკრატიის ფონდისთვის იღებდა დოკუმენტურ ფილმს პატიმრობის ალტერნატიული სანქციების შესახებ. საქართველოს პრობაციის სისტემის შესახებ გადაღებული ფილმის ჩვენება 2015 წლის თებერვალში ნიუ-იორკში გაიმართა.[88]

**ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**აქტივობა:** საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად მოქმედებების დაგეგმვა; PR აქციების სისტემატიური განხორციელება.

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალები: საგაზეთო ჩანართები, სატელევიზიო სიუჟეტები, გავრცელებული ბროშურების რაოდენობა.

**შეფასება:** გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შესაბამისად PR აქტივობის დაგეგმვა, რაც მისასალმებელია და მიმართულია მიზნობრივი აუდიტორიისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისკენ და შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულ ამოცანას. აქტივობა ზოგადი ხასიათისაა, სააგენტოს რესურსებიდან გამომდინარე, აქტივობა რეალისტურია. ინდიკატორად გამოყენებულია რაოდენობრივი მაჩვენებლები, თუმცა არ ითვალისწინებს საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და აქტივობის შედეგის შეფასებას.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა. პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევასთან დაკავშირებით ინფორმაცია პრობაციის სააგენტოს ანგარიშებში მითითებული არ არის. 2014 წელს დაიბეჭდა 30 000 ბუკლეტი პირობით მსჯავრდებულთა უფლება-მოვალეობების შესახებ, 400 ბუკლეტი კი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შესახებ. ტელევიზიით გავიდა ერთი ვიდეორგოლი პრობაციის სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციების შესახებ.[89]

2014 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესახებ გავიდა 50-მდე სიუჟეტი ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „მაესტრო“, „რუსთავი 2“, „ტვ-3“, „აჭარა“, „ერთსულოვნება“, „კავკასია“.

---

85 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეექვსე (2014 წლის) ანგარიში, გვ. 49 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fnew-015%2FCJR%20Progress%20Report%202014%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

86 http://probation.moc.gov.ge/geo/main/index/966

87 http://www.probation.gov.ge/geo/main/index/1072

88 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

89 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების შუალედური ანგარიში - http://gov.ge/files/456_54921_203660_323_51418_990169_ProgressGEO19.05.pdf

2014 წელს სააგენტოს საქმიანობის შესახებ, დაიბეჭდა 30-მდე სტატია პრესაში: „ახალი თაობა“, „ვერსია“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „Georgian Journal“, „მესინჯერი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ქრონიკა“, „დუშეთის მაცნე“, „ალიონი“ და სხვა.[90]

## 8.3. 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა

**მიზანი 7. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა**

**პროგრამა 7. სრულყოფილი პრობაციის სისტემა**

2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა, და აგრეთვე აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებული ამოცანები (ქვეპროგრამები) სრულიად იმეორებს 2014 წლის ანალოგიურ გეგმას. შესაბამისად, წინამდებარე თავში შეფასდება მხოლოდ გეგმის შესაბამისი კომპონენტების შესრულება გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესაბამისად.

ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება.

**ღონისძიება 7.1.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები**

**აქტივობა**: ხელფასები (არსებული საშტატო განრიგითა და არსებული სახელფასო ბადით - 324 თანამშრომელი), გაზრდილი ადმინისტრაციული ხარჯები და არაფინანსური აქტივები.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.

**შესრულების შედეგი**: 2015 წლისათვის პრობაციის ეროვნული სააგენტოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულმა სახსრებმა 323 საშტატო ერთეულზე შეადგინა 8 087000 ლარი.[91]

**ღონისძიება 7.1.3. ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროსა და ოფისის გახსნა, გარემონტება და აღჭურვა; ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა;**

**აქტივობა**: ოფისის, ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები (მიმდინარე პროცესი).

**ინდიკატორი**: გარემონტებულ და აღჭურვილ ბიუროთა რაოდენობა.

იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.1.1-ს.[92]

**ღონისძიება 7.1.4. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთი პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს**

**აქტივობა**: 150 პრობაციონერი თითოეულ ოფიცერზე.

**ინდიკატორი**: პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.

იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.1.3-ს.[93] დამატებით გეგმა ადგენს პრობაციის თითოეული ოფიცრისათვის წარმოებაში არსებული საქმეების საშუალო რაოდენობას, თუმცა, საქმიანობაც და ინდიკატორიც გამეორებულია და მიმართულია საშუალო რაოდენობის შემცირებისაკენ.

**ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება**

**აქტივობა**: აუდიტორული შემოწმება, პერსონალის გადამზადება და ტრენინგი.

**ინდიკატორი**: შეფასების ანგარიში; შეფასების ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. 2015 წელს განხორციელდა პრობაციის სააგენტო აუდიტორული შემოწმება.

---

90 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58146 წერილი.

91 საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი - https://matsne.gov.ge/document/view/2639159?publication=3

92 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

93 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიშის შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ სხვადასხვა სახის 22 ტრენინგი[94].

**ღონისძიება 7.1.6. პრობაციის სამსახურის სტრუქტურის, პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა. სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა**

**აქტივობა:** სააგენტოს თანამშრომელთა ხელფასების ზრდა არ იგეგმება და დაემატება 65 საშტატო ერთეული (სააგენტოს 389 თანამშრომელი).

**ინდიკატორი:** განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაოს აღწერილობები თითოეული პოზიციისთვის, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების განახლებული პროცედურა.

**შესრულების შედეგი:** საქმიანობა სრულად შესრულებულია, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა 2015 წელს გაიზარდა და განისაზღვრა 323 შტატიანი და 70 შტატგარეშე თანამშრომლით. გარდა ამისა, შესრულდა ღონისძიებით გათვალისწინებული აქტივობა - სასჯელაღსრულებისა პრობაციის მინისტრის მიერ ბრძანებით განისაზღვრა სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები.[95]

**ღონისძიება 7.1.7. ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა**

**აქტივობა:** პერმანენტულად ადამიანური რესურსების მართვის ხაზით გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**ინდიკატორი:** ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრა და შესაბამისი მომზადება.

**შესრულების შედეგი:** ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ცენტრალურ დონეზე 2015 წლის მონაცემებითაც საქმიანობს ადამიანური რესურსების საკითხების 2 კოორდინატორი. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში იძლევა ინფორმაციას ადამიანური რესურსების მიმართულების თანამშრომელთა ზოგადი გადამზადების შესახებ.[96]

**ღონისძიება 7.1.8. თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრენინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრენინგის გეგმების შემუშავება; ტრენინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება; სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით**

**აქტივობა:** პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი:** შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია.

**აქტივობა:** შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია შემუშავებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით და განახლება ხორციელდება ყოველ წელს.

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს ტრენინგ-სტრატეგია და ყოველწლიური სასწავლო გეგმები.

**აქტივობა:** წლიური სასწავლო გეგმა და შეფასების ანგარიში.

**ინდიკატორი:** სასწავლო პროგრამების შეფასების პერიოდული ანგარიშები და შესაბამისი ცვლილებები პროგრამებში.

**აქტივობა:** პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი:** მომზადებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები.

იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.1.6-ს.[97]

---

94 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

95 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ 73 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

96 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

97 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

2015 წლის გეგმა აგრეთვე იმეორებს 2014 წლის გეგმის ანალოგიურ ღონისძიებას.

**ღონისძიება 7.1.9. არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა**

**აქტივობა**: სპეციალური კვალიფიკაციის მქონე 16 თანამშრომელი (არსებული სახელფასო განაკვეთით).

**ინდიკატორი**: შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების არსებობა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულდა. 2015 წლის განმავლობაში არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულებთან სამუშაოდ გამოყოფილია სპეციალურად გადამზადებული 33 სოციალური მუშაკი და 3 ოფიცერი თითო რეგიონიდან. 2015 წელს აღნიშნული მიმართულებით დამატებით გადამზადდა 13 ოფიცერი.[98]

**ღონისძიება 7.1.10. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თანასწორთა ინსპექტირების სისტემის დანერგვით**

**აქტივობა**: შემუშავებულია თანასწორთა ინსპექტირების კონცეფცია და შეფასების ინსტრუმენტი.

**ინდიკატორი**: დანერგილია თანასწორთა ინსპექტირების სისტემა.

**ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება**

**ღონისძიება 7.2.1. პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება**

**აქტივობა**: პრობაციის კანონის შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტების დასკვნისა და შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის კანონის ყოველწლიური განახლება.

**ინდიკატორი**: მოქმედი კანონმდებლობის შეფასების ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.

**ღონისძიება 7.2.2. შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა და მიღება**

**აქტივობა**: შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა.

**ინდიკატორი**: რეკომენდაციების შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში.

ღონისძიება 7.2.1 და 7.2.2 იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანა 5.2.2-ს.[99]

**ღონისძიება 7.2.3. ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – პატიმრობის კანონის 681-ე მუხლი) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ**

**აქტივობა**: არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკის ჩართვა; არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასასამართლო ანგარიშის მომზადება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა და ანგარიში.

**აქტივობა**: თავისუფლებაშეზღუდულ პირთა სარეაბილიტაციო, მავნე დამოკიდებულებების მქონე პირთათვის განკუთვნილ პროგრამაში „ატლანტისი“ და პროფესიულ გადამზადებაში ჩართულობის სტატისტიკა.

**ინდიკატორი**: თავისუფლების შეზღუდვის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა.

**შესრულების შედეგი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ნაწილში ღონისძიება შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან გეგმა ინდიკატორად არ ადგენს აღსრულებული საქმეების რაიმე ზღვრულ მაჩვენებელს. პრობაციის სააგენტოში შესული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 1612 საქმიდან აღსრულდა 1391.[100]

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიშის შესაბამისად, პროგრამა „ატლანტისის“ ფარგლებში ტრენინგი გაიარეს თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების თანამშრომლებმა. ამასთან პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის წერილის შესაბამისად კი, თავისუფლება-

98 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 73 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

99 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

100 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

შეზღუდულ პირთა სარეაბილიტაციო და მავნე დამოკიდებულების მქონე პირთათვის განკუთვნილი პროგრამა „ატლანტისი“ არ განხორციელებულა.[101]

თავისუფლების შეზღუდვის სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან დაწესებულების ამოქმედებიდან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სასჯელი მოიხადა 99-მა მსჯავრდებულმა პირმა, 2015 წლის ბოლოსათის კი სასჯელს იხდიდა 26 თავისუფლებაშეზღუდული პირი.[102]

2015 წლის განმავლობაში თავისუფლების შეზღუდვა, როგორც პატიმრობის ალტერნატივა, გამოყენებულ იქნა 50 პირის მიმართ.[103]

**ღონისძიება 7.2.4. არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება**

**აქტივობა**: არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკის ჩართვის პილოტირება.

**ინდიკატორი**: შესაბამისი კონცეფციები (კომისიების შემადგენლობისა და მუშაობის წესის განმსაზღვრელი); შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა არ შესრულდა. პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის წერილის შესაბამისად, არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასასამართლო ანგარიშების მომზადება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საფუძველზე განხორციელდა 2016 წლის 1 მარტიდან. შესაბამისად, 2015 წელს ამგვარი ანგარიშები არ მომზადებულა.[104]

**ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება**

**აქტივობა**: ბაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის მისი განახლება/შესწორება (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: გამართულად მოქმედი ელექტრონული ბაზა.

**აქტივობა**: ბაზა ფუნქციონირებს ყველა რეგიონალურ ოფისში.

**ინდიკატორი**: რეგიონული ოფისები, სადაც ბაზა მუშაობს.

**აქტივობა**: პროგრამის განახლება და სრულყოფა.

**ინდიკატორი**: ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შეფასება**: ღონისძიება 7.3.1. ძირითადად იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.3-ს,[105] ხოლო 2015 წლის გეგმა 2014 წლის გეგმის წინამდებარე ნაწილის ანალოგიურია.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულად უნდა შეფასდეს. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიშის შესაბამისად, ელექტრონული მონაცემთა ბაზა წლის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირებდა.

**ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)**

**აქტივობა**: დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია ფუნქციონირებს ყველა ოფისში.

**ინდიკატორი**: ფუნქციონირებადი დაქტილოსკოპიური აღრიცხვის სისტემა ბიუროების მიხედვით.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია, ყველა ოფისში დანერგილია დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია და პრობაციონერთა 100% რეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში.[106]

---

101 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

102 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში, გვ.51 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

103 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

104 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

105 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

106 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

**ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის-შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრეინინგების მხარდაჭერით**

**აქტივობა**: რისკის შეფასების მოდელი დანერგილია ქვეყნის მასშტაბით და მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარების პროცესი.

**ინდიკატორი**: რისკის შეფასების პილოტური მოდელი და პილოტირების შედეგები.

**ღონისძიება 7.3.4. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან**

**აქტივობა**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის დანერგვა პრობაციის ყველა ბიუროში; ჩართულია პრობაციონერთა 55%.

**ინდიკატორი**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის ფუნქციონირება ბიუროების მიხედვით.

ღონისძიება 7.3.3 და 7.3.4 იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.3.2-ს.[107]

2015 წლის განმავლობაში რისკის შეფასების მოდელის დანერგვის პილოტირების შესახებ ანგარიში არ მომზადებულა.[108]

**ღონისძიება 7.3.5. საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება**

**აქტივობა**: შემუშავებული ინსტრუქციითა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოთი მუშაობა; საჭიროებისამებრ განახლების პროცესი, პრობაციის ოფიცერთა სახელმძღვანელოს გამოცემა.

**ინდიკატორი**: საქმის წარმოების წესის დამდგენი ინსტრუქცია და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; მომზადებულ ოფიცერთა რაოდენობა.

**შესრულების შედეგი**: უმეტესად შესრულებულია. 2015 წელს გამოიცა პრობაციის სამართლის სახელმძღვანელო[109] და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსი. თუმცა, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას შესაბამის მეთოდოლოგიით გადამზადებული ოფიცრების რაოდენობის შესახებ.[110]

2015 წლის განმავლობაში ტრენინგი თემაზე „საბაზისო მომზადება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის თანამშრომელთათვის", რომელიც მოიცავდა საქმის წარმოების წესებს და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს, გაიარა სააგენტოს 14-მა ოფიცერმა.[111]

**ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის გაზრდა და სამუშაო ადგილების ბაზის განახლება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სტატისტიკა და წარმატებით დასრულების მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის ზრდის ნაწილში აქტივობა შესრულებულია. გაზრდილია შესული საქმეების აღსრულების პროცენტული მაჩვენებელი. პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიშის შესაბამისად, 30 ნოემბრის მდგომარეობით სააგენტოში შესული საქმეების რაოდენობა შეადგენდა 1228 საქმეს, რომელთაგან აღსრულდა 1056 საქმე,[112] - შესული საქმეების 84%-ს. 2015 წელს სააგენტოში შესული 1612 საქმიდან აღსრულდა 1391 (86%).[113]

---

107 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

108 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

109 https://www.penalreform.org/resource/probation-law-manual-georgia/

110 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ.76 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

111 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

112 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2014_angarishi.pdf (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

113 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

**ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა**

**აქტივობა:** პერიოდული ანგარიშების მომზადება და განთავსება ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი:** საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

**შესრულების შედეგი:** გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიშის შესაბამისად, ამგვარი ანგარიშები პერიოდულად ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

**ღონისძიება 7.3.8. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით**

**აქტივობა:** დაგეგმილი პილოტირების შესახებ სასჯელაღსრულების წარმომადგენელთათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ჩართვა სამუშაო პროცესში.

**ინდიკატორი:** ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, ინფორმაციის გაცვლა, სამუშაო ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა.

**შესრულების შედეგი:** ინდიკატორისა და აქტივობის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდ ჩაითვალოს. სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, დაგეგმილი პილოტირების შესახებ გარკვეული შეხვედრები 2015 წლის განმავლობაში იმართებოდა.[114]

2015 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ფუნქციონირებდა სამუშაო ჯგუფი, გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან ურთიერთობის მოდელთან დაკავშირებით, რომლის მიზანი იყო მსჯავრდებულების დაწესებულებიდან თავისუფლებისთვის მზადებისა და რეაბილიტაციის ეფექტური სქემისა და კოორდინაციის შემუშავება-დანერგვა.

2015 წელს ევროკავშირის პროქტის - „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში" - ფარგლებში, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის" პროგრამის შექმნა/დანერგვის მიზნით. აღნიშნული პროგრამისა და სახელმძღვანელოს შექმნაში სხვა უწყებებთან ერთად ჩართული იყო პრობაციის ეროვნული სააგენტო.[115]

**ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

**ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო სამმართველოს გამართული ფუნქციონირება**

**აქტივობა:** რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით მუშაობა და საჭიროებისამებრ განახლება.

**ინდიკატორი:** სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პირობით მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომობა.

**შესრულების შედეგი:** 2014-2015 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 8238–მა პირობითმა მსჯავრდებულმა.[116]

**ღონისძიება 7.4.2. შერჩეული პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება**

**აქტივობა:** რეგიონებში პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სარეაბილიტაციო პროგრამის იდენტიფიცირება და განხორციელება.

**ინდიკატორი:** ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით წარმატებით დასრულება.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა სრულად შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიშის მიხედვით, შემუშავებულია 26 სარეაბილიტაციო მოდული, ხოლო 8 სარეაბილიტაციო პროგრამა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.[117]

---

114 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

115 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

116 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015) შესრულების ანგარიში, გვ.52 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/37512014-2015finalgeo.pdf

117 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 77 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

**ღონისძიება 7.4.3. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა რეგიონებში მოხალისეების ჩართულობით**

**აქტივობა:** მუდმივი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**ინდიკატორი:** რეგიონალურ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიშის მიხედვით, პრობაციონერები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის მოხალისეობრივ აქტივობებში, თუმცა, ანგარიში არ ითვალისწინებს ინფორმაციას აღნიშნულ პროცესში არასამთავრობოთა ჩართულობის თაობაზე.[118]

**ღონისძიება 7.4.4. პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრეინინგების დაწყება**

**აქტივობა:** სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა.

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისთვის მომზადებულ ოფიცერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შეფასება:** ღონისძიება გეგმით გათვალისწინებული ამოცანისა და მიზნის რელევანტურია და აუცილებელია მათ შესასრულებლად. 2015 წლის გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ზოგადი ხასიათისაა.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიში ზოგადად უთითებს, რომ პრობაციის ოფიცრები გადამზადნენ 10 სარეაბილიტაციო პროგრამაში, თუმცა აღნიშნული მონაცემი არ შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულ ინდიკატორს და არ იძლევა აქტივობის შეფასების შესაძლებლობას.[119] დამატებით გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია.

**ღონისძიება 7.4.5. სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების ამოქმედება**

**აქტივობა:** სავალდებულო და ნებაყოფლობითი სარეაბილიტაციო პროგრამების სისტემა ამოქმედება 24 რაიონში.

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა.

**შეფასება:** გეგმით გათვალისწინებული აქტივობა კონკრეტული და კარგად განსაზღვრულია. იგი შეესაბამება პრობაციის სააგენტოს მიმდინარე ამოცანებსა და მიზნებს და ემსახურება ზიანის რისკის დონისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხის მიხედვით მსჯავრდებული მონაწილეობს სარეაბილიტაციო პროგრამებში. გეგმით მითითებული ინდიკატორი პირდაპირ არ მიემართება აქტივობას, იგი მიმართულია აქტივობის შედეგის შეფასებისკენ, თუმცა არ ითვალისწინებს ზღვრულ, დაგეგმილ მაჩვენებელს.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა შესრულებულია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები და წესი.[120] სავადებულო და ნებაყოფლობით სარეაბილიტაციო პროგრამები 2015 წლის განმავლობაში ხელმისაწვდომი იყო 24 პუნქტში.[121]

**ღონისძიება 7.4.6. კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)**

**აქტივობა:** კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლის მიზნით.

**ინდიკატორი:** საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის პრობლემის იდენტიფიცირება; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**შესრულების შედეგი:** პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის წერილის შესაბამისად, 2015 წელს სააგენტოს ბენეფიციართან მუშაობის პროცესის გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა თანასწორთა ინსპექტირება. შედეგად, მომზადდა რეკომენდაციების პრობაციის ბიუროებისთვის მულტიდისციპლინური გუნდის (პრობაციის ოფიცერი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი) მუშაობის გასაუმჯობესებლად.[122]

---

118 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 78 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

119 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 78 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

120 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 5 ივნისის ბრძანება №39.

121 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 78 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

122 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

**ქვეპროგრამა 7.5. უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება**

საზოგადოების ინფორმირების ნაწილში წინამდებარე გეგმა იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის ამოცანა 5.2.5-ს.[123]

**ღონისძიება 7.5.1. უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა**

**აქტივობა**: მუდმივი მონაწილეობა სამუშაო ჯგუფებში.

**ინდიკატორი**: უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩართულობა

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიშის შესაბამისად, 2015 წელს პრობაციის რეფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 6-ჯერ გაიმართა, გარდა ამისა, სააგენტო ჩართული იყო სხვადასხვ სახის სამუშაო ჯგუფებში.[124]

**ღონისძიება 7.5.2. ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით**

**აქტივობა**: პერიოდული შეხვედრები საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

**ინდიკატორი**: შესაბამისი შეხვედრების რაოდენობა და მედიის მიერ მათი გაშუქება.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას წლის განმავლობაში მედიის წარმომადგენლებთან პრობაციის ეროვნული სააგენტოს შეხვედრების შესახებ, ანგარიშში მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა მედია გაშუქების შესახებ.[125]

2015 წლის განმავლობაში სააგენტოს საქმიანობის შესახებ გავიდა 25-მდე სიუჟეტი ცენტრალურ და რეგიონალურ ტელევიზიებში: „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „იმედი", „მაესტრო", „რუსთავი 2", „აჭარა", „ერთსულოვნება", „კავკასია". ამავე პერიოდში დაიბეჭდა სტატიები გაზეთებში: „ახალი თაობა", „ვერსია", „ალია", „ასავალ-დასავალი", "Georgian Journal", „მესინჯერი", „რეზონანსი", „საქართველოს რესპუბლიკა", „ქრონიკა", „აჭარა", „მცხეთა", „გორის მაცნე".[126]

**ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**აქტივობა**: საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად მოქმედებების დაგეგმვა; PR აქციების სისტემატიური განხორციელება.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალები: საგაზეთო ჩანართები, სატელევიზიო სიუჟეტები, გავრცელებული ბროშურების რაოდენობა.

ღონისძიება იმეორებს 2014-2015 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 5.2.5.2-ს.[127]

2015 წლის განმავლობაში დონორი ორგანიზაციის („ციხის საერთაშორისო რეფორმა"-PRI) ფინანსური მხარდაჭერით, დაიბეჭდა 4 სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბუკლეტი:

1. 4000 ეგზემპლარი საინფორმაციო ბუკლეტი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ, რომლებიც გადაეცა სასამართლოს;
2. 4000 ეგზემპლარი საინფორმაციო ბიულეტენი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შესახებ;
3. 1500 საინფორმაციო ბუკლეტი პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფუნქციებისა და მიზნების, აგრეთვე რისკების და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ;

---

123 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

124 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 79 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

125 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 79 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

126 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

127 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

4. 500 ეგზემპლარი საინფორმაციო ბუკლეტი სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოსა და აქ დასაქმებული სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების ფუნქციების შესახებ.[128]

## 8.4 . საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2016-2017 წლებისათვის

მიზანი 4.4.7. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემის სრულყოფა

გეგმით გათვალისწინებული მიზანი გულისხმობს ზოგადად პრობაციის სისტემის სრულყოფას და სრულად შესაბამისობაშია სააგენტოს მიზანთან და მის გამოწვევებთან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული ამოცანები მიზნის რელევანტურია - მიმართულია, ერთი მხრივ, სააგენტოს შესაძლებლობების განვითარების, მეორე მხრივ კი - პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისაკენ.

**ამოცანა 4.7.1. პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების განვითარება**

ამოცანა საანგარიშო პერიოდისათვის გათვალისწინებული სააგენტოს მიზნებთან და გამოწვევებთან სრულად შესაბამისობაშია. გათვალისწინებული საქმიანობები ამოცანის რელევანტურია და ემსახურება სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებას ინფრასტრუქტურული, საკანონმდებლო ბაზისა და სტრუქტურული განვითარების გზით. მნიშვნელოვანია გეგმით გათვალისწინებული საზედამხედველო სისტემის გაძლიერებისკენ მიმართული საქმიანობები.

**საქმიანობა 4.7.1.1. ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს საქმიანობის ანალიზი და გამოვლენილი ხარვეზების შემდგომი დახვეწა**

**ინდიკატორი**: ანგარიში ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს მუშაობის შესახებ;

ანალიზის შედეგების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორებულია.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016 წელი.

**შეფასება**: 2015 წელს მიღებული „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" ითვალისწინებს არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახედ შინაპატიმრობას, რომლის აღსრულებასაც პრობაციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.[129] აღნიშნული სასჯელის აღსრულების მიზნით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ფუნქციონირებს ელექტრონული ზედამხედველობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო, შესაბამისად, მისასალმებელია სამმართველოს საქმიანობის მონიტორინგისა და ანალიზის აქტივობის გათვალისწინება გეგმაში. საქმიანობა სრულიად შეესაბამება საანგარიშო პერიოდისათვის სააგენტოს წინაშე არსებულ გამოწვევებს. აქტივობა კარგად დეტალიზებული და მიღწევადია. გეგმა ითვალისწინებს კარგად განსაზღვრულ, გაზომვად ინდიკატორს, რომელიც იძლევა აქტივობის შედეგების შეფასების შესაძლებლობას. გეგმით სათანადოდაა განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყება. აქტივობის შესრულების პერიოდად განსაზღვრულია 2016 წელი, რაც გაუგებარია, იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ 2016 წლიდან იწყება შინაპატიმრობის იმპლემენტაცია, შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრაქტიკული პრობლემების შეფასება ხდებოდეს ყოველწლიურად.

**შესრულების შედეგი**: ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების შუალედური ანგარიშის შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში შინაპატიმრობის აღსრულების პროცესში სააგენტოს საქმიანობაში ხარვეზები არ გამოვლენილა.[130] ამასთან, 2017 წლის განმავლობაში, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, განხორციელდა ინფრასტრუქტურული განვითარება და ელექტრონული მონიტორინგის ბაზის განახლება.[131]

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული მონიტორინგის სამმართველოს მუშაობის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნების თაობაზე არ არის მითითებული ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ანგარიშში, აქტივობა მაინც უმეტესად შესრულებულია, ვინაიდან განხორციელდა საქმიანობის ანალიზი და აღმოიფხვრა ხარვეზები.



---

**128** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58030 წერილი.

**129** „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" 69-ე და 75-ე მუხლები - https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=0

**130** ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების შუალედური ანგარიში, გვ. 58 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7452ProgressReport_2016FINAL.pdf

**131** ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 58 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

**საქმიანობა 4.7.1.2. შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის იმპლემენტაცია**

**ინდიკატორი**: ელექტრონულ მონიტორინგში ჩართულ პირთა მზარდი სტატისტიკური მაჩვენებელი.

**პასუხისმგებელი უწყება**: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: მისასალმებელია არასაპატიმრო სასჯელის ახალი ფორმის, შინაპატიმრობის შემოღება 2015 წლიდან „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსსა“ და 2017 წელს „სისხლის სამართლის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით.[132] საკანონმდებლო ცვლილებების რელევანტურია გეგმით განსაზღვრული აქტივობა. მნიშვნელოვანია შინაპატიმრობის აღსრულების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინება. აქტივობა სათანადოდ განსაზღვრული და რეალისტურია. გეგმით სწორადაა განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებები, ვინაიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უნდა განესაზღვრა შინაპატიმრობის წესი, ხოლო სააგენტოს უნდა მოეხდინა მისი იმპლემენტაცია. გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორი მიმართულია აქტივობის შედეგის შეფასებისკენ, იგი რაოდენობრივი და კარგად განსაზღვრულია.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა შესრულებულია. 2016 წელს შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის ალტერნატიული სახე, სასამართლოს მიერ გამოყენებული იყო 9 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ, ხოლო 2017 წელს 35 არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ.[133] 2015 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია.[134] 2016 წლის აპრილში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში გაიხსნა ელექტრონული ზედამხედველობის ცენტრი, რომელიც შინაპატიმრობის აღსრულების მონიტორინგს ახორციელებს.[135] 2016 წელს სააგენტოში აღსასრულებლად შევიდა 9 საქმე, ხოლო შინაპატიმრობის აღსრულება დასრულდა 5 არასრულწლოვანი პირის მიმართ.[136] 2017 წლის მონაცემებით, შინაპატიმრობის აღსრულება ხორციელდებოდა 27 პირის მიმართ.[137]

**საქმიანობა 4.7.1.3. ვიდეოპაემანის სერვისის შემდგომი განვითარება**

**ინდიკატორი**: ყოველწლიურად შექმნილია დამატებით ერთი ვიდეოპაემანის წერტილი.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა კარგად განსაზღვრული და სააგენტოს მიზნების რელევანტურია. სწორადაა განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყება, ხოლო ინდიკატორი რაოდენობრივია და ითვალისწინებს საქმიანობის შესრულების შეფასების შესაძლებლობას.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა სრულად შესრულებულია. 2016-2017 წლების განმავლობაში ვიდეოპაემნის სერვისით სარგებლობა ხელმისაწვდომი გახდა ქვემო ქართლისა და გურიის პრობაციის ბიუროებიდან.[138]

2016 წლის განმავლობაში გაიხსნა ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს ახალი ოფისი, რომელიც აღიჭურვა ვიდეოპაემნის სერვისით.[139]

შესაბამისად, 2016 წელს გაფართოვდა ვიდეოპაემნის სერვისის ქსელი, მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა პრობაციის 8 ბიუროში (თბილისი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, ბათუმი, ახალციხე, ზუგდიდი და თელავი).[140] 2017 წელს ვიდეოპაემნის სერვისი ხელმისაწვდომი გახდა ამბროლაურისა და ოზურგეთის პრობაციის ბიუროებიდანაც.[141]

---

132 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 20 ივნისის კანონი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3696184?publication=0#DOCUMENT:1;

133 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

134 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანება - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308?publication=0

135 http://www.probation.gov.ge/geo/main/index/1393

136 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების შუალედური ანგარიში გვ. 59 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7452ProgressReport_2016FINAL.pdf

137 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 59 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

138 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

139 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

140 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების შუალედური ანგარიში, გვ. 59 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7452ProgressReport_2016FINAL.pdf

141 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 59 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

**საქმიანობა 4.7.1.3. პრობაციის ბიუროების ინფრასტრუქტურის განვითარება**

**ინდიკატორი**: ყოველწლიურად განახლებულია 3 რეგიონალური ბიურო.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: ინფრასტრუქტურული განვითარება პრობაციის სააგენტოს გამოწვევების, მისი ფუნქციების ზრდის რელევანტურია. გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ზოგადია, თუმცა, ინდიკატორი მას უფრო რაოდენობრივ და, შესაბამისად, შეფასებად ხასიათს ანიჭებს. ამასთან, ინდიკატორად გათვალისწინებულია ყოველწლიურად 3 რეგიონალური ბიუროს განახლება, რაც, სააგენტოს რესურსებიდან გამომდინარე, არ არის რეალისტური. აქტივობის პასუხისმგებელი უწყება სწორადაა შერჩეული.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა უმეტესად შესრულდა. 2016 წლის განმავლობაში გაიხსნა ახალი სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ქვემო ქართლის პრობაციის ბიურო. აგრეთვე, გარემონტდა და თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყო კახეთის პრობაციის ბიუროს გურჯაანის ოფისი.[142] 2017 წელს გარემონტდა და აღიჭურვა სენაკისა და ქუთაისის ოფისები, ხოლო ოზურგეთში ფუნქციონირება დაიწყო გურიის პრობაციის ბიუროს ახალმა ოფისმა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოეწყო.[143]

**საქმიანობა 4.7.1.4. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება**

**ინდიკატორი**: მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი მომზადებულია და ინიცირებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

**პასუხისმგებელი უწყება**: საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი:** 2016-2017 წლები.

**შეფასება**: მნიშვნელოვანია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მუდმივად ხდებოდეს საკანონმდებლო ბაზის განახლება და მისი მორგება სააგენტოს მიმდინარე საჭიროებებთან. ამასთან, ვინაიდან გეგმა ითვალისწინებს უწყებისათვის დამატებითი უფლებამოსილების მინიჭებას (მაგ. შინაპატიმრობის აღსრულება), მათი იმპლემენტაციის პროცესში ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის სააგენტოს გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა. აქტივობა ზოგადი სახითაა გადმოცემული და არ ახდენს შესაძლო განახლების არც თემატიკისა და არც ფარგლების განსაზღვრას, თუმცა, მისასალმებელია მასში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების მზაობა. ინდიკატორი სწორადაა შერჩეული და მიმართულია აქტივობის შედეგის შეფასებისკენ.

გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრული უწყებები არ არიან უფლებამოსილი, მოახდინონ საკანონმდებლო პროექტის ინიცირება,[144] მათ მხოლოდ კანონპროექტის მომზადებისა და მთავრობისათვის წარდგენის შესაძლებლობა გააჩნიათ, ამასთან, გეგმაში მითითებულ ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ კანონქვემდებარე აქტების მიღება.

**შესრულების შედეგი:** საქმიანობა შესრულებულია. ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ფონდის, „ციხის საერთაშორისო რეფორმის" ექსპერტების ჩართულობით ჩატარებული ანალიზისა და რეკომენდაციების შედეგად, 2017 წელს დაიხვეწა საკანონმდებლო ბაზა.[145]

„არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა ორი ცვლილება, ხოლო 2017 წელს - სამი. ამასთან, 2017 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების[146] შედეგად, 2018 წლის იანვრიდან შესაძლებელი გახდა შინაპატიმრობის გამოყენება სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ. შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა შინაპატიმრობის აღსრულების წესი.[147]

142 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების შუალედური ანგარიში, გვ. 59 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/7452ProgressReport_2016FINAL.pdf

143 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 86 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

144 საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძველი რედაქციით) საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს: საქართველოს მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს.

145 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 86 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

146 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2017 წლის 20 ივნისის კანონი - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3696184?publication=0#DOCUMENT:1;

147 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №178 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/3957873?publication=0

2017 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის აღების უფლება მიეცათ არასაპატიმრო სასჯელშეფარდებულ მსჯავრდებულებს (გარდა შინაპატიმრობა შეფარდებული მსჯავრდებულებისა). საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გაცემის, მისი ვადის გაგრძელების და ნებართვის გაუქმების კრიტერიუმები, წესები და სხვა პროცედურული საკითხები.[148]

**საქმიანობა 4.7.1.5. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან**

**ინდიკატორი**: რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მზარდი პროცენტული მაჩვენებელი.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: აქტივობა სრულად შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულ ამოცანას და პრობაციის სააგენტოს გამოწვევების რელევანტურია. საქმიანობა ზოგადად უთითებს რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მსჯავრდებულებთან მუშაობაზე, არ განსაზღვრავს საანგარიშო პერიოდისათვის მსჯავრდებულთა ზღვრულ მაჩვენებელს, რომლებთანაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა. გეგმა ინდიკატორად განსაზღვრავს მზარდ, რაოდენობრივ მაჩვენებელს, რაც საქმიანობის პროგრესის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა შესრულებულია. რისკებისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მაჩვენებელი 2016 წელს შეადგენდა 90%-ს (აღრიცხვაზე მყოფი 18 548 პრობაციონერიდან შეფასება გაუკეთდა 16679–ს ), ხოლო ორწლიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 91.13%. ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში შეიცავს დასაბუთებას, რაც განაპირობებს არასრულ მაჩვენებელს.[149]

**ამოცანა 4.7.2. პირობით მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამებისა და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

პრობაციის სააგენტოს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს სარეაბილიტაციო პროგრამების სათანადო იმპლემენტაცია, შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული აქტივობა სააგენტოს გამოწვევების რელევანტურია. ამოცანის განსახორციელებლად გათვალისწინებული საქმიანობები მასთან სრულად შესაბამისობაშია.

**საქმიანობა 4.7.2.1. პირობით მსჯავრდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება**

**ინდიკატორი**: სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: საქმიანობა არ არის კარგად განსაზღვრული, ზოგადია და არ აკონკრეტებს არც განსახორციელებელი სარეაბილიტაციო პროგრამების და არც მასში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა დაგეგმილ რაოდენობას. ინდიკატორი მიმართულია საქმიანობის შედეგისკენ, აქტივობის შესაბამისადაა შერჩეული და იძლევა მისი პროგრესის შეფასების შესაძლებლობას. გეგმაში სწორადაა მითითებული პასუხისმგებელი უწყება, თუმცა, ვინაიდან საქმიანობა არ განსაზღვრავს საქმიანობის დაგეგმილ მოცულობას, ვერ მოხდება ვერც პერიოდის სწორად შერჩევის და ვერც საქმიანობის რეალისტურობის შეფასება.

**შესრულების შედეგი**: ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიშის შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში სხვადასხვა ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 4821-მა პრობაციონერმა - არსებული პრობაციონერების დაახლოებით 26%-მა, ხოლო 2017 წელს - 3566 -მა (დაახლოებით 15.6%-მა).[150]

148 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 1 სექტემბრის ბრძანება №106 - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3794979?publication=0

149 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 88 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

150 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 88 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

აღნიშნული მაჩვენებლები, 2014-2015 წლების პერიოდთან შედარებით, შემცირებულია.[151] ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ანგარიშის შესაბამისად,[152] აღნიშნული შემცირება განპირობებულია საშუალო და მაღალი რისკის მქონე პირობითი მსჯავრდებულების რაოდენობის კლებით.[153]

ამდენად, აღნიშნული გარემოება მიუთითებს გეგმაში მოცემული საქმიანობისა და ინდიკატორის უზუსტობაზე, შესაბამისად, მათი გათვალისწინებით აქტივობა შეუსრულებლად უნდა შეფასდეს.

**საქმიანობა 4.7.2.2. პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა**

**ინდიკატორი**: დასაქმებულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდი რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის მნიშვნელოვანია მათი დასაქმების ხელშეწყობა, შესაბამისად, აქტივობა ამოცანის რელევანტურია. გეგმით გათვალისწინებული აქტივობა ზოგად დასაქმებაზე მიუთითებს და არ აკონკრეტებს უშუალოდ პრობაციის სააგენტოს მიერ განსახორციელებელ საქმიანობაზე, შესაბამისად, არ არის სათანადოდ განსაზღვრული და გაზომვადი. ინდიკატორი მიმართულია საქმიანობის შედეგისკენ და საქმიანობის პროგრესზეა ორიენტირებული.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. 2016 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით დასაქმდა 156 პირობითი მსჯავრდებული,[154] ხოლო 2017 წლის განმავლობაში - 108.[155]

შესაბამისად, 2016 წელს წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით[156] ფიქსირდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა, თუმცა, საანგარიშო პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობის კლების ტენდენციაა.

**საქმიანობა 4.7.2.3 სპორტულ და შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობის გაზრდა**

**ინდიკატორი**: სპორტულ და შემეცნებით-კულტურულ აქტივობებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდი პროცენტული რაოდენობა.

**პასუხისმგებელი უწყება**: სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

**პერიოდი**: 2016-2017 წლები.

**შეფასება**: საქმიანობა სათანადოდაა ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს შესაბამის ღონისძიებებში ჩართულ პირობით მსჯავრდებულთა მზარდ მაჩვენებელს. ამასთან, ინდიკატორი სათანადოდ ზომავს უშუალოდ საქმიანობის შედეგს რაოდენობრივი მაჩვენებლების გამოყენებით. საქმიანობაში სათანადოდაა მითითებული პასუხისმგებელი უწყება.

**შესრულების შედეგი**: 2016 წელს სპორტულ აქტივობებში ჩართული იყო 140 მსჯავრდებული, ხოლო 2017 წელს - 206.[157] 2016 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში ჩართული იყო 878 პრობაციონერი, რაც საერთო რაოდენობის (21453) 4 პროცენტს შეადგენს.[158] ხოლო 2017 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია, კერძოდ, 22857 პირობითი მსჯავრდებულიდან ჩართული იყო 723 პირი, რაც საერთო რაოდენობის 3.1 პროცენტია.[159] შესაბამისად, საქმიანობა არ შესრულდა.

151 2014-2015 წლებში სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 8238-მა პრობაციონერმა.

152 ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობოს სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში, გვ. 88 - http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6971Report2016-2017.pdf

153 სარეაბილიტაციო პროგრამებში ერთვებიან მხოლოდ საშუალო და მაღალი რისკის მქონე პირები.

154 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

155 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/probacia%20angarishi%202017.pdf

156 2014 - 145; 2015 - 124.

157 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

158 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

159 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/probacia%20angarishi%202017.pdf

## 8.5. 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა

**მიზანი 7. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა**

**პროგრამა 7. სრულყოფილი პრობაციის სისტემა**

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა, და აგრეთვე, აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებული ამოცანები (ქვეპროგრამები) სრულიად იმეორებს 2014 და 2015 წლების ანალოგიურ გეგმას.

შესაბამისად, წინამდებარე თავში შეფასდება მხოლოდ გეგმის შესაბამისი კომპონენტების შესრულება გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესაბამისად.

**ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება**

**ღონისძიება 7.1.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები**

**აქტივობა**: ხელფასები (გაზრდილი საშტატო განრიგითა და სახელფასო ბადით - 437 თანამშრომელი, 367 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული +70 შტატგარეშე მოსამსახურე) გაზრდილი ადმინისტრაციული ხარჯები და არაფინანსური აქტივები.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.

**პერიოდი**: 2016 წელი.

**შესრულების შედეგი**: 2016 წლისათვის გათვლილი აქტივობა ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდის ნაწილში შესრულებულია. სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, პრობაციის სააგენტოში 367 თანამშრომლისთვის გათვალისწინებულია 7 692 000 ლარი.[160]

**ღონისძიება 7.1.3. ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროსა და ოფისის გახსნა, გარემონტება და აღჭურვა; ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა**

**აქტივობა**: ოფისის, ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები (მიმდინარე პროცესი).

**ინდიკატორი**: გარემონტებულ და აღჭურვილ ბიუროთა რაოდენობა.

**პერიოდი**: 2016 წელი.

იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.3-ს[161]

**ღონისძიება 7.1.4. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთ პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს**

**აქტივობა**: 150 პრობაციონერი თითოეულ ოფიცერზე.

**ინდიკატორი**: პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.

**პერიოდი**: 2016 წელი.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. 2016 წლის განმავლობაში პრობაციის ოფიცერს საშუალოდ წარმოებაში ჰქონდა 125 საქმე.[162]

**ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება**

**აქტივობა**: აუდიტორული შემოწმება, პერსონალის გადამზადება და ტრენინგი.

**ინდიკატორი**: შეფასების ანგარიში; შეფასების ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

---

160 საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი პროგრამული კოდი 2702 - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1810020?publication=1

161 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

162 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ.87 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

**პერიოდი**: 2016 წელი.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია. 2016 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ფინანსური ადმინისტრირების შეფასება არ ჩატარებულა და ანგარიში არ მომზადებულა.[163] 2016 წელს განხორციელდა პრობაციის სააგენტო აუდიტორული შემოწმება, 2016 წელს კვალიფიკაციის ასამაღლებელი 10 ტრენინგი და სასწავლო პროგრამა გაიარა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 498-მა თანამშრომელმა.[164]

**ღონისძიება 7.1.6. პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა. სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა**

**აქტივობა**: სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა არ იგეგმება და დაემატება 39 საშტატო ერთეული (სააგენტოს 437 თანამშრომელი, 367 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული +70 შტატგარეშე მოსამსახურე).

**ინდიკატორი**: განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაოს აღწერილობები თითოეული პოზიციისთვის, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების განახლებული პროცედურა.

**პერიოდი**: 2016 წელი.

**შესრულების შედეგი**: საქმიანობა შესრულებულია, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა 2016 წელს განისაზღვრა 358 შტატიანი და 70 შტატგარეშე თანამშრომლით.[165]

**ღონისძიება 7.1.7. ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა**

**აქტივობა**: პერმანენტულად ადამიანური რესურსების მართვის ხაზით გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**ინდიკატორი**: ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრა და შესაბამისი მომზადება.

**პერიოდი**: 2016 წელი.

**შესრულების შედეგი**: ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიშის შესაბამისად, თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგები მოიცავდა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებსაც.[166]

**ღონისძიება 7.1.8. თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრენინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრენინგის გეგმების შემუშავება; ტრენინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება; სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით**

**აქტივობა**: პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი**: შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია.

**აქტივობა**: შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია შემუშავებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით და განახლება ხორციელდება ყოველ წელს.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს ტრეინინგ-სტრატეგია და ყოველწლიური სასწავლო გეგმები.

**აქტივობა**: წლიური სასწავლო გეგმა და შეფასების ანგარიში.

**ინდიკატორი**: სასწავლო პროგრამების შეფასების პერიოდული ანგარიშები და შესაბამისი ცვლილებები პროგრამებში.

**აქტივობა**: პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

---

163 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

164 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

165 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 87 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

166 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 87 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

**ინდიკატორი**: მომზადებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები.

2016 წლის გეგმა აგრეთვე იმეორებს 2014 წლის გეგმის ანალოგიურ ღონისძიებას.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. 2016 წელს სასწავლო გეგმის შესაბამისად, კვალიფიკაციის ასამაღლებელი 10 ტრენინგი და სასწავლო პროგრამა გაიარა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 498-მა თანამშრომელმა.[167]

**ღონისძიება 7.1.9. არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა**

**აქტივობა**: სპეციალური კვალიფიკაციის მქონე 16 თანამშრომელი (არსებული სახელფასო განაკვეთით).

**ინდიკატორი**: შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების არსებობა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულდა. სამუშაოდ გამოყოფილია სპეციალურად გადამზადებული 40 სოციალური მუშაკი და არასრულწლოვნებთან მუშაობაში სპეციალიზებული 21 ოფიცერი. 2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი და პროცესში მონაწილე პირების სპეციალიზაციის კურსი გაიარა 71-მა თანამშრომელმა.[168]

**ღონისძიება 7.1.10. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თანასწორთა ინსპექტირების სისტემის დანერგვით**

**აქტივობა**: განხორციელებულია თანასწორთა ინსპექტირება იმ რეგიონებში, სადაც სარეაბილიტაციო კომპონენტი ფუნქციონირებს.

**ინდიკატორი**: დანერგილია თანასწორთა ინსპექტირების სისტემა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა არ შესრულებულა. 2016 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თანასწორთა ინსპექტირება არ ჩატარებულა.[169]

**ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება**

**ღონისძიება 7.2.1. პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება**

**აქტივობა**: პრობაციის კანონის შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტების დასკვნისა და შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის კანონის ყოველწლიური განახლება.

**ინდიკატორი**: მოქმედი კანონმდებლობის შეფასების ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.

ღონისძიება 7.2.1 იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.4-ს.[170]

**ღონისძიება 7.2.2. ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – პატიმრობის კანონის 681 მუხლი) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ**

**აქტივობა:** საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება და შეფასება. შეფასების საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება ამ ალტერნატიულ ღონისძიებებზე (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა და ანგარიში.

**აქტივობა**: თავისუფლებაშეზღუდულ პირთა სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამებში ჩართულობა.

**ინდიკატორი**: თავისუფლების შეზღუდვის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა.

**შესრულების შედეგი**: 2016 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა 3017 საქმე, რომლებშიც ალ-

---

167 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

168 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

169 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

170 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

ტერნატიული სანქციის სახით გამოყენებული იყო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, აღსრულდა 2929, ხოლო აღსრულების პროცესშია 631 საქმე. 2016 წელს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას თავი 330-მა მსჯავრდებულმა აარიდა.[171]

**ღონისძიება 7.2.3. არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება**

**აქტივობა**: არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკის ჩართვა; არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასასამართლო ანგარიშის მომზადება.

**ინდიკატორი**: შესაბამისი კონცეფციები (კომისიების შემადგენლობისა და მუშაობის წესის განმსაზღვრელი); შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა.

**შესრულების შედეგი**: 2016 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ მომზადდა 211 წინასასამართლო ანგარიში.[172]

**ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება**

**აქტივობა**: ბაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის მისი განახლება/შესწორება (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: გამართულად მოქმედი ელექტრონული ბაზა.

**აქტივობა:** ბაზა ფუნქციონირებს ყველა რეგიონალურ ოფისში.

**ინდიკატორი**: რეგიონული ოფისები, სადაც ბაზა მუშაობს.

**აქტივობა**: პროგრამის განახლება და სრულყოფა.

**ინდიკატორი**: ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულად უნდა შეფასდეს. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიშის შესაბამისად, ელექტრონული მონაცემთა ბაზა წლის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირებდა.

**ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)**

**აქტივობა**: დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია ფუნქციონირებს ყველა ოფისში.

**ინდიკატორი**: ფუნქციონირებადი დაქტილოსკოპიური აღრიცხვის სისტემა ბიუროების მიხედვით.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია, ყველა ოფისში დანერგილია დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია და პრობაციონერთა 100% რეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში.[173]

**ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის/შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრეინინგების მხარდაჭერით**

**აქტივობა**: რისკის შეფასების მოდელი დანერგილია ქვეყნის მასშტაბით და მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარების პროცესი.

**ინდიკატორი**: რისკისა შეფასების პილოტური მოდელი და პილოტირების შედეგები.

**ღონისძიება 7.3.4. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან**

**აქტივობა**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის დანერგვა პრობაციის ყველა ბიუროში; ჩართულია პრობაციონერთა 65%.

---

171 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ.87 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

172 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

173 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 90 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

**ინდიკატორი**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის ფუნქციონირება ბიუროების მიხედვით.

ღონისძიება 7.3.3. და 7.3.4. იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.5-ს.[174]

**ღონისძიება 7.3.5 საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება**

**აქტივობა**: შემუშავებული ინსტრუქციითა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოთი მუშაობა; საჭიროებისამებრ განახლების პროცესი.

**ინდიკატორი**: საქმის წარმოების წესის დამდგენი ინსტრუქცია და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; მომზადებულ ოფიცერთა რაოდენობა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 ივლისის №89 ბრძანებით, დამტკიცდა „არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქცია“.[175]

2016 წელს ტრენინგი თემაზე „საბაზისო მომზადება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის თანამშრომელთათვის“, რომელიც მოიცავდა საქმის წარმოების წესებს და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს, გაიარა პრობაციის 17-მა ოფიცერმა.[176]

**ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის გაზრდა და სამუშაო ადგილების ბაზის განახლება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სტატისტიკა და წარმატებით დასრულების მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: 2016 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შევიდა 3017 საქმე, სადაც ალტერნატიული სანქციის სახით გამოყენებული იყო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, აღსრულდა 2929, ხოლო აღსრულების პროცესშია 631 საქმე.[177] სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიშის მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში, პერიოდულად ხდებოდა სამუშაო ადგილების ბაზის განახლება.

**ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა**

**აქტივობა**: პერიოდული ანგარიშების მომზადება და განთავსება ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი**: საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

**შესრულების შედეგი**: გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიშის შესაბამისად, ამგვარი ანგარიშები პერიოდულად ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

**ღონისძიება 7.3.8. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით**

**აქტივობა**: პენიტენციურ დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობა.

**ინდიკატორი**: ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, ინფორმაციის გაცვლა, სამუშაო ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა.

**შესრულების შედეგი**: ინდიკატორისა და აქტივობის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდ ჩაითვალოს. ორი უწყების თანამშრომლობის პოზიტიური მაგალითია პრობაციის სააგენტოს სოციალური მუშაკების მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებების მომართვის საფუძველზე



---

174 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

175 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3319864?publication=0

176 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

177 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 87 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისათვის არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებას მომზადება.[178]

2016 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ფუნქციონირებდა სამუშაო ჯგუფი, გარდამავალი მენეჯმენტის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან ურთიერთობის მოდელთან დაკავშირებით. აგრეთვე შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი სარეაბილიტაციო პროგრამა „პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის“ დანერგვის მიზნით.[179]

**ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

**ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო სამმართველოს გამართული ფუნქციონირება**

**აქტივობა:** რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით მუშაობა და საჭიროებისამებრ განახლება.

**ინდიკატორი:** სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პირობით მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომობა.

იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.2.1-ს.[180]

**ღონისძიება 7.4.2. შერჩეული პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება**

**აქტივობა:** რეგიონებში პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სარეაბილიტაციო პროგრამის იდენტიფიცირება და განხორციელება.

**ინდიკატორი:** ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით წარმატებით დასრულება.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა სრულად შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიშის მიხედვით, შემუშავებულია 26 სარეაბილიტაციო მოდული, ხოლო 8 სარეაბილიტაციო პროგრამა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.[181]

**ღონისძიება 7.4.3. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა რეგიონებში მოხალისეების ჩართულობით**

**აქტივობა:** მუდმივი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**ინდიკატორი:** რეგიონალურ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიშის მიხედვით პრობაციონერები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის მოხალისეობრივ აქტივობებში, თუმცა, ანგარიში არ ითვალისწინებს ინფორმაციას აღნიშნულ პროცესში არასამთავრობოთა ჩართულობის თაობაზე.[182]

**ღონისძიება 7.4.4. პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრეინინგების დანწყება**

**აქტივობა:** სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა.

**ინდიკატორი:** სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისთვის მომზადებულ ოფიცერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე ანგარიშის შესაბამისად, გადამზადება სხვადასხვა სახის 7 სარეაბილიტაციო პროგრამაში გაიარეს.[183]

---

178 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 91 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

179 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

180 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

181 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 92 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

182 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე (2015 წლის) ანგარიში, გვ. 78 - http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/238 (ბოლო ნახვა: 26.05.2019).

183 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე (2016 წლის) ანგარიში, გვ. 91 - http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2F2017%2FCJR%20Progress%20Report%202016%20GEO.docx

პრობაციის ეროვნული სააგენტოს წლიური ანგარიშის მიხედვით კი, ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამის ტრენინგში სპეციალისტებისთვის მონაწილეობა მიიღო 50-მა პირმა.[184]

**ღონისძიება 7.4.6. კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)**

**აქტივობა:** კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლის მიზნით.

**ინდიკატორი:** საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის პრობლემის იდენტიფიცირება; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**შესრულების შედეგი:** არ შესრულებულა. 2016 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში თანასწორთა ინსპექტირება და მომსახურებების ეფექტურობის შესწავლის მიზნით კვლევა არ ჩატარებულა.[185]

**ქვეპროგრამა 7.5. უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.5.1 უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა**

**აქტივობა:** მუდმივი მონაწილეობა სამუშაო ჯგუფებში.

**ინდიკატორი:** უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩართულობა

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. პრობაციის სააგენტო ჩართული იყო სხვადასხვა სახის უწყებათაშორის ფორმატებში.

**ღონისძიება 7.5.2. ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით**

**აქტივობა:** პერიოდული შეხვედრები საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

**ინდიკატორი:** შესაბამისი შეხვედრების რაოდენობა და მედიის მიერ მათი გაშუქება.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე ანგარიში არ იძლევა წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების მასმედიით გაშუქების შესახებ ინფორმაციას. პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილის შესაბამისად, 2016 წლის განმავლობაში საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენელთათვის მიმდინარე საქმიანობის შესახებ შეხვედრები არ გამართულა.[186]

**ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**აქტივობა:** საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად მოქმედებების დაგეგმვა; PR აქციების სისტემატიური განხორციელება.

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალები: საგაზეთო ჩანართები, სატელევიზიო სიუჟეტები, გავრცელებული ბროშურების რაოდენობა.

**შესრულების შედეგი:** ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მერვე ანგარიშის შესაბამისად, პრობაციის სააგენტოს სერვისების შესახებ მზადდება და ვრცელდება სხვადასხვა საინფორმაციო ბულეტები.

2016 წლის განმავლობაში სააგენტოს საქმიანობის შესახებ გავიდა 25-მდე სიუჟეტი ცენტრალურ დად რეგიონალურ ტელევიზიებში - „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „იმედი“, „მაესტრო“, „რუსთავი 2“, „აჭარა“, „ერთსულოვნება“, „კავკასია“. ამავე პერიოდში დაიბეჭდა სტატიები გაზეთებში: „ახალი თაობა“, „ვერსია“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, “Georgian Journal”, „მესინჯერი“, „რეზონანსი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ქრონიკა“, „აჭარა“, „მცხეთა“, „გორის მაცნე“

2016 წელს ბრალდებულებისა და მსჯავრდებულებისათვის მომზადდა ბროშურები მათი უფლებების შესახებ, რომლებიც ითარგმნა რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. აღნიშნული ბროშურები დაიბეჭდა დონორი

184 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/2016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

185 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

186 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) ფინანსური მხარდაჭერით (რუსულ ენაზე - 720 ეგზემპლარი, სომხურ ენაზე - 720 ეგზემპლარი, აზერბაიჯანულ ენაზე - 2000 ეგზემპლარი). ბროშურები დაურიგდა პრობაციის იმ ბიუროებს, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზეც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.[187]

## 8.6. 2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა

**მიზანი 7. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა**

**პროგრამა 7. სრულყოფილი პრობაციის სისტემა**

2017 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა, და აგრეთვე აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებული ამოცანები (ქვეპროგრამები) სრულიად იმეორებს 2014, 2015 და 2016 წლების ანალოგიურ გეგმას. შესაბამისად, წინამდებარე თავში შეფასდება მხოლოდ გეგმის შესაბამისი კომპონენტების შესრულება გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესაბამისად.

**ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება**

**ღონისძიება 7.1.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები**

**აქტივობა**: ხელფასები (გაზრდილი საშტატო განრიგითა და სახელფასო ბადით - 437 თანამშრომელი, 367 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული +70 შტატგარეშე მოსამსახურე) გაზრდილი ადმინისტრაციული ხარჯები და არაფინანსური აქტივები.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.

**შესრულების შედეგი**: სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, პრობაციის სააგენტოში 347 თანამშრომლისთვის გათვალისწინებულია 6 130000 ლარი.[188]

**ღონისძიება 7.1.3. ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროსა და ოფისის გახსნა, გარემონტება და აღჭურვა; ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა**

**აქტივობა**: ოფისის, ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები (მიმდინარე პროცესი).

**ინდიკატორი**: გარემონტებულ და აღჭურვილ ბიუროთა რაოდენობა.

იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.3-ს.[189]

**ღონისძიება 7.1.4. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთ პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს**

**აქტივობა**: 150 პრობაციონერი თითოეულ ოფიცერზე.

**ინდიკატორი**: პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. 2017 წლის განმავლობაში პრობაციის ოფიცერს საშუალოდ წარმოებაში ჰქონდა 135 საქმე.[190]

**ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება**

**აქტივობა**: აუდიტორული შემოწმება, პერსონალის გადამზადება და ტრენინგი.

**ინდიკატორი**: შეფასების ანგარიში; შეფასების ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია. 2017 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში

---

187 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

188 საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი პროგრამული კოდი 2702 - https://matsne.gov.ge/document/view/3495562?publication=2

189 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

190 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 108 - https://bit.ly/2Wrg3Mw

აუდიტორული შემოწმება და ფინანსური ადმინისტრირების შეფასება არ ჩატარებულა.[191] წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ასამაღლებელი 14 ტრენინგი/სასწავლო პროგრამა გაიარა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 368-მა თანამშრომელმა.

**ღონისძიება 7.1.6. პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა. სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა**

**აქტივობა:** სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა არ იგეგმება და საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების გამო, საშტატო თანამშრომლების რაოდენობა მცირდება 42 ერთეულით (სააგენტოს 386 თანამშრომელი, 316 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული +70 შტატგარეშე მოსამსახურე).

**ინდიკატორი:** განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაოს აღწერილობები თითოეული პოზიციისთვის, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების განახლებული პროცედურა.

**შესრულების შედეგი:** საქმიანობა შესრულებულია, პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა რაოდენობა 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განისაზღვრა 347 ერთეულით.[192]

**ღონისძიება 7.1.7. ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა**

**აქტივობა:** პერმანენტულად ადამიანური რესურსების მართვის ხაზით გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**ინდიკატორი:** ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრა და შესაბამისი მომზადება.

**შესრულების შედეგი:** ღონისძიება ნაწილობრივ შესრულებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიშის შესაბამისად, თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგები მოიცავდა ადამიანური რესურსების მართვის საკითხებსაც.

**ღონისძიება 7.1.8. თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრეინინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრეინინგის გეგმების შემუშავება; ტრეინინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება; სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით**

**აქტივობა:** პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი:** შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია.

**აქტივობა:** შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია შემუშავებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით და განახლება ხორციელდება ყოველ წელს.

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს ტრეინინგ-სტრატეგია და ყოველწლიური სასწავლო გეგმები.

**აქტივობა:** წლიური სასწავლო გეგმა და შეფასების ანგარიში.

**ინდიკატორი:** სასწავლო პროგრამების შეფასების პერიოდული ანგარიშები და შესაბამისი ცვლილებები პროგრამებში.

**აქტივობა:** პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი:** მომზადებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები.

2017 წლის გეგმა აგრეთვე იმეორებს წინა წლის გეგმის ანალოგიურ ღონისძიებას.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა შესრულებულია. შემუშავებული საბაზისო ტრენინგების გავლილი აქვს ყველა ოფიცერს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ყოველწლიურად შეიმუშავებს სასწავლო გეგმას. 2017 წლის განმავლობაში 9 სასწავლო პროგრამაში გადამზადდა სააგენტოს 318 თანამშრომელი.[193]

**ღონისძიება 7.1.9. არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა**

---

191 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

192 საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი პროგრამული კოდი 2702 - https://matsne.gov.ge/document/view/3495562?publication=2

193 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 108 - https://bit.ly/2Wrg3Mw

**აქტივობა**: სპეციალური კვალიფიკაციის მქონე 16 თანამშრომელი (არსებული სახელფასო განაკვეთით).

**ინდიკატორი**: შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების არსებობა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულდა. 2017 წელს არასრულწლოვნებთან მუშაობის მიმართულებით დამატებით გადამზადდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 25 თანამშრომელი: 8 სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს თანამშრომელი და 17 პრობაციის ოფიცერი.[194]

**ღონისძიება 7.1.10. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თანასწორთა ინსპექტირების სისტემის დანერგვით**

**აქტივობა**: განხორციელებულია თანასწორთა ინსპექტირება იმ რეგიონებში სადაც სარეაბილიტაციო კომპონენტი ფუნქციონირებს.

**ინდიკატორი**: დანერგილია თანასწორთა ინსპექტირების სისტემა.

**შესრულების შედეგი**: სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიშის შესაბამისად ყოველწლიურად ხორციელდება თანასწორთა ინსპექტირება.

**ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება**

**ღონისძიება 7.2.1. პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება**

**აქტივობა**: პრობაციის კანონის შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტების დასკვნისა და შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის კანონის ყოველწლიური განახლება.

**ინდიკატორი**: მოქმედი კანონმდებლობის შეფასების ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.

ღონისძიება 7.2.1 იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.4-ს.[195]

**ღონისძიება 7.2.2. ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა და ანგარიში.

**აქტივობა**: თავისუფლებაშეზღუდულ პირთა სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების პროგრამებში ჩართულობა.

**ინდიკატორი**: თავისუფლების შეზღუდვის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულდა. 2017 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შევიდა საზოგადოებისთის სასარგებლო შრომის 2777 საქმე, ხოლო დასრულდა - 2660 საქმე.[196]

2017 წლის განმავლობაში 24 პირს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა თავისუფლების შეზღუდვით.[197]

**ღონისძიება 7.2.4. არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება**

**აქტივობა**: არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკის ჩართვა; არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასასამართლო ანგარიშის მომზადება.

**ინდიკატორი**: შესაბამისი კონცეფციები (კომისიების შემადგენლობისა და მუშაობის წესის განმსაზღვრელი); შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა.

**შეფასება**: აქტივობისთვის გათვალისწინებული ინდიკატორი არის ზოგადი და არ არის განსაზღვრული.

---

194 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 108 - https://bit.ly/2Wrg3Mw

195 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

196 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ანგარიში - http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/probacia%20angarishi%202017.pdf

197 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

შესაბამისად, მისი მეშვეობით ვერ მოხდება ვერც აქტივობის შესრულების და ვერც მისი აქტივობის რეალისტურობის შეფასება.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შეფასდა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიშის შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა სასამართლო პროცესისთვის არასრულწლოვანთა და 21 წლამდე პირთა საქმეებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადება. 2017 წელს 302 არასრულწლოვნის საქმეზე მომზადდა წინასასამართლო ანგარიში.[198]

**ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება**

**აქტივობა**: ბაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის მისი განახლება/შესწორება (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: გამართულად მოქმედი ელექტრონული ბაზა.

**აქტივობა**: ბაზა ფუნქციონირებს ყველა რეგიონალურ ოფისში.

**ინდიკატორი**: რეგიონული ოფისები, სადაც ბაზა მუშაობს.

**აქტივობა**: პროგრამის განახლება და სრულყოფა.

**ინდიკატორი**: ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულად უნდა შეფასდეს. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიშის შესაბამისად, ელექტრონული მონაცემთა ბაზა წლის განმავლობაში გამართულად ფუნქციონირებდა.

**ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)**

**აქტივობა**: დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია ფუნქციონირებს ყველა ოფისში.

**ინდიკატორი**: ფუნქციონირებადი დაქტილოსკოპიური აღრიცხვის სისტემა ბიუროების მიხედვით.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია, ყველა ოფისში დანერგილია დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია და პრობაციონერთა 100% რეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში.[199]

**ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის-შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრეინინგების მხარდაჭერით**

**აქტივობა**: რისკის შეფასების მოდელი დანერგილია ქვეყნის მასშტაბით და მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარების პროცესი.

**ინდიკატორი**: რისკისა შეფასების პილოტური მოდელი და პილოტირების შედეგები.

**ღონისძიება 7.3.4, პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან**

**აქტივობა**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის დანერგვა პრობაციის ყველა ბიუროში; ჩართულია პრობაციონერთა 70%.

**ინდიკატორი**: სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის ფუნქციონირება ბიუროების მიხედვით.

ღონისძიება 7.3.3. და 7.3.4. იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.5-ს.[200]

**ღონისძიება 7.3.5. საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება**

**აქტივობა**: შემუშავებული ინსტრუქციითა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოთი მუშაობა; საჭიროებისამებრ განახლების პროცესი.

---

198 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

199 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 108 - https://bit.ly/2Wrg3Mw

200 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

**ინდიკატორი**: საქმის წარმოების წესის დამდგენი ინსტრუქცია და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; მომზადებულ ოფიცერთა რაოდენობა.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის №146 ბრძანებით დამტკიცდა „შინაპატიმრობის აღსრულების წესის დამტკიცების შესახებ.“[201]

2017 წლის განმავლობაში ტრენინგი თემაზე „საბაზისო მომზადება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის თანამშრომელთათვის“, რომელიც მოიცავდა საქმის წარმოების წესებს და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს, გაიარა სააგენტოს პრობაციის 8 ოფიცერმა.[202]

**ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის გაზრდა და სამუშაო ადგილების ბაზის განახლება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სტატისტიკა და წარმატებით დასრულების მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: 2017 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შევიდა საზოგადოებისთის სასარგებლო შრომის 2777 საქმე, ხოლო დასრულდა - 2660 საქმე.[203]

**ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა**

**აქტივობა**: პერიოდული ანგარიშების მომზადება და განთავსება ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი**: საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

**შესრულების შედეგი**: გამოთხოვილია საჯარო ინფორმაცია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიშის შესაბამისად, ამგვარი ანგარიშები პერიოდულად ქვეყნდება ვებ-გვერდზე.

**ღონისძიება 7.3.8. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით**

**აქტივობა**: პენიტენციურ დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობა.

**ინდიკატორი**: ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, ინფორმაციის გაცვლა, სამუშაო ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა.

**შესრულების შედეგი**: ინდიკატორისა და აქტივობის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. ორი უწყების თანამშრომლობის ფარგლებში, 2017 წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებების მომართვის საფუძველზე პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები პირობით ვადამდე განთავისუფლების კომისიისათვის არასრულწლოვნის ოჯახისა და სოციალური გარემოს შეფასებას ამზადებდნენ.[204]
პრობაციის ეროვნული სააგენტო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად, მონაწილეობდნენ სამუშაო ჯგუფებში შემდეგ საკითხებზე: სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება; გარდამავალი მენეჯმენტი; პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების პროგრამის განვითარება; უწყებებისთვის საერთო სარეაბილიტაციო პროგრამების ლოგიკური მოდელების შექმნა/განვითარება.[205]

**ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

**ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო სამმართველოს გამართული ფუნქციონირება**

**აქტივობა**: რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით მუშაობა და საჭიროებისამებრ განახლება.

201 https://matsne.gov.ge/document/view/3957873?publication=0

202 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58145 წერილი.

203 პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის ანგარიში -http://probation.moc.gov.ge/admin/editor/uploads/files/probacia%20angarishi%202017.pdf

204 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 114 - https://bit.ly/2Wrg3Mw

205 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

**ინდიკატორი**: სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პირობით მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომობა.

იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.2.1-ს.[206]

**ღონისძიება 7.4.2. შერჩეული პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება**

**აქტივობა**: რეგიონებში პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სარეაბილიტაციო პროგრამის იდენტიფიცირება და განხორციელება.

**ინდიკატორი**: ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით წარმატებით დასრულება.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეშვიდე ანგარიშის მიხედვით შემუშავებულია 23 სარეაბილიტაციო მოდული.[207]

2017 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით, პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დაინერგა შემდეგი პროგრამები:

1. „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები";
2. „მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება და ქცევითი თავისებურებები და მოზარდის სოციალური გარემოსთან მუშაობის ასპექტები";
3. „როგორ დავეხმაროთ მოზარდებს";
4. „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა";
5. „ფსიქოლოგიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების სინდრომი და მისი მართვა".[208]

**ღონისძიება 7.4.3. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა რეგიონებში მოხალისეების ჩართულობით**

**აქტივობა**: მუდმივი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**ინდიკატორი**: რეგიონალურ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიშის მიხედვით, პრობაციონერები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის მოხალისეობრივ აქტივობებში, თუმცა, ანგარიში არ ითვალისწინებს ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ.[209]

**ღონისძიება 7.4.4 პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრეინინგების დაწყება**

**აქტივობა**: სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა.

**ინდიკატორი**: სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისთვის მომზადებულ ოფიცერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიშის შესაბამისად, გადამზადება სხვადასხვა სახის 7 სარეაბილიტაციო პროგრამაში გაიარეს. პრობაციის ეროვნული სააგენტოს 190-მა მოსამსახურემ მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებულ ტრენინგებში.[210] სარეაბილიტაციო პროგრამებში გადამზადდა პრობაციის 165 ოფიცერი.[211]

**ღონისძიება 7.4.6. ვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)**

---

206 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

207 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 114 - https://bit.ly/2Wrg3Mw

208 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

209 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 114 - https://bit.ly/2Wrg3Mw

210 სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე (2017 წლის) ანგარიში, გვ. 116 - https://bit.ly/2Wrg3Mw

211 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

**აქტივობა**: კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლის მიზნით.

**ინდიკატორი**: საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის პრობლემის იდენტიფიცირება; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**შესრულების შედეგი**: არ არის მითითებული არც ერთ ანგარიშში.

**ქვეპროგრამა 7.5. უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.5.1. უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა**

**აქტივობა**: მუდმივი მონაწილეობა სამუშაო ჯგუფებში.

**ინდიკატორი**: უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩართულობა

**შესრულების შედეგი**: შესრულებულია. პრობაციის სააგენტო ჩართული იყო სხვადასხვა სახის უწყებათაშორის სამუშაო ფორმატებში.

**ღონისძიება 7.5.2. ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით**

**აქტივობა**: პერიოდული შეხვედრები საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

**ინდიკატორი**: შესაბამისი შეხვედრების რაოდენობა და მედიის მიერ მათი გაშუქება.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიში არ იძლევა წლის განმავლობაში გამართული შეხვედრების მასმედიით გაშუქების შესახებ ინფორმაციას.

2017 წლის განმავლობაში სააგენტოს საქმიანობის შესახებ გავიდა 5 სიუჟეტი ცენტრალურ და რეგიონალურ ტელევიზიებში - „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „იმედი", „მაესტრო", „რუსთავი 2", „აჭარა". ამავე პერიოდში დაიბეჭდა სტატიები გაზეთებში: „ახალი თაობა", „ვერსია", „ალია", „ასავალ-დასავალი", „Georgian Journal", „მესინჯერი", „რეზონანსი", „საქართველოს რესპუბლიკა", „ქრონიკა", „აჭარა", „მცხეთა", „გორის მაცნე".[212]

**ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**აქტივობა**: საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად მოქმედებების დაგეგმვა; PR აქციების სისტემატიური განხორციელება.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალები: საგაზეთო ჩანართები, სატელევიზიო სიუჟეტები, გავრცელებული ბროშურების რაოდენობა.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის მეცხრე ანგარიშის შესაბამისად, ხორციელდებოდა სხვადასხვა სახის PR აქტივობები.

2017 წლის თებერვალში, პრობაციის ევროპული კონფედერაციის (CEP) ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა ვრცელი, საცნობარო ინფორმაცია საქართველოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესახებ, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი სააგენტოს საქმიანობის ყველა ძირითადი ასპექტი.[213]

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2017 წელს, საერთაშორისო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმის" (PRI) ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა 5 ათასი საინფორმაციო ბუკლეტი პრობაციონერებისათვის მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც პირობით მსჯავრდებულებს სასამართლოში განჩინების გამოტანისთანავე გადაეცემოდათ. ასევე დაიბეჭდა 2 სახის პოსტერი (100-100 ეგზემპლარი) ელექტრონული მონიტორინგისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის შესახებ, რომლებიც სასამართლო შენობებში, თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკრა.[214]

212 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

213 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

214 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 27 ივნისის №2/58031 წერილი.

## 8.7 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა

**მიზანი 7. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, პრევენციაზე ორიენტირებული ინდივინდუალური მიდგომის დანერგვა და დახვეწა**

**პროგრამა 7. სრულყოფილი პრობაციის სისტემა**

2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პროგრამა, სრულყოფილი პრობაციის სისტემა, და აგრეთვე, აღნიშნულ პროგრამაში გაერთიანებული ამოცანები (ქვეპროგრამები) სრულიად იმეორებს 2014, 2015 , 2016 და 2017 წლების ანალოგიურ გეგმას.

შესაბამისად, წინამდებარე თავში შეფასდება მხოლოდ გეგმის შესაბამისი კომპონენტების შესრულება გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების შესაბამისად.

**ქვეპროგრამა 7.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება**

**ღონისძიება 7.1.1. პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები**

**აქტივობა:** სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა და საშტატო ერთეულების დამატება არ იგეგმება (სააგენტოს 386 თანამშრომელი, 316 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული +70 შტატგარეშე მოსამსახურე)

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.

**შესრულების შედეგი:** 2017 წელთან შედარებით საშტატო განრიგით განსაზღვრული მოსამსახურეების რაოდენობა შემცირდა 40 ერთეულით., რაც განაპირობა ტერიტორიული ორგანოს - „სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების“ ლიკვიდაციამ. 2018 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში საშტატო განრიგით განსაზღვრული მოსამსახურეების რაოდენობამ შეადგინა 276, ხოლო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ მოსამსახურეთა რაოდენობამ - 70.[215]

**ღონისძიება 7.1.3. ყველა რეგიონული პრობაციის ბიუროსა და ოფისის გახსნა, გარემონტება და აღჭურვა; ინტერნეტითა და კომუნიკაციის სხვა საშუალებებით უზრუნველყოფა**

**აქტივობა:** ოფისის, ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები (მიმდინარე პროცესი).

**ინდიკატორი:** გარემონტებულ და აღჭურვილ ბიუროთა რაოდენობა.

იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.1.3-ს.[216]

**ღონისძიება 7.1.4. პრობაციის ოფიცერთა დატვირთვის შემცირება ისე, რომ ქვეყნის მასშტაბით, ერთ პრობაციის ოფიცერი საშუალოდ 150-მდე პრობაციონერის საქმეს აწარმოებდეს**

**აქტივობა:** 150 პრობაციონერი თითოეულ ოფიცერზე.

**ინდიკატორი:** პრობაციონერთა საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა შესრულებულია. 2018 წლის განმავლობაში პრობაციის ოფიცერს საშუალოდ წარმოებაში ჰქონდა 126 საქმე.[217]

**ღონისძიება 7.1.5. პრობაციის სამსახურის ფინანსური ადმინისტრირების სისტემის შეფასება და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება**

**აქტივობა:** აუდიტორული შემოწმება, პერსონალის გადამზადება და ტრენინგი.

**ინდიკატორი:** შეფასების ანგარიში; შეფასების ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულია. 2018 წელს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აუდიტორული შემოწმება და ფინანსური ადმინისტრირების შეფასება არ ჩატარებულა. პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა 2018 წლის განმავლობაში გაიარეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი 23 ტრენინგი/სასწავლო პროგრამა.[218]

---

215 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

216 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

217 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

218 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

**ღონისძიება 7.1.6. პრობაციის სამსახურის სტრუქტურისა და პერსონალის როლის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანა; სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების პროცედურის განსაზღვრა. სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა**

**აქტივობა:** სააგენტოს თანამშრომელთათვის ხელფასის ზრდა არ იგეგმება და საბიუჯეტო დაფინანსების შემცირების გამო, საშტატო თანამშრომლების რაოდენობა მცირდება 42 ერთეულით (სააგენტოს 386 თანამშრომელი, 316 ბიუჯეტით დაფინანსებული საშტატო ერთეული +70 შტატგარეშე მოსამსახურე).

**ინდიკატორი:** განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა, სამუშაოს აღწერილობები თითოეული პოზიციისთვის, სამუშაოზე აყვანისა და თანამშრომელთა შეფასების განახლებული პროცედურა.

**შესრულების შედეგი:** იხილეთ ამავე გეგმის ღონისძიება 7.1.1.

**ღონისძიება 7.1.7. ცენტრალურ დონეზე ადამიანური რესურსების საკითხების კოორდინატორების დანიშვნა**

**აქტივობა:** პერმანენტულად ადამიანური რესურსების მართვის ხაზით გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

**ინდიკატორი:** ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრა და შესაბამისი მომზადება.

**შესრულების შედეგი:** ღონისძიება ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით თანამშრომლის გადამზადების ნაწილში არ შესრულებულა. 2018 წელს ამგვარი ტრენინგი არ ჩატარებულა.[219]

**ღონისძიება 7.1.8. თანამშრომელთა სწავლების გაუმჯობესება: პრობაციის სამსახურის ტრენინგის სტრატეგიის და ყოველწლიური ტრენინგის გეგმების შემუშავება; ტრენინგის მოდულების სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება; სასწავლო პროგრამების პერიოდული შეფასება და განვითარება; პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა და სტაჟიორ ოფიცერთა მომზადება შემუშავებული ტრენინგ-მოდულების მიხედვით**

**აქტივობა:** პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი:** შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია.

**აქტივობა:** შესაბამისი სასწავლო პროგრამები და მეთოდოლოგია შემუშავებულია თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით და განახლება ხორციელდება ყოველ წელს.

**ინდიკატორი:** პრობაციის სააგენტოს ტრენინგ-სტრატეგია და ყოველწლიური სასწავლო გეგმები.

**აქტივობა:** წლიური სასწავლო გეგმა და შეფასების ანგარიში.

**ინდიკატორი:** სასწავლო პროგრამების შეფასების პერიოდული ანგარიშები და შესაბამისი ცვლილებები პროგრამებში.

**აქტივობა:** პრობაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სწავლებები.

**ინდიკატორი:** მომზადებულ თანამშრომელთა სტატისტიკური მონაცემები.

2018 წლის გეგმა აგრეთვე იმეორებს წინა წლის გეგმის ანალოგიურ ღონისძიებას.

**შესრულების შედეგი:** 2018 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეებმა გაიარეს ტრენინგები/სწავლებები შემდეგ პროგრამებში:

1. ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების შეფასებისა და მართვის ძირითადი საკითხები;
2. ტრენერთა ტრენინგი „თანასწორთა განმანათლებლობა“;
3. პროგრესისა და მონიტორინგის ანგარიშების დახვეწა;
4. აღდგენითი მართლმსაჯულება და სისხლის სამართლის მედიაცია;
5. სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის განახლების პრეზენტაცია და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული პრობლემებისა და ხარვეზების განხილვა;
6. შინაპატიმრობის აღსრულება;
7. საბაზისო მომზადება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის თანამშრომელთათვის;

---

219 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

8. რისკების და საჭიროებების შეფასების ახალი ინსტრუმენტის პილოტირების შესახებ - სრულწლოვანთა შეფასების ფორმის გაცნობა;
9. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური ძალადობის სკრინინგ კითხვარის ტრენინგი;
10. ტრენერთა ტრენინგი „მოტივაციური ინტერვიუირება“;
11. ტრენერთა ტრენინგი „მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლის“ შესახებ;
12. არასრულწლოვანთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების განახლებული ინსტრუმენტები;
13. პროგრამა „ატლანტისი“;
14. საინტერვენციო პროგრამა ოჯახში მოძალადეებისათვის;
15. გენდერული თანასწორობისა და ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები;
16. მოტივაციური ინტერვიუირება;
17. სტიგმა-დისკრიმინაციის დაძლევა;
18. დიპლომატიური პროტოკოლი და ეტიკეტის საფუძვლები;
19. მოგების გადასახადი (ესტონური მოდელი);
20. სამოქმედო გეგმის ანგარიშის შედგენა;
21. მოზარდთა სუიციდის რისკის შეფასების პროტოკოლი;
22. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებში ცნობიერების ამაღლება;
23. ჩართულობის უნარ-ჩვევების განვითარება.

**ღონისძიება 7.1.9. არასრულწლოვნებთან კოორდინირებულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პრობაციის ოფიცრების დანიშვნა**

**აქტივობა**: სპეციალური კვალიფიკაციის მქონე 16 თანამშრომელი (არსებული სახელფასო განაკვეთით).

**ინდიკატორი**: შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე ოფიცრების არსებობა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულდა. 2018 წელს არასრულწლოვნებთან მუშაობის მიმართულებით დამატებით გადამზადდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს 18 თანამშრომელი.[220]

**ღონისძიება 7.1.10. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება თანასწორთა ინსპექტირების სისტემის დანერგვით**

**აქტივობა**: განხორციელებულია თანასწორთა ინსპექტირება იმ რეგიონებში, სადაც სარეაბილიტაციო კომპონენტი ფუნქციონირებს.

**ინდიკატორი**: დანერგილია თანასწორთა ინსპექტირების სისტემა.

**შესრულების შედეგი**: პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში თანასწორთა ინსპექტირება არ ჩატარებულა.[221]

**ქვეპროგრამა 7.2. საკანონმდებლო ბაზის განვითარება**

**ღონისძიება 7.2.1. პრობაციის საკანონმდებლო ბაზის შეფასება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და რეკომენდაციების მომზადება**

**აქტივობა**: პრობაციის კანონის შესახებ ევროპის საბჭოს ექსპერტების დასკვნისა და შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად პრობაციის კანონის ყოველწლიური განახლება.

**ინდიკატორი**: მოქმედი კანონმდებლობის შეფასების ანგარიში და შესაბამისი რეკომენდაციები.

**შესრულების შედეგი**: ღონისძიება 7.2.1. იმეორებს წინა წლების სისხლის სამართლის გეგმების ანალოგიურ აქტივობებს. 2018 წლის განმავლობაში პრობაციის სისტემის სრულყოფის მიზნით განხორციელდა შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები:

- 2018 წლის 1-ლი იანვრიდან შინაპატიმრობის გამოყენება შესაძლებელი გახდა სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართაც;

---

220 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

221 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

» 2018 წლის 1-ლი იანვრიდან თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა შესაძლებელი გახდა შინაპატიმრობაში;

» საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 30 მაისის №105 ბრძანებით, დამტკიცდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ტიპური დებულება“.[222]

**ღონისძიება 7.2.2. ახალი ალტერნატიული სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა) ტესტირება და პილოტირება (საცდელი ღონისძიების გატარება) პრობაციის სააგენტოს მიერ**

**აქტივობა**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება.

**ინდიკატორი**: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის გამოყენების სტატისტიკა და ანგარიში;.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულდა. 2018 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოში აღსასრულებლად შევიდა საზოგადოებისთის სასარგებლო შრომის 2206 საქმე, ხოლო დასრულდა - 2262 საქმე.[223]

**ღონისძიება 7.2.4. არასრულწლოვანთა საქმეებზე პილოტირებული სქემების განხორციელებით, პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიებში და სასჯელის მისჯამდე პრობაციის სოციალური მუშაკების ჩართულობის მექანიზმების შემუშავება**

**აქტივობა**: არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნამდე პროცესში პრობაციის სოციალური მუშაკის ჩართვა; არასრულწლოვანთა საქმეებზე წინასასამართლო ანგარიშის მომზადება.

**ინდიკატორი**: შესაბამისი კონცეფციები (კომისიების შემადგენლობისა და მუშაობის წესის განმსაზღვრელი); შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პრაქტიკა.

**შეფასება**: აქტივობისთვის გათვალისწინებული ინდიკატორი არის ზოგადი და არ არის განსაზღვრული. შესაბამისად, მისი მეშვეობით ვერ მოხდება ვერც აქტივობის შესრულების და ვერც მისი აქტივობის რეალისტურობის შეფასება.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულდა. 2018 წელს 405 არასრულწლოვნის საქმეზე მომზადდა წინასასამართლო ანგარიში.[224]

**ქვეპროგრამა 7.3. ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.3.1. საქმის წარმოებისთვის სპეციალური ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა, გამოყენება (დანერგვა) და რეგულარული განახლება**

**აქტივობა**: ბაზის გამართულად ფუნქციონირებისთვის მისი განახლება/შესწორება (მუშა პროცესი).

**ინდიკატორი**: გამართულად მოქმედი ელექტრონული ბაზა.

**აქტივობა**: ბაზა ფუნქციონირებს ყველა რეგიონალურ ოფისში.

**ინდიკატორი**: რეგიონული ოფისები, სადაც ბაზა მუშაობს.

**აქტივობა**: პროგრამის განახლება და სრულყოფა.

**ინდიკატორი**: ბაზაში რეგისტრირებულ პრობაციონერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**ღონისძიება 7.3.2. თითის ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემის პილოტირება და გამოყენება (დანერგვა)**

**აქტივობა**: დაქტილოსკოპიური რეგისტრაცია ფუნქციონირებს ყველა ოფისში.

**ინდიკატორი**: ფუნქციონირებადი დაქტილოსკოპიური აღრიცხვის სისტემა ბიუროების მიხედვით.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია, ანაბეჭდების რეგისტრაციის სისტემა 2018 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა გამართულად, საქმის წარმოების სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული იყო პრობაციონერთა 100%. რეგისტრირებულია შესაბამის ბაზაში.[225]

**ღონისძიება 7.3.3. მსჯავრდებულებზე რისკის შეფასების ინსტრუმენტისა და ინდივიდუალური გეგმის შედგენის მეთოდოლოგიის შემუშავება, პილოტირება შესაბამისი ტრეინინგების მხარდაჭერით**

222 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

223 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

224 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

225 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

**აქტივობა:** რისკის შეფასების მოდელი დანერგილია ქვეყნის მასშტაბით და მიმდინარეობს მეთოდოლოგიის შემდგომი განვითარების პროცესი.

**ინდიკატორი:** რისკისა შეფასების პილოტური მოდელი და პილოტირების შედეგები.

**ღონისძიება 7.3.4. პრობაციის ოფიცრები რისკისა და საჭიროებების შეფასებისა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით მუშაობენ მსჯავრდებულებთან**

**აქტივობა:** სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის დანერგვა პრობაციის ყველა ბიუროში; ჩართულია პრობაციონერთა 70%.

**ინდიკატორი:** სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმით მუშაობის სისტემის ფუნქციონირება ბიუროების მიხედვით.

**შესრულების შედეგი:** 2018 წელს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით შემუშავდა რისკისა და საჭიროებების შეფასების ორი ინსტრუმენტი. ერთი მათგანი განკუთვნილია კანონთან კონფლიქტში მყოფი სრულწლოვანი პირებისათვის, ხოლო მეორე - არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე პირებისათვის. ორივე ინსტრუმენტი შემუშავდა ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების მხარდამჭერი პროექტის ფინანსური და ექსპერტული დახმარებით, მულტიუწყებრივი სამუშაო ჯგუფის მიერ. სრულწლოვან პირთა შეფასების ინსტრუმენტის პილოტირება განხორციელდა სამივე დაწესებულებაში.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში პილოტირება განხორციელდა ორ ეტაპად. I ეტაპზე პილოტი ჩატარდა სამ რეგიონში: თბილისში, ქვემო ქართლსა (რუსთავი, გარდაბანი) და კახეთში (თელავი). შეფასდა 50 შემთხვევა. II ეტაპზე პილოტი მოეწყო სამ რეგიონში: თბილისი, შიდა ქართლსა (გორი, ხაშური) და აჭარაში (ბათუმი). ახალი ფორმით შეფასდა 36 პირობით მსჯავრდებული.[226]

**ღონისძიება 7.3.5. საქმის წარმოების სისტემის დანერგვა; სახელმძღვანელოს შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება სტანდარტული სამუშაო პროცესი (პროცედურები) და შესაბამისი ტრეინინგების ჩატარება**

**აქტივობა:** შემუშავებული ინსტრუქციითა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოთი მუშაობა; საჭიროებისამებრ განახლების პროცესი.

**ინდიკატორი:** საქმის წარმოების წესის დამდგენი ინსტრუქცია და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; მომზადებულ ოფიცერთა რაოდენობა.

**შესრულების შედეგი:** 2018 წლის განმავლობაში ტრენინგი თემაზე „საბაზისო მომზადება ძირითადი სასწავლო პროგრამის მიხედვით პრობაციის თანამშრომელთათვის", რომელიც მოიცავდა საქმის წარმოების წესებს და მეთოდოლოგიურ ინსტრუქციებს, გაიარა სააგენტოს პრობაციის 14-მა ოფიცერმა.[227]

**ღონისძიება 7.3.6. საზოგადოებრივი სანქციების (საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის) დაკისრების იმპლემენტაციის გაუმჯობესება**

**აქტივობა:** საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მაჩვენებლის გაზრდა და სამუშაო ადგილების ბაზის განახლება.

**ინდიკატორი:** საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სტატისტიკა და წარმატებით დასრულების მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი** 2018 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტომ აღასრულა საზოგადოებისთის სასარგებლო შრომის 2051 საქმე.[228]

**ღონისძიება 7.3.7. საზოგადოებრივი სანქციების იმპლემენტირებისა და ეფექტურობის (ასევე საზოგადოებრივი სანქციების ღონისძიებების გატარების) თაობაზე რეგულარული ინფორმაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა**

**აქტივობა:** პერიოდული ანგარიშების მომზადება და განთავსება ვებ-გვერდზე.

**ინდიკატორი:** საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

**შესრულების შედეგი:** პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად აქტივობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი სანქციების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშ სააგენტოს არ აქვს.[229]

---

226 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

227 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

228 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

229 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

**ღონისძიება 7.3.8. სასჯელაღსრულების დეპარტამენტსა და პრობაციას შორის კავშირის გაუმჯობესება რეგულარული შეხვედრებით, გაუმჯობესებული ინფორმაციის გაცვლითა და თანამშრომლობით**

**აქტივობა:** პენიტენციურ დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობა.

**ინდიკატორი:** ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება, ინფორმაციის გაცვლა, სამუშაო ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა.

**შესრულების შედეგი:** ინდიკატორისა და აქტივობის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, აქტივობა ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს. პრობაციის ეროვნული სააგენტო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ერთად, მონაწილეობდნენ სამუშაო ჯგუფებში შემდეგ საკითხებზე:

» სრულწლოვანი და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რისკის და საჭიროების შეფასების ინსტრუმენტის შექმნა;

» მოტივაციური ინტერვიუირების საბაზისო კურსის შემუშავების მიზნით შექმნილი ტრენერთა სამუშაო ჯგუფი;

» ჩართულობის უნარ-ჩვევების კურსის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

» სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

» გარდამავალი მენეჯმენტის სამუშაო ჯგუფი;

» პოზიტიური უნარ-ჩვევების პროგრამის გაუმჯობესების სამუშაო ჯგუფი;

» ოჯახში მოძალადე პირთა პროგრამის სამუშაო ჯგუფი;

» ქალი მსჯავრდებულებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

» ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პირველადი სკრინინგ ინსტრუმენტის შექმნის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. [230]

**ქვეპროგრამა 7.4. სარეაბილიტაციო პროგრამების და საზოგადოების ჩართულობის განვითარება**

**ღონისძიება 7.4.1. სარეაბილიტაციო სამმართველოს გამართული ფუნქციონირება**

**აქტივობა:** რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით მუშაობა და საჭიროებისამებრ განახლება.

**ინდიკატორი:** სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის პირობით მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომობა.

იმეორებს 2016-2017 წლებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის საქმიანობა 4.7.2.1-ს.[231]

**ღონისძიება 7.4.2. შერჩეული პრობაციონერთა ჯგუფისათვის არასამთავრობო ორგანიზაციის სექტორთან თანამშრომლობით სულ მცირე ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის შემუშავება და პილოტირება**

**აქტივობა:** რეგიონებში პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით სარეაბილიტაციო პროგრამის იდენტიფიცირება და განხორციელება.

**ინდიკატორი:** ერთი სარეაბილიტაციო პროგრამის არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით წარმატებით დასრულება.

**შესრულების შედეგი:** აქტივობა შესრულებულია. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, პირობით მსჯავრდებულები და განრიდებული პირები მომსახურებას იღებდნენ შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან:

» „წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი" (GCRT), სადაც გადამისამართდა 245 ბენეფიციარი (ანტისოციალური ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის მიმართულ პროგრამებში);

» „საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი" (ASB) - მომსახურების მიზანი იყო პირობით მსჯავრდებულების მომზადება და მხარდაჭერა შრომის ბაზარზე ინტეგრაციისათვის;

---

230 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

231 იხ. შესაბამისი საქმიანობის შეფასება.

- "სამოქალაქო განვითარების სააგენტო" (CIDA) - მომსახურება გულისხმობდა პირობით მსჯავრდებულებისა და განრიდებული პირების გადამზადებისა და დასაქმებისთვის ხელშეწყობას, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის ფსიქო-სოციალურ პროგრამების მიწოდებას;

- არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა" - პროექტი უზრუნველყოფდა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გამოცდილების მქონე პირობით მსჯავრდებულებისთვის ფსიქო-სოციალურ პროგრამების შეთავაზებას;

- ქალთა ასოციაციის „თანხმობა" - ორგანიზაცია უზრუნველყოფდა პირობით მსჯავრდებულების პროფესიულ გადამზადებას შიდა ქართლში, სამეგრელოსა და იმერეთში;

- არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი" - მომსახურება უზრუნველყოფდა პირობით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობას;

- გაეროს ქალთა ფონდის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელის პროექტის „ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის" ფარგლებში შეიქმნა/დაიხვეწა ქცევის კორექციის პროგრამა ოჯახში მოძალადე პირებისთვის.[232]

**ღონისძიება 7.4.3. საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა რეგიონებში მოხალისეების ჩართულობით**

**აქტივობა**: მუდმივი თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**ინდიკატორი**: რეგიონალურ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

**შესრულების შედეგი**: აქტივობა შესრულებულია. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით, 2018 წლის განმავლობაში, აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა პროექტებიც მხარდაჭერილია ევროკავშირის მიერ და მოიცავს: ფსიქო-სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, პროფესიული გადამზადების, დასაქმების, სამკურნალო, ჯანდაცვის-პროფილაქტიკურ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, კულტურულ, შემეცნებით და სოციალურ დახმარების პროგრამებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს რეგიონებში მსჯავრდებულთა-რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით 2018 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა", ავსტრიულ პარტნიორ ორგანიზაციასთან - „Hilfswerk Austria Internetional" ერთად, ახორციელებდა პროექტს „ნაბიჯ-ნაბიჯ უკეთესი მომავლისაკენ";

- „საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი" (ASB), საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთთან" (CHCA) და „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან" (CSRDG) ერთად, ახორციელებდა პროექტს „განათლება რეინტეგრაციისათვის - გზა საზოგადოებაში დასაბრუნებლად";

- სამოქალაქო განვითარების სააგენტო „სიდა", „საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან" და „სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტთან" (DVV international) ერთად, ახორციელებს პროექტს: „ტრენინგებისა და დასაქმების ინიცირება მართლმსაჯულების სექტორში";

- საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა", ორგნიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის" და "Mainline Foundation"-თან ერთად, ახორციელებს პროექტს: „გაუმჯობესებული შესაძლებლობები პატიმრებისა, ყოფილი პატიმრების და პრობაციონერების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციისათვის";

- „დემოკრატიის ინსტიტუტი", გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრთან, ფონდ „აფხაზინტერკონთან" და „თანაზიართან" პარტნიორობით, ახორციელებს პროექტს: „ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახებისა და პრობაციონერების მხარდაჭერის პროგრამა";

- „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი" (GCRT), „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის" და სამოქალაქო განვითარების სააგენტო „სიდასთან" პარტნიორობით, ახორციელებს პროექტს: „დანაშაულის პრევენციის გაუჯობესება ანტისოციალური ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის";

- ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა" (PRI), პარტნიორ ორგანიზაციებთან - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი", საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაცია, ასოციაცია „თანაზიარი", არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი"-ერთად, ახორციელებდა პროექტს „ქალი მსჯავრდებულებისთვის, რომელთაც განუცდიათ ძალადობა და დისკრიმინაცია და მათი დაუცველი შვილებისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესება".[233]

---

**232** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

**233** სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

**ღონისძიება 7.4.4. პრობაციის ოფიცრებისათვის რეაბილიტაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ტრეინინგების დაწყება**

**აქტივობა**: სარეაბილიტაციო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა.

**ინდიკატორი**: სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელებისთვის მომზადებულ ოფიცერთა პროცენტული მაჩვენებელი.

**შესრულების შედეგი**: არ არის შესრულებული. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში პრობაციის თანამშრომლებს ტრენინგი სარეაბილიტაციო პროგრამების მიმართულებით არ ჩატარებიათ.[234]

**ღონისძიება 7.4.6. კვლევების დაგეგმვა სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტიანობის გასაზომად (საბოლოო შედეგების გაზომვა)**

**აქტივობა**: კვლევების განხორციელება სხვადასხვა მომსახურების ეფექტურობის შესწავლის მიზნით.

**ინდიკატორი**: საბაზისო მონაცემების შექმნა; საკვლევი ობიექტის პრობლემის იდენტიფიცირება; დაგეგმილი და განხორციელებული კვლევები.

**შესრულების შედეგი**: არ არის მითითებული არც ერთ ანგარიშში.

**ქვეპროგრამა 7.5. უწყებათაშორის კოორდინაციის უზრუნველყოფა და პრობაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება**

**ღონისძიება 7.5.1. უწყებათაშორის კოორდინაციის გაუმჯობესებისთვის რეფორმის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის შექმნილ შესაბამის სამუშაო ჯგუფებთან თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა**

**აქტივობა**: მუდმივი მონაწილეობა სამუშაო ჯგუფებში.

**ინდიკატორი**: უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩართულობა

**შესრულების შედეგი**: შესრულებულია. პრობაციის სააგენტო ჩართული იყო სხვადასხვა სახის უწყებათაშორის სამუშაო ფორმატებში.

**ღონისძიება 7.5.2. ყოველწლიურად რეგულარული მრგვალი მაგიდების მოწყობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეებზე პარტნიორების მონაწილეობით**

**აქტივობა**: პერიოდული შეხვედრები საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

**ინდიკატორი**: შესაბამისი შეხვედრების რაოდენობა და მედიის მიერ მათი გაშუქება.

**შესრულების შედეგი**: არ შესრულებულა. 2018 წლის განმავლობაში პრობაციის ეროვნულ სააგენტოს საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა არ გაუმართავს.[235]

**ღონისძიება 7.5.3. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის ინიცირება – მუდმივად განახლებული ინფორმაციის მედიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

**აქტივობა**: საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების შესაბამისად მოქმედებების დაგეგმვა; PR აქციების სისტემატიური განხორციელება.

**ინდიკატორი**: პრობაციის სააგენტოს საქმიანობის შესახებ მომზადებული საინფორმაციო მასალები: საგაზეთო ჩანართები, სატელევიზიო სიუჟეტები, გავრცელებული ბროშურების რაოდენობა.

**შესრულების შედეგი**: ნაწილობრივ შესრულებულია. პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად მომზადდა და დაიბეჭდა სასამართლოს მიერ პირობით მსჯავრდებულთათვის გადასაცემი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები.[236] ბუკლეტების შინაარსისა და აგრეთვე პრობაციის სააგენტოს მედია გაშუქების შესახებ ინფორმაცია სააგენტოს არ მოუწოდებია.

---

234 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

235 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

236 სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 28 ივნისის №2/58164 წერილი.

# 9. კვლევის მიგნებები

პოზიტიურად უნდა შეფასდეს 2014-2018 წლებში არასაპატიმრო სასჯელთა იმპლემენტაციის პროცესში პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით გამოვლენილი ძალისხმევა. მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში პოზიტიური გავლენა მოახდინა საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარებამ და მათში სხვადასხვა აქტორების ჩართვისკენ მიმართულმა საქმიანობამ.

პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათში უმეტესად ასახულია 2014-2018 წლებში პრობაციის ეროვნული სააგენტოს წინაშე არსებული გამოწვევები. აგრეთვე დადებითი ტენდენციააა შესაბამისი პერიოდის ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის, როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის, ზოგადი ხასიათი.

ამავდროულად, სამწუხაროდ, გეგმებით გათვალისწინებული აქტივობები უმეტესად არასათანადოდაა განსაზღვრული, არ არის გაზომვადი და დროში სათანადოდ გაწერილი. ამასთან, შესაბამისი ინდიკატორები ძირითადად მიმართული იყო მხოლოდ აქტივობების და არა ამოცანების შესრულების შეფასებისაკენ. ასევე, ზომავდა არა იმდენად სამიზნე ჯგუფზე შესაბამის აქტივობას, რამდენადაც აქტივობის შედეგს.

ცალკეულ შემთხვევვებში გამოიკვეთა სტრატეგიული გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების სათანადო ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე არასათანადო დაგეგვა. 2014-2015 წლებში პოლიტიკის დოკუმენტების თანახმად, პრობაციის სააგენტოს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამოქმედება, თანამშრომლების მომზადება და თავისუფლების შეზღუდვის იმპლემენტაცია. 2018 წლის 1 იანვრიდან კი გაუქმდება სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და, შესაბამისად, ლიკვიდირებული იქნება სრულწლოვან მსჯავრდებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება. აღნიშნული პროცესი მიუთითებს სარებილიტაციო პოლიტიკის გრძელვადიანი ხედვის ნაკლებობაზე.

2014-2018 წლების პოლიტიკის დოკუმენტები ურთიერთშესაბამისია და მათში არსებითი წინააღმდეგობები არ გამოიკვეთა. სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სტრუქტურა, ძირითადად, ჩამოყალიბებულია შესაბამისი პერიოდის ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების მიხედვით.

2014-2018 წლების პოლიტიკის დოკუმენტების შესრულების პროგრესის ანგარიშები, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამება უშუალოდ დოკუმენტით გათვალისწინებულ აქტივობებს და ინდიკატორებს, რის გამოც, მისი მეშვეობით ამოცანის შესრულების პროგრესის დადგენა რთულია.

2014-2018 წლების სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა არსებითად ერთგვაროვანია როგორც ამოცანების, ასევე აქტივობებისა და ინდიკატორების მხრივ. მასში მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში განხორციელდა უმნიშვნელო ცვლილება. შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, გეგმა არ ასახავდა სააგენტოს მიმდინარე გამოწვევებს. ამასთან, აღნიშნული სსრ სამოქმედო გეგმა, ხშირად, ითვალისწინებდა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ მიმდინარე და არა სამსახურის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებსა და აქტივობებს.

ასევე, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის დოკუმენტები ნაკლებად ითვალისწინებდა მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობის შესაბამის ამოცანებსა და აქტივობებს. 2014-2018 წლების დოკუმენტებში მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე მოხდა არასრულწლოვნებთან დაკავშირებით მთელი რიგი აქტივობების გათვალისწინება. შესაბამისად, მიზანშეწონილია, პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის დაგეგმვის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებით მოხდეს შესაბამის უმცირესობათა სპეციფიკიდან გამომდინარე აქტივობების გათვალისწინება. ამ მხრივ, მისასალმებელია ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამთავრობო გეგმის ორიენტირებულობა შესაბამის სამიზნე ჯგუფებზე, მათ შორის სხვადასხვა უმცირესობებსა და დაუცველ ჯგუფებზე.

# 10. გეგმების რელევანტურობა

გეგმების განზოგადების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საანგარიშო წლების განმავლობაში პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანები და საქმიანობები არსებითად იყო პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამის პერიოდში არსებული გამოწვევების რელევანტური. ამ მხრივ უფრო პოზიტიურად უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები, ხოლო რაც შეეხება სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმებს, ისინი 2014-2018 წლებში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებებს განიცდიდნენ და მათში ნაკლებად ხდებოდა შესაბამისი წლების მიხედვით სააგენტოს წინაშე წარმოშობილი გამოწვევებისა და ამოცანების ასახვა.

# 11. გეგმების სტრუქტურა

სამოქმედო გეგმების შეფასებისას, ამოცანები და მიზნები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ე.წ. S.M.A.R.T. პრინციპით. კერძოდ, თითოეული მიზანი, აქტივობა უნდა იყოს სპეციფიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბებული უნდა იყოს კონკრეტულად, დეტალურად, კარგად მოხდეს განსახორციელებელი ქმედების განსაზღვრა, იყოს გაზომვადი, რაც ნიშნავს რომ შესაძლებელი უნდა იყოს აქტივობების, მიზნების გაზომვა, ციფრებსა და რაოდენობებში ასახვა, უნდა იყოს მიღწევადი, შესაბამისად, მისი შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი. მიზნები და აქტივობები უნდა იყოს რეალისტური, რაც გულისხმობს, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება, ასევე უნდა იყოს დროში გაწერილი, უნდა არსებობდეს აქტივობების შესრულებისა და მიზნის მიღწევისთვის დადგენილი ვადა, ე.წ. „დედლაინი“. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნებისა და ამოცანების შეფასების ინდიკატორები შესაძლოა ზომავდეს მხოლოდ ცალკეული აქტივობის შესრულებას (შესრულების ინდიკატორები), ასევე, შესაძლოა იყოს ზეგავლენის ან გამოსავლის ინდიკატორები, რაც აჩვენებს, რამდენად იქნა მიღწეული სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზანი. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ცალკეულ აქტივობასა და მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი უწყება, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს აქტივობის დაფინანსების წყარო. ინდიკატორები უნდა აკმაყოფილებდეს S.M.A.R.T. პრინციპის ხუთივე პირობას.

სამწუხაროდ, არსებული სამოქმედო გეგმები უმეტესად ვერ აკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნებს, უმეტეს შემთხვევაში, მიზნები, საქმიანობები და ინდიკატორები ძალიან ზოგადია, არ არის კონკრეტულად ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, არ არის მითითებული არც ბენეფიციართა რაოდენობა, რისი დაფარვაც ჩაითვლებოდა მიზნის მიღწევად, ხშირად მიზნები არარეალისტურია იმ რესურსის გათვალისწინებით, რაც არსებობს, საჭირო ბიუჯეტი ცალსახად განსაზღვრული არ არის. ხშირად არეულია ინდიკატორები და საქმიანობები, რაც გეგმის შეფასებას ართულებს.

ხშირ შემთხვევაში, გეგმაში ინდიკატორების სახით გათვალისწინებულია მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლები, რაც არ იძლევა გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და საქმიანობების შესრულების შეფასების შესაძლებლობას. მთელ რიგი ინდიკატორები იმეორებენ გეგმით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რაც მიუთითებს ინდიკატორთა არასათანადო შერჩევაზე. ზოგიერთ შემთხვევაში არასათანადოდ, ან საერთოდ არ არის მითითებული პასუხისმგებელი უწყება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში უმეტესად საერთოდ არ არის მოცემული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების წყარო, რაც თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს მიზნის მიღწევას და აჩენს კითხვას რამდენად მიღწევადი და რეალისტურია მოცემული მიზანი, თუ აქტივობა.

# 12. შესრულების შედეგები

რაც შეეხება გეგმების შესრულებას, ადამიანის უფლებათა გეგმისა და სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის შესრულების ანგარიშებში, უმეტესად, ცალკეული საქმიანობების შესრულების სტატუსი განსაზღვრულია როგორც შესრულებული, ან ნაწილობრივ შესრულებული. თუმცა, შესრულების ანგარიშებში მითითებული შედეგები ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება გეგმით გათვალისწინებულ ინდიკატორებს, ხოლო ხშირ შემთხვევაში საქმიანობისა და ამოცანის შესრულების შედეგის შეფასება შეუძლებელია, მათთან დაკავშირებით გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების არასათანადოობის გამო.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გეგმების შესრულების შეფასება გაართულა პრობაციის ეროვნული სააგენტოდან საჯარო ინფორმაციის მოუწოდებლობამ. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, შესრულების შეფასების ერთადერთ წყაროს სწორედ პროგრეს ანგარიშები და სახალხო დამცველის ანგარიშები წარმოადგენდა.

# 13. რეკომენდაციები

» სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული იქნას პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის გრძელვადიანი ხედვა;

» სამოქმედო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იქნას S.M.A.R.T პრინციპი, ინდიკატორები და ამოცანები იყოს სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი;

» სამოქმედო გეგმები ეფუძნებოდეს სიტუაციის დეტალურ ანალიზს, რათა თავიდან იქნას აცილებული იმ საქმიანობების განხორციელება და იმ ხარჯების გაწევა, რომლებიც შემდგომ წლებში, შესაძლოა, აქტუალურად აღარ ჩაითვალოს, ან მისი ხარჯთ ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს;

- თითოეული აქტივობისთვის გაწერილი იყოს მისი შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტი (სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორების მიერ გამოყოფილი თანხები, სხვა წყაროები);
- სამოქმედო გეგმაში ასახული იყოს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებსაც შეუძლიათ რეალური ზეგავლენა მოახდინონ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია ინდიკატორები ზომავდეს არა მხოლოდ საქმიანობების/აქტივობების შედეგებს, არამედ მათ ზეგავლენას მთელ სისტემაზე;
- გეგმაში მოცემული უნდა იყოს ინდიკატორის გამოთვლის დეტალური ფორმულა, რათა რეალურად გაიზომოს სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის ზეგავლენა;
- მნიშვნელოვანია თითოეული წლის გეგმა გამომდინარეობდეს კონკრეტული წლის (პერიოდის) საჭიროებებიდან და არ წარმოადგენდეს წინა წლის გეგმის მექანიკურ გადმოტანას, გაგრძელებას.
- პრობაციის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის დაგეგმვის სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტებით მოხდეს შესაბამის უმცირესობათა სპეციფიკიდან გამომდინარე აქტივობების გათვალისწინება.

**Penal Reform International**
**South Caucasus Regional Office**
**Address:** Chavchavadze ave, 1st lane, block #6, entr III, floor II, apt. 61
0179, Tbilisi, Georgia
**Phone:** + 995 32 237 02 70

penalreform.org

**Penal Reform International South Caucasus Regional Office**